

ბადრი ცხადაძე

# ქართული გვარ-სახელები

ზარნაძე

თბილისი  
2002

# ს ა რ ჩ ე გ ი

## წინასიტყვაობის მაგიერ

### თავი პირველი

#### მეცნიერების კომიკური ასპექტები

##### თავი მეორე

1. კომლი II კუადლი (II კუაბლი), ოჯახი
2. თემი, ადგილის დედა, ფუძის ანგელოზი
3. სანლი, სანლიკაცი, სანლიშვილი
4. გვარი, გვარიშვილი, გვარიშვილობა, გვარისკაცი, გვარის მაქიქი

##### თავი მესამე

1. ადამიანის საკუთარი სახელი და მეტსახელი
2. ქართული გვარ-სახელის წარმოშობა
3. ზარნაძე გვარ-სახელის წარმომავლობისათვის
4. ზარნაძე გვარ-სახელი ქართულ მნატვრულ ტექსტებში
5. ზარნაძეები ზარნაძეებისავე გადმოცემებში, ზარნაძეთა გენეალოგიური შტოები
6. ზარნაძეთა გვართ დასახლებულ ძირითად პუნქტთა (ტობინითა) ეტიმოლოგიები: ა) აღისუბანი, ბ) გურჯაანი, გ) ეწერი, დ) ზარათი, ე) ზესტაფონი, ვ) თერჯოლა, ზ) კლდეკოი, თ) ლაგოდეხი, ი) საზანო, კ) სვირი, ლ) ქუთაისი, მ) ჩხარი, ნ) წინანდალი.

#### ძირითადი დასკვნები

ბოლოსიტყვაობის მაგიერ

რეზიუმე რუსულ ენაზე

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

შემოკლებანი

პირობითი ნიშნები

დანართი

ა) პენსონალიები (ზარნაძეთა გვარიდან გამოსული მეცნიერები და ცნობილი საზოგადო მოღვაწენი)

ბ) ზარნაძეთა გვარის ტელეფონები თბილისში

## წინასიტყვაობის მაგიერ

უცნაურის მოშლის შემდეგ, პოსტსაბჭოურ საქართველოში, ფრიად გაგრძელდა ერთობ უცნაურთა ერთმეცნიერული კვლევა-ძიებანი. ეტყობა, ყველა ჯურის მეცნიერებაზე ამბიციების მქონე პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი ამ დროს ელოდა. და, აჰა, გაივსო წიგნის ბაზარი ათასგვარი ინტერპრეტაციებით, აღმოჩენებით, მიგნებებით. ზოგი მათგანი მსოფლიო აღმოჩენადაც კი გასაღდა (ამაზე ქვემოთ).

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ერის უძველესი წარმოშობის თეორიები, გვარ-სახელების “არაჩვეულებრივად ნაყოფიერი” კვლევის შედეგები კი განსაცვიფრებელია. ქართველები სომეხებთან და აზერბაიჯანთან სამყაროს დერმისაც, ნიუს კიდობანსაც, სამიათას (მეგრულ) გვარსაც და შუმერულ-რაჭულ, შუმერულ-სვანურ შესატყვისობებსაც; თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში მცხოვრები მცირე ერების წარმომადგენლებიც წარმატებით გვბაძავენ და გრძელდება პოსტპერესტროიკული ვაი-ჭკუისაგან.

რატომღაც შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ერთმეცნიერული-ეტიმოლოგიური კვლევა მხოლოდ ინტუიციასეუ დაყრდნობით შეიძლება. არადა ასეთ მეცნიერულ კვლევას თავისი მეცნიერული მეთოდი და მრავალი ათეული წლის მეცნიერული წრთვანა უდევს საფუძვლად. მკვლევართა მიერ (პროფ. ა. ცაგარელი, აკად. ა. შანიძე, აკად. ივ. ჯაფარიშვილი, აკად. ს. ჯანაშია, აკად. ნ. ბერძენიშვილი, აკად. არნ. ჩიქობავა...) უდიდესი და უმძიმესი შრომის შედეგად დადგენილი ბევრათმესატყვისობანიც გასათვალისწინებელია, ტოპონიმიკური მონაცემებიც შესაჯურებელი და ისტორიული ანალებს სიმწიერეც მისაგნებ-გამოსავლენი.

თანამედროვე კვლევა-ძიებანი გვარ-სახელთა კუთხით განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა. ჩანს, აქ უფრო ეიოლებათ “ამომწურავი” ფანტაზიების გამოვლენა. არადა სწორედ გვარის წარმოქმნა და წარმოშობა არის ურთულესი პროცესი, თანაბრად რომ იერთებს ისტორიულსა და სოციალურ-პოლიტიკურ მხარეს. განსაკუთრებით ჩვენს თავად-აზნაურობას უყვარდა კეკლუცობა ადამადელი წინაპრებით და ვრცელდებოდა ვერსიები, ამბები, ანეკდოტები. მსგავს ამბებს, რომლებიც მხოლოდ ზეპირ გადმოცემებს ეფუძნება და ცრუქაქუნთბის ნიმუშებია, მრავლად შენგდებით ადრეულ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც.

გვარი ერის სიმდიდრეა და მისი სოციალურ-პოლიტიკური და ინტელექტუალური დონის მაჩვენებელი. ადამიანთა გვარ-სახელებში კოდირებულია ტაბუ, მთი თუ ანლო წარსული... გვარში იშორება ყველაზე დიდი ღირსებები და დიდი დამარცხებები; სახელი და გვარი მაგიერ წარმონაქმნადაც მიაჩნიათ არსებობის ზოგი დარგის პროფესიონალთ.

გვარისა და მეტსახელის პირველსაწყისი კულტურის პირველსაწყისებია; რაც უფრო მეტია გვარი, მით აღმატებულია ერი და ნაცია. რაოდენ სამწუხაროა, რომ “უცნაურობა” ლამის თავშისაწყმად გაგვხდია, რადგან სწორედ ამ შემთხვევებით თავისუფლების ჟამს ერთმეცნიერებს საანეკდოტოდ გაგვინდა საქმე. ყველა ეტიმოლოგობს, ტოპონიმისტობს, განმკითხავი კი არავინაა. მეცნიერული “უცნაურობანი” წალეკვით ემუქრება ოდესღაც პროფესიონალით და მაღალი კვლევის კულტურით გამორჩეულ ქართულ საზოგადოებას.

## თავი I

### მეცნიერების კომიკური ასპექტები

“მეცნიერება არის ერთი უმეცრების მკორით  
შეცვლა”

ჯორჯ გორდონ ბაირონი

ქართული მეცნიერება და ქართველი მეცნიერები ყოველთვის გამოიჩინებდნენ კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით პრობლემური საკითხების რეგევისას. ისინი მიუკერძოებლად ამხელდნენ და აკრიტიკებდნენ ამა თუ იმ თბიქტური ფაქტის შელამაზებასა თუ დამანინჯებას. ამ მხრივ თუნდაც პავლე ინგოროყვას დასახელებაც იკმარებდა ნიმუშად. სამაგიეროდ ჩვენი მეზობელი არაქართველი მკვლევარების დიდი ნაწილი უტიფრად “იჩემებდნენ და აყალებდნენ” ქართველი ერის კულტურის მონაბოგრებს. მაგ., აფნაზები (შალვა ინალიფა და სსგ.), ოსები (გიგო მამითი და სსგ.), სომხები (პარუირ მურადიანი და სსგ.)

აღსანიშნავია, რომ ასეთი მეცნიერული ცდომილებანი სწირად მეცნიერულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მაგ., ცნობილი ქართველი მეცნიერი, გენიალური მიგნებებისა და გენიალური შეცდომების ავტორი აკადემიკოსი ნ. მარი. იგი ჯერ კიდევ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, ილია ჭავჭავაძის “ივერიის” ფურცლებზე აცხადებდა, რომ შოთა რუსთაველის პოემა “ვეფხისტყაოსანი” არაქართული, არათორიგინალური ძეგლია, ნათარგმნია სპარსულიდანო. მას პოემის სელნაწერი დედანი თუ თორიგინალი, ინგლისში, კემბრიჯის ბიბლიოთეკაში ეგულებოდა. მიუხედავად მისი სელმძღვანელის რჩევისა (პროფ. ალ. ცაგარელი, ქართველოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი), რომ უარეყო ეს ყოვლად მცდარი მოსაზრება, სტუდენტმა მარმა სელმძღვანელს მაინც არ დაუჯერა, რაც შემდგომში სტუდენტ-მასწავლებლის განსეთქილებისა და ურთიერთგანდგომის საგანი შეიქნა. ალ. ცაგარელმა ნ. მარი პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავის კათედრაზე პროფესორის მოსამზადებლად (მაშინ ასე ეწოდებოდა ასპირანტსა და სარისნის მადიებელს) არ დატოვა. ნ. მარი არმენოლოგიის კათედრაზე მიიწვიეს. თავის დებულებას ნ. მარი “ვეფხისტყაოსნის” იმ სტროფზე აფუძნებდა, სადაც ნათქვამია:

“ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი თბოლი, სელის-სელ საგომანები;  
ვბოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოჭმანები,  
ჩემძან სელ-მქმნელძან დამმართოს ლაღძან და ლამაზმა ნები [1]”.

ნ. მარმა ზემორე სტროფი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. შოთა რუსთაველმა თითქოს “ვეფხისტყაოსანი” სპარსულ ენაზე იბოვა, ქართულად თარგმნა, ანუ გადმოაქართულა, ლექსად გარდათქვა და ამით საქოჭმანო გახდა პოემის წარმომავლობა. ნ. მარი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეძებდა “ვეფხისტყაოსნის” სპარსულ დედანს – პირველ წყაროს, მაგრამ ვერას მიაკვლია. ალბათ თავის შეილსაც იური მარსაც, შემდგომ ცნობილ ირანისტსა და აღმოსავლეთმცოდნეს, სპეციალურად დაავალა ამ საკითხის კვლევა და შეილმაც მამის დარიგება, როგორც ჩანს, ყურად იღო და აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი გახდა.

ნ. მარს “ვეფხისტყაოსნის” ეს ადგილი არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით რომ გაეგო, მაშინ ეს გაუგებრობა – ცდომილება თავიდანვე აცილებული იქნებოდა. ამ სტროფში შოთა რუსთაველი აღნიშნავს, რომ ჩემი პოემის ამბავი ანუ სიუჟეტი სპარსულიაო. სპარსული ამ შემთხვევაში აღმოსავლურის ტოლფარდია, სინონიმია. აღმოსავლურ კულტურას, მათ შორის, მნატვრულ ლიტერატურას, ჩვენი წინაპრები სომ სპარსული ენის მეშვეობით ეცნობოდნენ. როგორც ჩანს, ამბავი სპარსული აღმოსავლურ (ან: აღმოსავლეთში გავრცელებულ) სიუჟეტს ნიშნავს. ამ ამბავზე, როგორც საემირო-ხარაინდო-ხათავგადასავლო სიუჟეტზე აგებული ქართულ სინამდვილეში მოსე სონელის “ამირანდარიჯანიანი”, სპარსულში-ფირდოუსის შაჰ-ნამე და მრავალი სსგ.

ნ. მარის მეორე უმძიმესი შეცდომა ის იყო, რომ ქართველური ენები (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური) სემიტური ენების მონათესავედ აღიარა და იაფეტური ენები უწოდა. ამისდა

მისევე, სემიტური ენების ფუძეთა ზეგავლენით იგი უმართებულოდ ქართულ ენებში სამთანხმდონიან ფუძეებს აღადგენდა. ამის შესახებ აკად. არნ. ჩიქობავა წერდა: “ნ. მარსთვის ზოგად-თეორიული წინ-ნამდგარი იყო: ქართველური ენები ენათესავებიან სემიტურ ენებს; ქართველური პლუს ზოგიერთი სხვა ენები წარმოადგენს ერთ შტოს: იაფეტურს; იაფეტური კორელატია სემიტურის; ისინი შეადგენენ ერთი ენობრივი ოჯახის ორ შტოს: შემდეგში იაფეტური მიჩნეულ იქნა თავისთავად ცალკე ოჯახად, რომელიც სემიტურ ენებს ენათესავება [2, 287]. არნ. ჩიქობავას შეფასებით, ნ. მარს “ძველი ქართული გრამატიკა” მეთოდოლოგიურ საკითხებშიც ორივე ფენით მოიკოჭლებს... არნ. ჩიქობავასავე მკაცრი დასკვნით, “იაფეტოლოგიის კოსმოური ჰიპოთეზებისათვის მეტროლო აკად. ნ. მარს მეცნიერება ათასწილ უფრო მეტს მადლობას უძღვნიდა, პროტოსტორიული ადამიანის დაუდგარ ცნობიერებაში შეუზღუდველი თარეშის ნაცვლად ისტორიულ სინამდვილეში არსებული ფაქტების შესახებ – ამ ფაქტებით განსაზღვრული აზრები წარმოედგინა [2, 330].

ნ. მარსის მესამე უმძიმესი შეცდომა ის იყო, რომ მისი “ენის სტადიური თეორიის” თანახმად ფაქტობრივ უარყოფილ იქნა ენათა ნათესაობა. ნ. მარსის აზრით, მსოფლიოში არსებული თუ არარსებული (მკვდარი) ენები ერთი ენისაგან მომდინარეობს, რადგანაც მისივე თქმით, ნებისმიერ ენაში გამოიყოფა ოთხი ელემენტი (სარ, რომ, ბერ, დონ)... აქ მუდგანდება ნ. მარსის, როგორც მეცნიერზე გავლენა ძველი ბერძენი ფილოსოფოსებისა, რომელთა აზრით, სამყარო ოთხი ელემენტისაგან შედგება: წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი. ნ. მარსის შეცდომათა რიგს განეკუთვნება აგრეთვე მისი დებულება – ენის კლასობრივი წასიათის შესახებ [3]. ეს, ნ. მარსის მეოთხე, დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. მან, როგორც ვიცით, თავისი ანალიზის ლინგვისტური მოძღვრების პოლიტიზირებაც მოახდინა. ნ. მარსის (და მისი მომხრე-მოწაფეების) აზრით, მისეული “ენობრივი თეორია” მაშინდელ საბჭოთა (ბოლშევიკურ) ენათმეცნიერებად გასაღდა. ვინც ამ თეორიას არ გაიზიარებდა, იგი საბჭოური წყობილების მტრად ცნადლებოდა, ამიტომ მოხდა, რომ ნ. მარსის თეორიის არგამზიარებელნი (ივ. ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, არნ. ჩიქობავა და სხვ.) იდეგნებოდნენ. მათ ავიწროვებდნენ. ასპირანტებს ასპირანტურას ატოვებინებდნენ. ზოგი დეგაწლმოსილი მეცნიერი 30-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაც კი გააძევეს.

ნ. მარსის, როგორც მეცნიერის, ღირსება-დამსახურებას და ყველა ნაკლს, ცნადა, აქ ვერ ჩამოვთვლით. აღსანიშნავია, რომ მას, ამ მხრივ, ქართულ მეცნიერულ სინამდვილეში წინამორბედი ჰყავდა. ეს იყო ანტონ I კათალიკოსი-ბაგრატიონი-ძე იესე მეფისა და ერეკლე II-ის მამიდაშვილი, საქართველოს ეკლესიის საჭეთმმართველი, დიდად განათლებული და თანაც დიდად მშრომელი კაცი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა: მოაწესრიგა საეკლესიო საქმეები, იზრუნა სწავლა-განათლებისათვის, თარგმნა წიგნები და დაწერა ორიგინალური თხზულებანი. მაგრამ, როგორც აკად. ა. შანიძე წერს, ანტონმა ქართული ენის განვითარება უკან დახია, თავისი სკლოზური, ძველს ქართულს მიმსგავსებული სტილის გამო. მისმა მოღვაწეობამ ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით ის შედეგი მოიტანა, რომ „ძველი ქართული ენის ძეგლები შეიარყვანა, ქართული ენის განვითარება შეფერხდა, ენა დაძმობდა უმართებულო ფორმებით, უცხო კონსტრუქციებით და წარმართა მრუდი გზით. ანტონი იცქირებოდა არა წინ, არამედ უკან და ისიც აღმატკურად, და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: სალიტერატურო ქართული ასცდა ბუნებრივი განვითარების გზას...” [4, 79]. ა. შანიძის დასკვნით, „ანტონის გავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე უარყოფითია, (ნაზი ავტორისა), ბევრად აჯობებდა, რომ ქართული მწერლობის ენის ბუნებრივ განვითარებას და თანდათან დაახლოებას სასაუბრო მეტყველებასთან, რაც აგრე გვანარებს არჩილისა, სულხანისა და დავითის ნაწერებში, გზაზე არ გადაჰდობებოდა წარსულის ფიქრით შეპყრობილ ი და არასწორად მოაზროვნე გონება მეტად აქტიური კაცისა, რომელსაც მდგომარეობა ნებას აძლევდა, ადვილად მოეხვია თავზე სწავლისათვის თავისი მცდარი თეორიული შეხედულებანი. მაგრამ ყველაფერი გასაგებია იმ დროინდელი საქართველოს ვითარებაში, გასაგებია, რომ არ აღმოჩნდა არავინ, რომ შეპყრობილებოდა საქართველოს ეკლესიის პატრიარქის მრუდსა და მაგნე პოლიტიკას ენის სფეროში. ეს ის წანა იყო, როდესაც საქართველოს არ ეცალა მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრებისათვის, როდესაც პოლიტიკურ დაუძღვრებას კულტურული დაქინებაც სდევდა აჩრდილივით... ანტონ კათალიკოსის ბევრი მომხრე ჰყავდა არა თუ თავის

სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც... ანტონის გავლენა ვასცდა სასულიერო წიგნების ფარგლებს და საერთო მწერლობაშიც გავიდა. მერე იგი, მართალია, თანდათან შენედა, მაგრამ არ შეწყვეტილა მე-19 საუკუნის I ნახევარში [4, 78-79], სანამ სამოღვაწეო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე არ გამოვიდა, რომელმაც ასეთი ენობრივი პოლიტიკა დაემო და ქართულ ანბანსა თუ იმდროინდელი სალიტერატურო ენიდან ძველი ქართული ასოები (ა,ჟ,ზ,ვ,მ) არ გააძევა.

სამწუხაროდ, ასეთი ტრაგიკომიკური სიტუაციები ჰუმანიტარულ მეცნიერებას არც ანლა აკლია. ქართულ ენას, დამწერლობის ისტორიას თუ ქართველი ერის ისტორიასა და ქართულ გვარებს მკვლევრებად არასპეციალისტებიც გამოუჩნდა.

ცხადია, ვერც ერთ ქართველს ვერ აუკრძალავ იფიქროს საქართველოს ისტორიაზე, დამწერლობაზე, ქართულ ენასა თუ ქართველურ გვარებზე, მაგრამ ამას თან მეცნიერული პრეტენზია არ უნდა ახლდეს. მე-20 ს-ის 80-იანი წლებიდან გაჩნდნენ, თუმცა განათლებული ადამიანები სწავლასწავა სამეცნიერო დარგისა, მაგრამ სრულიად უმეცარნი ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურ resp. ქართველოლოგიურ დისციპლინათა თვალსაზრისით, იმისათვის, რომ იკვლით, არ კმარა ენების ცოდნა, არც ისტორიული განათლების მქონეობა, ძიების სურვილი, თუ მეთოდურად და მეთოდოლოგიურად ჩამოყალიბებული სპეციალისტი არა წარ. დასაბამია, რომ ასეთი „მეცნიერები“ მომრავლდნენ. მათმა წიგნებმა ლამის ნიაღვარივით წალეკოს და გააუფასუროს ქართველოლოგიური მიღწევები, ისინი როგორღაც (სწავლასწავა ვხვით) ახერხებენ მრავალტირაჟიანი, მრავალტომიანი და სქელყდიანი წიგნების გამოცემას, ტელევიზიით გამოსვლას, სპეციალისტ-მკვლევართა კრიტიკულ მოსაზრებებს კი არაღ ავლებენ. თქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმებთ ზოგიერთ ავტორს: ერთ წიგნში ვკითხულობთ:

„იესუ, ქრისტე, მესია – ერთმანეთის სინონიმებია და გულისხმობს როგორც რელიგიის, ასევე დამწერლობის ისტორიას...“

თურმე „4598 წელს ქრისტეს მეორე მოსვლამდე, ანუ დასაბამიდან 1006 წელს ლაზებმა გამოიგონეს ასომთავრული დამწერლობა, რომელიც საფუძველია ყველა სწავა დამწერლობისა და მას „ლაზარე“, ანუ ენების დედა ეწოდება [5,5]. ავტორის – შ. კიტოვანის წიგნის ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ: ის დამწერლობა, რომელიც ჩვენ გვაქვს, ლაზებს შეუქმნათ, რომელიც დასაყრდენი გამწდარა იმ დამწერლობებისა, (იეროგლიფური, ლურსმული და ა.შ.), რაც დღეს მსოფლიოში არსებობს. კიდევ კარგი, რომ ასეთ „მეცნიერულ აღმოჩენას“ „დიდი ივანე ჯავახიშვილი არ მოესწრო, ასევე აბსურდულია ცრუმეცნიერის გამონათქვამი: „იესუ, ქრისტე, მესია გულისხმობს როგორც რელიგიის, ასევე დამწერლობის ისტორიას“...“

ამ წიგნის ანოტაციაში წერია: „დიდი საუნჯის საიდუმლოს პატარა „გასაღები“ წარმოადგენს 800 გვერდიანი ნაშრომის მოკლე რეზიუმეს“... აფსუს, რომ ავტორმა მაშინ სპონსორი ვერ იპოვა და საწერ მანქანაზე სქელ ყდაში შეკრული ორი 400-გვერდიანი „ნაშრომი“ ვერ გამოსცა, რომლის გამოქვეყნებას წერილობით ადასტურებდნენ ცნობილი მწერლები, ფილოსოფოსები, მეცნიერები, ლინგვისტებიც კი. წიგნის ავტორი მაშინ საბჭოური მთავრობისაგან ითხოვდა დიდი რაოდენობის თანხას, რომელსაც მოახმარდა ძველი ქართული ხელნაწერების აღმოჩენას (მისი აზრით, მცხეთასთან ახლოს, თაბორის მთა, თუ არ ვცდებით, 13-კმ-ის სიღრმეზე უნდა გათხრილიყო). ჩანს, ავტორს შლიმანობის წყურვილი კლაფდა. იმავე წიგნში, იმავე მესხეთე გვერდზე ავტორი გვაუწყებს: „ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, „ლაზარეს“ მეშვეობითა და გამოყენებით ქართველმა ტომებმა – იბერებმა, ეგრისელებმა და სვანებმა შექმნეს სამი სახის დამწერლობა – ბერძნული, რომაული და ებრაული.“ თურმე „მათვე ქრისტიანული მოძღვრების გერბად გამოსახეს ჯვარი. ორ ენაზე დაიწერა სახარება და 5 სამოციქულო.“ ამ კონტექსტის გვერდით ალბათ ძალზე უფერულად მოგვეჩვენება ქართული ანბანის სომხურისაგან წარმოშობილობის თეორია, რითაც სომხები გვიკვირებდნენ - ქართული ანბანი თქვენ კი არ შექმენით, ქართველებმა, სომეხმა კაცმა, მესრობ მაშტოცმა შეგქმნათო. თუ ჩვენ სომეხთაგან ასე დაგვალეხული ვყოფილვართ, თურმე რა დიდი ღვაწლი მიგვიძღვის ჩვენ მსოფლიოს წინაშე, რომ მათ, კერძოდ, ბერძნებს, რომაელებს და ებრაელებს იბერებმა, ეგრისელებმა და სვანებმა შეუქმნეს დამწერლობაო,- გაცეკბულმა, გამჭრიახი გონების მკითხველმა შესაძლოა აქვე გაიფიქროს, ამ სტრიქონების წაკითხვისას: თუ ეგრისელებმა და სვანებმა სწავებს შეუქმნეს

დამწერლობა და თუ შექმნეს, დღემდე რატომ არ მოაღწიათ. შ.კიტოვანის „უეონიურესი ანსნიო“ „დასაბამიდან 36-ე საუკუნეში იშვა ქრისტი, რომელიც ალბათ აბრეგიატურაა (სიტყვების დასაწყისი ასოებით შემოკლებული სელთვნიური სახელი. შდრ. სსრკ=საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, მძაჩის ბიურო=მოქალაქეთა მასობრივი აქტების ჩაწერის ბიურო) და ნიშნავს: ქართველის, რაქილის, იბერიის, სვანების, ტაოსების ერთიანობას.

როგორც ჩანს, ავტორის გონებრივი გარჯიში ასეთი ყოფილა:

ქ ართველი  
რ აქილი  
ი ბერია  
ს ვანები  
ტ აონები  
ე რთიანობა

აღმოჩენაც ასეთი უნდა!

მისივე თქმით (იმავე გვერდზე!) „ხუთი დამწერლობის ისტორია არის მესია, რომელიც იშვა 47-ე, 48-ე საუკუნეებში. სულ ქართველურმა ტომებმა შექმნეს 19 სახის დამწერლობა. აქედან 16 დააკომპლექტეს, ხოლო სამი რიცხვითი სახელების აღმნიშვნელია. ხოლო რაც შეეხება იდეოლოგიას, მათვე შექმნეს ქრისტიანული მოძღვრება, რომელსაც უწოდეს – ამენ [5,5]. ამ სტრუქტურების „მეცნიერულ აღმოჩენაზე კომენტარი, ვფიქრობთ, ზედმეტია. ყოველივე ეს შთაა კიტოვანის 62 გვერდიანი წიგნის („დიდი საუნჯის საიდუმლოს პატარა გასაღები“) სამგვერდიანი შესავლის მხოლოდ პირველ გვერდზეა მოთავსებული. წარმოსადგენია, რა აღმოჩენებზე იქნება საუბარი წიგნის სხვა გვერდებზე, ანდა მის 800 გვერდიან უზარმაზარ მონოგრაფიაში.

მელნისა და ქაღალდის დაზოგვის მიზნით ამ წიგნის კომენტარებს აქ ვწყვეტთ.

თუ ზემოთ წარმოდგენილი წიგნი, შ. კიტოვანისა, მკაცრ საცენზურო დროში, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გამოქვეყნდა (1990 წელს დაუსტამბავს გამომცემლობა „საქართველოს“, წიგნი კი, როგორც ჩვენი მინაწერიდან ჩანს, 1991 წლის 1 მარტს შეგვიძენია), ადგილი წარმოსადგენია, უცენზურო დემოკრატიის პირობებში როგორი წიგნები გამოქვეყნდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული წიგნი გახლავთ მამული ნეშუმაშვილის 506 გვერდიანი ნაშრომი „ისტორია და უფლის ღიმილი“, რომელიც გამომცემლობა „ლეოს“ 1997 წელს დაუსტამბავს. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. ქართველოლოგთათვის, ენათმეცნიერთათვის საინტერესო და უფრო სანდოა წიგნის მეორე ნაწილი (გვ. 329-506), რომელიც წარმოადგენს უდიურ-ქართულ ლექსიკონს. წიგნის რედაქტორი თამაზ ჩადუნელი რედაქტორის წინასიტყვაობაში წერს, რომ „ამ წიგნის პირველი ნაწილიც აუცილებლად საკამათო იქნება. აქ მკითხველს ბევრი რამ ჰიპოთეზურად მიეწოდება, ზოგიერთი მისაზრება ადგილად შესაძლებელია კრიტიკოსის ქარცხცხლშიც მოხვდეს, მაგრამ მაინც ავტორის მიზანია ამ წიგნის გამოცემით მომავალ ისტორიკოსებს მისცეს საშუალება ახალი კუთხით განიხილონ სამყაროს წარმოქმნის, ადამისა და ევას შთამომავლების, ნოეს ეპოქიდან წარმოშობილი ხალხის ისტორიული გენეზისი [6,9].

წიგნი ქართველების, იბერიულ-კავკასიური ხალხების დიდი სიყვარულითა და „კეთილსინდისიერებითა“ დაწერილი, ავტორი უდიურ (resp. უდურ, უფრო სწორია უდიური) ენას ნოეიშურ ენას უწოდებს და ამ ენის მონაცემებით ცდილობს ახსნას მსოფლიო ენებში არსებული ნებისმიერი სიტყვა:

მაგ: 1. ადამიან ლექსემას იგი ასე ხსნის: ადამ+იან. ნიშნავს: „ადამი აქ არის: (გვ.31);

1. ადამის შთამომავალ ენოქის სახელი ასეა ახსნილი: ენოქ=უკვე ცხენი (→უკვე რაში, უკვე ხომალდი), ე.ი. ავტორის აზრით, ენოქიმ, ადამის შთამომავალმა ცხენი მოიშინაურა და გაწვრთნა;
2. ქალსედა → ქალა სე და „(ღრა”ნ) → დიდი წყლის ზღვა - „წარღვნის“ ზღვა (გვ.49) იგი ამ სიტყვას აიგივებს კოლხთან;

3. გობრალტარ გეოგრაფიულ სახელს, რომელიც ატლანტიდასა და ელადას (სმელთაშუა ზღვას) აკავშირებს, ასე სსნის: გობრალტარ→გუ“რ+ბარალ+თარ(ა), რაც ნიშნავს: „შემჭიდრობულად სწრაფი ნაკადით ჩამდინარე მხარე“.(გვ.53);
4. მდ. ვოლგა →ბოლგა →„ბლომად ადგილი“ (გვ.60);
5. ვოლსოგ→ბოლ+სე+ბ(ინ) →ბლომად წყალი თავის (ჩრდილოეთის);
6. მდ. დვინა→დ(უზუნ)+ბინ+ა(ჭა) →ველი თავის (ჩრდილოეთის) მარჯვენა;
7. მდ. პეჩორა→ბე+ჩო+(ა)რ(ი)+აჭა→თავის მხარეზე (ჩრდილოეთის) მომდინარე მარჯვენა;
8. ბალტიკა ასეა ახსნილი: ზღვა „ბალტ“-ი → „ბალ+ტ(აღუნ) →თავის (ჩრდილოეთის) იქითა მხარე→ჩრდილოეთის(ზღვა) იქითა (გვ.60);
9. გეორგია→გე არი გა →გეონ არი გა →(მდინარე) გეონზე დაარსებული ქვეყანა (გვ.123) და ა.შ. ასეთი მიდგომით ჩვენც შეგვიძლია მსოფლიოში ყოველგვარი სიტყვა-გეოგრაფიული სახელი, მეტსახელი თუ გვარი ქართული ენით ავხსნათ. მაგ.,

1. ვარშავა ქართული სიტყვაა, რომელშიც დ თანხმოვანი დაკარგულა: ვარშავა←ვარ შავად. ამრიგად, ტოპონიმი ქართულია, ე.ი. ისტორიულად აქ ქართველებს უცნოვრიათ;
2. ადის აბება, შდრ. „ჩამოდის აბება“. ესეც ქართული სიტყვაა;
3. ნიკარაგუა. აქ მეგრულ (ქართველ) ნიკა რაგუას უცნოვრია, ე.ი. ტერიტორია ჩვენი ისტორიულად და ა.შ.

ამრიგად, ამ წიგნსაც არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან.

ჩვენი ყურადღება ამ მხრივ კიდევ ერთმა „მეცნიერმა“ მიიქცია, რომლის ნაშრომები ტყუპის ცალივით ჰგავს დასახელებულ წიგნებს. ეს მკვლევარ-გამომცემელი განლაგვთ ვლადიმერ ჩუბინიძე. მის მიერ ერთ-ერთ დაარსებულ გაზეთს ჰქვია „დამარხულ არს ენაი ქართული...“ იქვე მიუწერია: „მთელი კაცობრიობის, როგორც ერთი კაცის გაზეთი. №1, ფასი 30 თეთრი. „იქვე მითაგსებულია ავტორის ფოტო, რომელიც გამოსახულია ბოზაში, თითქოს თავის წიგნს კითხულობდეს [7]. ავტორის გაზეთის დანიშნულებაა „სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ.“ გაზეთის პირველსავე გვერდზე ავტორი მოგვიწოდებს ჭეშმარიტების შეცნობისაკენ და იქვე გვაფრთხილებს, რომ სიტყვა „ქართული“ - „ცოდნით ნაბრუნ-ნაკეთებს“ ნიშნავს (გვ.1), ე.ი. ჭეშმარიტების ცოდნა კოდირებულს და ამდენად „ენაი ქართული“-ში არა მხოლოდ ის ენა იგულისხმება, რა ენაზეც დღევანდელი ეთნიკური ქართველობა ლაპარაკობს, არამედ – ენა საერთოდ, რამეთუ, ალბათ, ყველა დამეთანხმებით, რომ ყოველი ენა ანუ მასში შემავალი ყოველი სიტყვა, სრულიად გარკვეულ ცოდნა-ინფორმაციას შეიცავს. სწავნიარად, ენა ანუ იგივე სიტყვა, ენა ანუ სიტყვა, აღარ იქნებოდა და მხოლოდ ბეკრათა უაზრო გამოძახილად აღიქმებოდა. ამიტომაც, ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი უნდა იყოს ჩემი ის გამოკვლევა, რომ სიტყვა „ქართული“, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ცოდნით ნაბრუნ-ნაკეთებს“ ანუ „ჭეშმარიტებაცოდნაკოდირებულს“ ნიშნავს და ამდენად თურმე ჭეშმარიტებადაც ყველა ენაც ყოფილა „ქართული“ ანუ „ჭეშმარიტებაცოდნაკოდირებული“. ამის შესახებ, გვამცნობს ავტორი, „მე უფრო საფუძვლიანად ჩემს ადრე გამოქვეყნებულ წიგნებში „სასწაულ“-სა და „ჭეშმარიტება“-ში მაქვს მოხსენებული“. იქვე ავტორი თავის ნაშრომს რეკლამას უწევს და დასძენს: „სწავთა შორის მსურველს შეუძლია შეიძინოს აღნიშნული წიგნები რედაქციის მისამართზე მინიმალურ ფასებში“-თ. ეს სწავთაშორისო. შეძევ კვლავ სიტყვა „ქართულს“ უბრუნდება. მისი აზრით, სიტყვა „ქართველიც“-„ჭეშმარიტებაშემეცნებულს“ ანუ „ზიარებულს“ უნდა ნიშნავდეს. და ამდენად, ჭეშმარიტი ქართველი სწორედ ჭეშმარიტების ცოდნაზიარებული ადამიანია, მიუხედავად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, ხოლო „საქართველო“ კი, მისი აზრით, მთელი სამყაროა და არა მარტო ის მცირე ნაწილი დედამიწაზე, რომელსაც ჩვენ სახელდობრ ჭეშმარიტების შეუმეცნებლობის გამო, საქართველოდ მოვიხსენიებთ“, მაგრამ ამის შესახებაც, უფრო დაწვრილებით, ჩემს ზემოხსენებულ წიგნებში სწერიათ,- დასძენს მოაზროვნე- მკვლევარი. იგი ყველას მოგვიწოდებს, რომ გავხდეთ ჭეშმარიტი ქართველები ანუ ჭეშმარიტებაზიარებულები,



რაკი ამის შესაძლებლობა უკვე მოგეცათ, თუკი სერიოზულად მოეკიდებით ამ გაზეთისა და მისი ავტორის განაცხადს და აქტიურად ჩაებმებით მასთან თანამშრომლობაში.

„ორგვერდიანი გაზეთის მეორე გვერდზე ავტორი სწავლას „ცავლა“ ფორმით ცვლის და „ღვთიურ სვლად“ ხსნის.

მაშ ასე, ვინც ვლადიმერ ჩუბინიძის წიგნს არ შეიძენს, მასთან არ ითანამშრომლებს და მის იდეებს არ გაიზიარებს, ჭკუშმარიტი ქართველი ვერ იქნება.

ისმის კითხვა: მაინც რაზეა საუბარი მეცნიერ - ფილოსოფოსად მოვლენილი ვლადიმერ ჩუბინიძის „სასწაულ“-ში?

წიგნის გარეკანი [8] ყურადრებას იქცევს იმ მხრივ, რომ თქრისფერი ასოებით აწერია „სასწაული“, შემდგომ ასომთავრულით ქვემოთ „სასწაული“ შეცდომით წერია ასომთავრული თ, აკლია? (უ ხომ ძველ ქართულში თრი გრაფიკით (თუ) გადმოიცემა). ასომთავრულად დაწერილი სასწაულის ქვეშ ავტორი თანამედროვე მხედრულით ათავსებს მრგვალ ასოებთან სიტყვას „სასცაული“. ერთი სიტყვით, ავტორი წიგნის სათაურშივე „ფილოსოფოსობს“. იგი წიგნის 562-ე გვერდზე ეთანხმება შოთა კიტოვანს, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მსოფლიოს ყოველი დამწერლობა შეგნებულად იქნათ შექმნილი ქართველთა წინაპრების მიერ და დარიგებული სწავლასწავა ხალხებში, რომ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ დამწერლობისადმი (სტილი ავტორისაა, ბ. ცხ.). იგი ასევე იმოწმებს და იზიარებს ცნობილი ცრუმეცნიერის შალვა კაჭარავას მიგნებებს და მეთოდს [გვ. 478].

ვლ. ჩუბინიძე „საქართველო“-ს ასე შლის: ჰა (ვითომც: ჰა ცოდნათ, ჰართელობა ანუ ქართველობა ნიშნავს არა ადამიანთა ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფს, არამედ მთელი ჰა ცოდნის ერთდროულად ფლობას ერთი ცალკეული ადამიანის მიერ... ჰართელი ანუ ქართველია ის, ვინც სამყაროსეული ჭკუშმარიტი ცოდნის მფლობელია... [გვ.479]. ამრიგად, მისი აზრით, ჰართლისი|ქართლისი, ჰანინა ნიშნავს ჰა ნინა, ანუ ცოდნის ენას (აქ მეცნიერ –ადმომჩენი მეგრულის ცოდნასაც ამჟღავნებს) და ა.შ. ვლ. ჩუბინიძეს საერთოდ წარმოდგენა არა აქვს ქართული ენის ბუნებაზე, ენობრივ პროცესებზე, რომ ქართულში (ისე როგორც მეგრულ-ჭანურსა და სვანურში) ჰ→ქ ან ქ→პ არასდროს არ მომხდარა და არც მოხდება:ასეთი „მეცნიერული მიგნებებითაა“ სავსე ეს წიგნი.


რაც შეეხება ავტორის მესამე წიგნს, რომელიც „სასწაულის“ გაგრძელებაა, აქ არ განვიხილავთ [9], რადგან ავტორი ზემოთეულ ახსნებზე და მეცნიერული მიგნებებით აღსავსე მისეულ ჭკუშმარიტებაზე გვესაუბრება.

სამწუხაროდ, ამდაგვარი მცდარი მეცნიერული ახსნა-ეტიმოლოგიებით სავსეა ზოგიერთი ქართველი მწერლის ნაწერები, კერძოდ, გური თტობაიას ახალი 896 გვერდიანი რომანი „როკი“ [10] (აქ ამის შესახებ არას ვიტყვით, ეს ცალკე თემაა).

„მეცნიერული მიგნებებით“ აღსავსეა ზურაბ ჭაფიანიძის წიგნი „შუმერების ანბანი“. ავტორმა იგი 1990 წელს გამოსცა იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წელი იწურებოდა. წიგნი ურედაქტორთა, ლურჯი და წითელი ფერის ფლომასტერით ნაწერი, ნაშრომი წინათქმით იწყება, არ ახლავს სარჩევი, თუმცა თავები თუ პარაგრაფები ზოგჯერ გამოყოფილი უნდა იყოს. მაგ., წინა თქმას მისდევს სათაური: „ასომთავრულის კულტი რაჭაში“. აღსანიშნავია, რომ წიგნი თავიდან ბოლომდე დაუნომრავია, ჩვენი გამოთვლით, „მონოგრაფია“ 146 გვერდს შეადგენს. ავტორი მხოლოდ რამდენიმე ადგილას რამდენიმე მკვლევარს (4) იმოწმებს: ივ. ჯავახიშვილს, რ. პატარიძეს, ს.ნ. კრამერს, ილ. ჭავჭავაძეს.

ზ. ჭაფიანიძე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს მეცნიერებაზე. ამ ურთულეს პრობლემას – შუმერულ (მისი გამოთქმით შუმერების) ანბანს ქართულ ანბანთან აიგივებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შუმერები იგივე ქართველებია. თქმულის დასამტკიცებლად ავტორი ნაშრომს რაჭაში არსებული ბაჭულითა და ბონჩუანით იწყებს. მისი თქმით, „რაჭაში სიტყვა ბაჭული საერთო სახელია ლობიანის, ნაჭაბურის, ფსლუანისა და ასე შემდეგ. ხოლო ბავშვებისათვის აცნობენ ბონჩუანებს, რომლებიც ბაჭულის ნაირსახეობაა, ფორმა აქვს, ტოლგვერდა ოთხკუთხედისა, ტოლფერდა და მართკუთხა სამკუთხედისა, წრისა, - მზითა და ჯვრებითაა მონატული – ასომთავრულის ყველა საჭირო ფორმები აქვს“ (სტილი დაცულია, ბ. ცხ.) [11]. ამრიგად,

ზ.ქაფიანიძე, მეცნიერის რანგში მოვლენილი, შუემერთა ანბანის ამოსწას რაჭული ნაჭაპურებით, ბონჩუანებითა და ბაჭულებით ცდილობს.

წიგნი ცუდი, გაუმართავი ქართულითაა ნაწერი. მაგ., „ყველა საჭირო ფორმებით, სწორია: ყველა საჭირო ფორმით, ნეტაი დანარჩენთ რა ფორმულა აქვთ? „ნეტაი“ დიალექტიზმია, სალიტერატურო ქართული ენის ნორმების მიხედვით ინი ზედმეტია. „ან კი ააქვთ ფორმულა? ააქვთ-ში ერთი ანი ზედმეტია. ავტორს თურმე „ერთსელაც ბიჭილა დაუნაზავს და ასომთავრულით მიუწერია ბიჭილა-ბონჩუანი. დანაზულ ბიჭილაში მოუსურვებია დაწერილ ასოთა მითავსება... და... ამ დროს მომხდარა სასწაული.“ შემდეგ კი ერთ ბიჭილაში მოუთავსებია ყველა ასო-ნიშანი და მიუღია კიდევ ფორმულა . იქვე წითელი ფლომასტერით ფრჩხილებში მოუთავსებია ამ მიგნების პირველწყარო: „ადრე ასონიშნებს გაერთებდი და სულ გეომეტრიულ ფორმებს ვიღებდი, ამან მიმაგნებია... ბიჭილას კუთხვებს,“ დასძენს ამ აღმოჩენით კმაყოფილი მკვლევარი. აქვე უნდა შეგნიშნოთ ისიც, რომ შუემრული ანბანი აქ არაფერ შუაშია. მას არც ერთი შუემრული ფორფიტა არ წაუკითხავს. შუემრულ ანბანში იგი ძველ ქართულ მრგვლოვანს ასოებს ანუ ასომთავრულს გულისხმობს. ისიც უნდა დაგუმატოთ, რომ ავტორი ასომთავრული ასოებით დაწერისას ბიჭილას ქ-ს რატომღაც ასომთავრული ჯან-ით ცვლის. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზ. ქაფიანიძე შეგნებულად „ურევს“ ქ-ს ჯ-ში.

მთელი წიგნი სავსეა ფლომასტერით შესრულებულ გეომეტრიულ ფიგურებში ჩასმული წრეებით ერთ-ერთ გვერდზე (გვერდის ვერ ვასახელებ, რადგან ავტორს ნუმერაცია საერთოდ უარუყვია) შენიშნავს: ბიჭილაშიც ღასის რიცხვი თორმეტიაო და იქვე არითმეტიკულად წაიგარჯიშებს:  $1+2+3+4=12$ . საიდან მიიღო 12 და არა 10, ჩვენ ვერ ამოვსწავით: მომდევნო გვერდზე კვადრატში დღევანდელი მხედრული ნ-არი ჩაუნაზავს რატომღაც. როგორც ჩანს, ძველი ქართული ასომთავრული ნ-არი ამ შემთხვევაში დავიწყნია, ან შეგნებულად „აურევია“. შემდეგ გვერდზე ასევე კვადრატში ასომთავრული 9 ჩაუნაზავს, იგი გრძელი -ი-. აქაც ასევე იქცევა: მოკლე ი ანუ იოტა გრძელი ი ანუ სრულ ინად აქვს წარმოდგენილი. ასოთა დასახელება ზოგჯერ წრფელობითი ბრუნვით ანუ ფუძის სახითაა მოცემული, ზოგჯერ სახელობით ბრუნვაშია: მაგ; თნი, პარ, ჯანი. ასომთავრული სან-ის ნ ასომთავრულისავე ჩინში ერევა ასომთავრულ უნს თნის გარეშე წერს. ჩანს, ამ შემთხვევაში „გამორჩენია“, დავიწყნია, რომ ძველ ქართულში ასომთავრულად უ ნმოვანი თრი ასო-ნიშნით გადმოიცემოდა, ინით და ფინით: „ოვ“ ამ თრი ასო ნიშნის შერწყმით, მას შემდეგ, რაც მრგვლოვან თნს თავი შეეხსნა, იგი თანდათან ერთ ასოდ გადაიქცა:  $ოვ \rightarrow უ$ . მკვლევარს ასევე შეშლია ასომთავრული სან-ის დაწერაც.

ერთ-ერთ გვერდზე აქადებ სატიმთ სახელს სწორად ნმართბს მრ. რიცხვში, მაგრამ იქვე ორ სიტყვაში თრი შეცდომა მოსდის: „იგივე აქადეგებმა“ (უნდა: იმავე აქადებმა ან „იმავე აქადელებმა“), იქვე წითელი ფლომასტერით შემოკლებით მიუწერს „ზ. ქაფი“, რომ მისი ნააზრევი ალბათ არავინ მიითვისოს, ასეთ ხელმოწერას „ზ. ქაფი“ ზედიზედ ურთავს მომდევნო თრი გვერდის ბოლოს.

შუემრული ანბანის აღმოჩენი ერთ-ერთ გვერდზე თითქოს კითხვას სვამს და იქვე პასუხსაც იძლევა: „ლურსმულ სამყაროში საიდან გაუჩნდათ სემიტებს ასეთი ასონიშანი თუ არა ბიჭილადან? ჩანს, ავტორს რაჭული ბიჭილა უფრო ძველად მიაჩნია, ვიდრე სემიტური მოდგმა და მათი დამწერლობა. ნაშრომის „მეორე ნაწილში“ ასომთავრულის ნაცვლად სემიტურ – აქადური ანბანური ნიშნებია ჩასმული კვადრატებში.

ერთგან კვადრატებში მითავსებული მრგვალი ფიგურები ასეა დასათარებული: ბანიანი, ანიანი. გასარკვევია: რას ნიშნავს ეს ტერმინები? ბანიანი, ანიანი თუ?... ამ გვერდის წინარე გვერდი ავტორს 107 რაოდენობით რიცხვითი სახელით, ლურჯი ფლომასტერით დაუნომრავს. ალბათ 107 გვერდს აღნიშნავს.

ერთ-ერთ გვერდზე შეუკუმშავი ფორმებია: „მთვარის კალენდართ“, „მზის კალენდართ“. (სწორია: კალენდართ).

მომდევნო გვერდებზე ასეთი უაზრო წინადადება დაუწერია: „საიდან მოდის ან სადუნდა ვეძიოთ ანბანთა გასაიდუმლოების მომენტსა და საჭიროებას?“ ალბათ უნდა დაეწერა: „სად უნდა ვეძიოთ ანბანთა გასაიდუმლოების მომენტი და მისი საჭიროება“.

ერთ ადგილას თავის ორიგინალურ კითხვაში გამოხატულ აზრს გვთავაზობს: „რა ღურსმულიდან შეიძლება გადავხედოთ სემიტებს ასეთი ასოები თუ არა ასომთავრულიდან?“ ამ შემთხვევაში ფრიად პატივცემული მკვლევარი განსწავვებულ აზრს გვთავაზობს: თუ რ. პატარიძე [12] ქართულ დამწერლობას უშუალოდ სემიტური ანბანისაგან მომდინარედ მიიჩნევს, ზ. ქაფიანიძე პირიქით: ქართული ასომთავრული ეგულება უძველესად და მისგან მომდინარედ სემიტური ანბანი.

ერთ-ერთ გვერდზე ავტორისეული აზრი ისეა გაბუნდოვანებული წინადადების სინტაქსურად გაუმართაობის გამო, რომ შინაარსის გამოტანა თითქმის შეუძლებელია. აი ისიც: „არ შეიძლება ასომთავრული გადმოღებული იყოს ან მერე შექმნილიყოს, რადგან-ებილიდან-მაჯიდან-პირიდან-ანკესიდან-კედიდან-სემიანთა ანბანის სახელდებებია შექმნა ცნობილთა და ღვთაებათა ანბანი.

კაცობრიობის, დამწერლობის, ისტორიის ვერცერთი მომენტი ამას არადა ვერ დაუშვებს და არც აქვს დაშვებული მთელი მისი არსებობის მანძილზე!!!“ ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ბოლოსწინა მესამე გვერდი, როგორც ჩანს, ბოლოსიტყვა ავტორისა, რომელსაც ასე იწყებს: „+ + +

აზროვნების წეთავისუფლებას მაძლევდა ილია ჭავჭავაძის მინიშნება ძველ ქართულ ტომებზე:

- შუმერებზე
- კაბადოკიელებზე
- სეთებზე

და – მცირეაზიელებზე.“

მკვლევარი ისტორიის სრულ უმეცრებას ამჟღავნებს:

1. შუმერები ძველ ქართულ ტომად მიაჩნია, მაშინ როცა შუმერები შავთავიანები იყვნენ... ქართველები კი პირიქით, ქერა, ცისფერ და თაფლისფერ თვალებიანი... მთელი მსოფლიო თავს იმტვრევს იმაზე, რომ შუმერები მოსული ნაღსია სამხრეთიდან თუ სამხრეთ აღმოსავლეთიდან, შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ასე შექმნეს შუმერული ცივილიზაცია, როგორ გაქრნენ არ იციან თითქმის სემიტებს შეერწყნენ, სრულად ვერ იშოფრება მათი წარწერები და ფირფიტები. ზ. ქაფიანიძე კი, რომელსაც შუმერულად ერთი წინადადების წარმოთქმა – წაკითხვა არ შეუძლია, ერთი სკლის მისმით ამ ძველ ნაღსს ქართველებად ასაღებს. თუ ასეა, მაშინ შუმერები ანუ ქართველები არაადგილობრივი, მოსული ნაღსია... ლოგიკა ასეთია!
2. კაბადოკიელებიც მკვლევარს, როგორც მისეული ნაწერიდან ჩანს, ერთ-ერთ ქართველ ტომად მიაჩნია. სინამდვილეში კაბადოკიელები (კაბადოკია სპარსული სიტყვაა და „ცხენების ქვეყანა“-ს ნიშნავს. იგი სპარსელებმა შეარქვეს ჩვენს ტომებს დაპყრობის შემდეგ. ალბათ, სავარაუდოა, მათ კარგი, გამორჩეული ჯიშის ცხენები ჰყავდათ). მრავალეროვანი და მრავალენოვანი ტომები იყვნენ...
3. სეთებიც ავტორს ქართველებად მიაჩნია, სინამდვილეში ისინი ინდოევროპული მოდგმისანი იყვნენ, რომელთაც დაიპყრეს, დაიმორჩილეს პროტოსეთები ანუ იბერიულ – კავკასიური ტომები, მოანდინეს მათი ასიმილაცია და მათივე კულტურას ეზიარნენ...
4. რაც შეეხება მცირეაზიელებს, ისინიც მრავალეროვანი და მრავალენოვანი ტომ-ქვეყნებია, ამ შემთხვევაშიც მკვლევარი სრულ უეცობას ამჟღავნებს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზ. ქაფიანიძის ეს წიგნი თუ წიგნი – ალბომი ავტორს ნაბან-უსეგზე დაუწერია, თორემ ასეთი „უნებლიე“ შეცდომები არ მოუვიდოდა. წიგნს რომ ნამდვილი მეცნიერ – რედაქტორი ჰყოლოდა, ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილ ცდომლებათა უმეტესობა მაინც არ გაიპარებოდა...

შემდგომში ზ. ქაფიანიძემ, როგორც „ფილოლოგმა თუ ჟურნალისტმა, დააარსა და გამოსცა სამეცნიერო გაზეთი „შუმერი“, პლაკატები: კაცობრიობის ანბანური გაფრცვლები ანალი ცნობილი“ და „კაცობრიობის ბირველი ანბანი, ანბანური მზისა და მთვარის კალენდარი“, დააარსა სამეცნიერო ცენტრი „შუმერი“. –გკითხულობთ თ. მიხეუანის თანაავტორობით გამოქვეყნებული წიგნის გარეკანის მეთრე გვერდზე [13]. თურმე მან „40 წლის დაძაბული მუშაობის შედეგად

ასწავლავს V–III ათასწლეულების შუმერული თინის ფორმები და ბუქდები, თინის შუმერული ქურჭლის მონატულობა და სარკოფაგთა წარწერების ნაწილობრივი სისტემა. აღმოაჩინა ანბანის რიცხვითი ნაწილობრივი და კოსმიური სისტემის ფორმულა, რითაც ცნადა განადა უძველესი ქართული ასომთავრულის შუმერული წარმომავლობა, ჩამოაყალიბა კაცობრიობის პირველი ანბანური დამწერლობის სისტემები და აღადგინა ძველი წელთაღრიცხვის 5604 წლის შუმერული კალენდარი, რომელშიც ყველაფერი წამების სინუსტიტთა განსაზღვრული, არის საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი“, - წერია იმავე მოკლე ბიოგრაფიულ ცნობარში. ჩვენ მის არტისტულ ოსტატობაზე ვერას ვიტყვით, მაგრამ მის მეცნიერულ აღმოჩენებზე, შეიძლება ითქვას, „შუმერების ანბანის“ გამოცემაზე არაფერი გგონია. რამდენადაც ვიცით, მას სამეცნიერო კონფერენციებზე რაიმე მეცნიერული გამოკვლევა თუ მოხსენება არ წაუკითხავს. ჩვენი აზრით, მისი მეცნიერებით გატაცება გამოწვეულია 1980 წელს გამოცემული რამაზ პატარაძის „ქართული ასომთავრულის“ წაკითხვითა და რაჭული ბიქილა-ბონჩუანებით...

დასახელებული წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ (მოგვყავს ერთი ნაწყვეტი): „შუმერული ენა, რომელიც დაახლოებით თინი ათასი წელი მკვდარ ენად ითვლება, კვლავაც ცოცხლობს ქართული ენის უძველეს სვანურ - მეგრულ დიალექტებში“. აქ წიგნის ავტორებს (ზ. ქაფიანიძეს, თ. მიხუანს) უძიმესი შეცდომა მოსდით: მათ უძველესი სვანური და მეგრული ქართული ენის დიალექტები ჰგონიათ. თუ სვანური და მეგრული ქართული ენის დიალექტებია, მაშინ რა გუწოდოთ სინამდვილეში არსებულ მეგრულის კილოებს-სენაკურსა და ზუგდიდურ - სამურზაყანულს? რა გუწოდოთ სვანური ენის კილოებს ბაღსჯემოურს, ბაღსქვემოურს, ლენტეხურს, ლაშხურს, ჩოღურულს? რატომ გამოტოვებს მეოცე საუკუნის უდიდესმა აღმოჩენებმა ქანური ანუ ლაზური და მისი კილოები: სოფური, ათინური და ვიწურ-არქაბული? სპეციალისტებმა როგორ მოგინსენით თანამედროვე ქართული ენის კილოები ანუ დიალექტები: ქართლური, კახური, ინგილოური, თუშური, სეხურული, მონსური, მთიულურ-გუდამაყურული, ფერეიდნური, მესხურ-ჯავახური, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ტაო-კლარჯულ-ლივანურ-შავშური? ჩანს, სწორუბოვარ მკვლევართ წარმოდგენა არა აქვთ ქართველურ ენებსა და მათ კილოებზე, პრაქტიკულად ენაზე. ეს მათ, როგორც ჩანს, არ სჭირდებათ, რადგან უამისოდაც თავიანთი უდიდესი აღმოჩენით „არაერთ ცხოვრებისეულ საიდუმლოებას ხდიან ფარდას, რაშიც ისინი დედაბის ბინადართა შორის მშვიდობის, თანამშრომლობისა და ერთიანობის იდეოლოგიურ იარაღსაც“ სედავენ, რაც ნიადავს გამოაცხადის ყოველგვარ პოლიტიკურ, თუ რელიგიურ დაპირისპირებებს (ინ. ანოტაცია). ისინი, თავადვე, ვაოცებულნი თავიანთი აღმოჩენით, საერთო წიგნის მესამე გვერდზე მიმართავენ მსოფლიოს მეცნიერებს, აღმოსავლეთმცოდნეებს, მკვლევარებს, არქეოლოგებს, ანბანმცოდნეებს, ოუნესკოს, რომ აღმოჩენილია შუმერების ანბანი, აღმოჩენილია ანბანის რიცხვითი ფორმულა, რომელიც საოცარი ზეკუთხედით განაგებს ასოთა მონაწილეობას, რიცხვებს, მათემატიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას. ზ. ქაფიანიძე ისტორიკოსობასა და პალეოგრაფ - ენათმეცნიერობას არ სჯერდება, არც პრემიის ლაურეატობა და საქართველოს სახალხო არტისტობა იტაცებს, მას „შლიმანობა“ მოსურვებია ქართველური ენების ცოდნის გარეშე. არიქა, გვიშველეთ, მოუწოდებენ ზ. ქაფიანიძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. თ. მიხუანი, შუმერულ სიტყვებს საოცარი სინუსტით ხსნის საქართველოში შემონახული ენები: მეგრული, სვანური და თავად ქართული (ქანური კვლავ გამორჩენილი, ბ. ცნ.). ეს ენები და ხალხი, მკვდარი და წაშლილი რომ ჰგონიათ მსოფლიოს მეცნიერებს, აქ, საქართველოში შემონახული და ცოცხალია (გვ. 5). ვის ჰგონია, ამის შესახებ არას ამბობენ. როგორ, უცხოელმა ქართველოლოგებმა ქართული, მეგრული და სვანურის არსებობა არ იცან?... ავტორები მათ არსებობას ამ შემთხვევაში განგებ ჩქმალავენ. მათ „შლიმანობა“ მოსწყურებიათ.

ზ. ქაფიანიძის აზრით, ამ განცხადებას საფუძვლად დაედო 24 გამოკვლევა, რომელთაგან 22 ავტორისეულია, 23-ე ივ. ჯავახიშვილის ასოთმცოდნეობა-პალეოგრაფიაა, 24-ე რ. პატარაძის წიგნი „ქართული ასომთავრული“. ამრიგად, 22 მიგნების თუ გამოკვლევის ავტორია ზ. ქაფიანიძე, რომლის აზრით, „ანბანი იწყება შუმერიდან და ეს ანბანი ქართული ასომთავრული, იგივე

შუმერების ანბანია, ის ანბანი, რომლისგანაც ისწავლა წერა-კითხვა მსოფლიომ“ (ნაზი ავტორისაა, ბ. ცნ.).

ამჯერად ამ გვერდებდანომრილი წიგნის მე-10 გვერდზე ზ. ქაფიანიძე გაკვირვებული და იმავე დროს თავისი აღმოჩენებით აღფრთოვანებული შენიშნავს: „საინტერესოა, აქამდე ვინმეს აზრად რატომ არ მოუვიდა, რომ შეეძარებინა ერთმანეთისათვის ეს ორი ანბანი?!“ (იგულისხმება შუმერული და სემიტური).

ზ. ქაფიანიძის მეცნიერულ მიგნებებზე და მსოფლიო აღმოჩენებზე აქ ვწყვეტო მიმოხილვას, რადგან ამ წიგნში იგივე წერია, რაც ადრე გამოცემულ „შუმერების ანბანში“.

თ. მიბჩუანი ზ. ქაფიანიძის თანაავტორობით გამოქვეყნებულ წიგნში თავის სტატიას „მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენით“ ასათაურებს, რომელსაც მოსდევს „რეფერენად“ წარმოდგენილი იტალიელი ფილოსოფოსის თომასო კამპანელას (1568-1639) აფორიზმი: „ჭეშმარიტების კრიტიკიკა ცდა“, რითაც მკვლევარი მიგვანიშნებს იმთავითვე ზ. ქაფიანიძის ორმოცწლიანი დაკვირვების წყალობით და მათემატიკური სიზუსტით არგუმენტირებულ მეცნიერულ პასუხებს შუმეროლოგთა წინაშე დასმულ კითხვებზე. ავტორს სჯერა, რომ ადრე თუ გვიან, დიდი საერთაშორისო აღიარება მოჰყვება ზ. ქაფიანიძის „აღმოჩენებს“, მიუხედავად მოსალოდნელი დიდი წინააღმდეგობებისათ“ (გვ. 76). მისი მტკიცებით, „ამ ჭეშმარიტების აღიარებით დარგობრივ მეცნიერებებში დამკვიდრებული „ფეოდალიზმი“ შეიძლება სხულასავით დაინგრეს, სამაგიეროდ მას მოჰყვება დედამიწაზე არსებულ ინტელექტუალურ გონთა მობილიზაცია მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერული ჭეშმარიტების სრულყოფის მიზნით, რაც გაააქტიურებს საკაცობრიო კეთილშობილური იდეების ცხოველმყოფელობასა და სიცოცხლისუნარიანობას“ (გვ.76). მისივე ეჭვსუეტანელი დასკვნით, „ერთი ადამიანის მიერ გაწეული ეს ტიტანური შრომა აღემატება ზოგიერთი სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში შესრულებულ სამუშაოს. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა ქართული ასომთავრული ნიშნების ღრმა ფილოსოფიურ ჭრილში წაკითხვით...“ (გვ.77). როგორც ჩანს, თ. მიბჩუანი არ კმაყოფილდება ზ. ქაფიანიძის ჩვენთვის ცნობილი ტიტულებით (საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ასტრინომი, არითმეტიკოს-მათემატიკოსი, გეომეტრიის უბადლო მცოდნე, 22 მიგნების ავტორი) და შეფარვით ფილოსოფოსს უწოდებს, რადგანაც მას თურმე „ქართული ასომთავრული ნიშნები ღრმა ფილოსოფიურ ჭრილში“ წაუკითხავს. შემდეგ ცნობილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თავის დაკვირვებებსა და აღმოჩენებზე გვესაუბრება. მისი თქმით, „საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შუმერულსა და ქართველურში (სვანურში) ათეულობით სიტყვა-ტერმინთა, როგორც ფონეტიკურ, ისე შინაარსობრივ იდენტურობასთან გვაქვს საქმე“ (გვ.83).

საილუსტრაციოდ მკვლევარი ჩამოთვლის მისეულ მიგნებებს:

შუმერული	სვანური	ქართული
მარე	მარე	კაცი
შუ	ში	სელი
მელამ	მელამ	ალი
გურუშ	გურუშ	მდაბით
ნიცირი	ნიცირი	წართხალი
ადაბ	დაბ	ყანა
აშგაბ	აშგაბ	დაბალი
ეზენ	ეზენ	კარგი
ზეშ	ფაშა	დაღლა
და	თაღ	სოლი
იერე	იერე	ვიღაცა, მონა
დი	დი	დედა, დიდედა
ქი	კიმ	მიწა

და სწვა (გვ.84).

მკვლევარი, ჩვენის აზრით, შუმერულს სვანურს უფრო უდარებს, ქართულს განზე ტოვებს. მაგ., შუმ. მარე, სვან. მარე, ქართ. კაცი. ეს უკანასკნელი კაც სიტყვა სულ სწვა ფუძეა, მეგრ-ჭანურში მას კონ შეესატყვისება, სვანურში ჭა“შ. ქართულშიც მარ(ე) ფუძე რომ უნდა გვექნოდა, ამაზე მეტყველებს ძველი ქართულის სამარე // სამარი: ათი წლის წინათ ერთ-ერთ ჩვენს ნაშრომში აღნიშნული გვაქვს, რომ ძველი ქართული ენის ტექსტებში უფრო სწორად სამარე ფორმა გვხვდება, რომელსაც ზოგ რედაქციაში ენაცვლება საფლაგ ლექსემა, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს ორი სიტყვა სამარე და სამარი ორი სწვადასწვა დიალექტის კუთვნილება უნდა იყოს [14, 69]. ოთხთავში წერია: სწდეს წინაშე სამარესა მას (მათე 27, 61 C, DE-შია: საფლაგსა).

საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში სამარე ნართანთან მრავლობითში არ შეგვხვდრია, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ებ-იანი მრავლობითის ფორმები: რომლითა საქმითა დაეფლნიან სამარებსა. (შატბ. 300, 38; ინ. ასევე: გამოცნ. 11, 9; ფსალმ. დავ. 130, 29).

რადგან ძველი ქართულის ტექსტებში „სამარეები“ (ისე როგორც საყურეები) ფორმა არ შეგვხვდრია, ვფიქრობთ, სამარეები მრ. რ. ფორმა მხოლოდობითში უნდა გულისმობდეს სამარ-ი ფორმის არსებობას, რაც მართლაც დასტურდება ძველ და ე.წ. საშუალი ქართულის წერილობით ძეგლებში: და აქუნდა ყოველი განსასუენებელი და სამარი (ნოვ. II. 134, 16-17); მიწადვე მიქცეულთათჳს და თსწა მას დედასა თანა მისრულთა, რწი იგი უკწთ არ ყწთა ზწა იყო ბრძანებულ სილულთა ამათ სამართამცა სადმე იყო მწუნარებად (A-1101, 160 ზ, 19); მჯდომარე იყვნენ სამარად მონაზონნი სუთასნი (მიმოსლვა, 26, 26); სამარი ფორმა იმარება „ვეფხისტყაოსანშიც“: ანუ მომეც განკურნება, ანუ მიწა მე სამარი [1]. სამარი გვხვდება აგრეთვე აღორძინების ხანის ძეგლებშიც: მოკლა მან ჩემად უგრძნობლად, მიწა ძლივ მისცა სამარად (გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, 702, 4); შენი სამ არი, შენი სამარი სანატრელია, რა მიგაბარა (არჩილი, 1. მეფ. 51, 1).

ამრიგად, რადგან ძველი ქართულის ტექსტებში ნა-მარ/ე (შდრ. სამარ/ე), ნა-ყურ (სა – ყურ-ი) ფორმები არ შეგვხვდრია, რომელთა არსებობა ძველ ქართულში საეჭვოდ არ მიგვაჩნია, ვგარაუდობთ, რომ ამ სიტყვაში სა- თავსართი გაქვავებულია, სახელის ფუძის კუთვნილება გამხდარა [14,70]. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებაც ცნადყოფს, რომ „საფლაგის“ სინონიმური ცალი „სამარი“ ქართული (აფიქსი სა) ენა იყო იქ, იმ დროს, როცა დამარსვა ქვეყნში სდებოდა [20, 57]. აღსანიშნავია, რომ საფლაგი და სამარი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მართლაც გვეხვდრება: თუ ერთ რედაქციაში სამარია, მეორეში საფლაგია დამოწმებული.

<sup>1</sup> ვსარგებლობთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი სახელმწიფო კომისიის სალექსიკონო ფონდით.

როგორც დაგრწმუნდით, მარ/ე სიტყვა არა მარტო სვანურში, ძველ ქართულ ენაშიც გვქონია. სამწუნაროდ, თ. მიბჩუანს შუპ. მარე, სვან. მარე ლექსემების შედარებისას სრულიად „დაჰვიწყნია“ ძირძველი ქართული სიტყვა მარ/ე, სამარე. თუმცა იგი (თ. მიბჩუანი) 1989 წელს გამოცემულ წიგნში მარეს შესახებ სრულ და ამომწურავ პასუხს იძლევა [18, 295-296].

მეორე შესადარებელი მაგალითი მკვლევრისა- შუპ. შუ, სვან. ში, ქართ. ხელი- ამ შემთხვევაშიც მკვლევარს თითქოს საგანგებოდ ქართული ენის სწვა ფუძე აუღია (ხელი შესადარებლად). სჯობდა ამ შემთხვევაში ში თანდებული (და მისი ვარიანტები შინა, შიგა, შიდა...) შეედარებინა. შდრ. სახლში, სახლსა შინა, სახლსა შიგა, სახლსა შიდა; ტერმინები: შიდა ქართლი, შიგნიკახური, შიგთავსი, შინაური და სწვა. როგორც ჩანს, თ. მიბჩუანი მხოლოდ შუმერულ-სვანურის საერთო მონაცემებითაა გართული, ქართული ენის იდენტურ მასალაზე არც კი ფიქრობს.

დავითწმუბთ კიდევ მკვლევრისეულ ერთ შედარებულ მაგალითს: შუპ. ადაბ, სვან.დაბ, ქართ. ყანა. აქაც მკვლევარს ქართული შესადარებელი მასალა ავიწყდება. რატომღაც ყანას უდარებს. ამ შემთხვევაში შუპ. ადაბ, სვან. დაბ-ის ანალოგიური ფუძეა ქართული დაბ, რომელიც გვაქვს დაბა, დაბალ//მდაბალ, უდაბურ, უდაბნო, მდაბიო//მდაბურ ლექსემებში.

ან კიდევ: შუპ. და, სვან. თალ, ქართ. სოლ. ეს უკანასკნელი სწვა ფუძეა. მკვლევარს სჯობდა გულდასმით ეძია ანალოგიური ქართული ფუძე ეს კი იგივე თალ (//თლ) ზმნური ფუძეა, რომელიც თლა, გათალა, სათლელ-ში გვაქვს.

ერთადერთი, სადაც სამივე ენის მონაცემი ურთიერთს ემთხვევა, არის შუპ. დი, სვან. დი, ქართ. დედა. ავტორს შედარებისას აქაც ზერელობა ეტყობა: სვანურში დი-ს გვერდით გვაქვს დია (ქვემო სვანური...), მეგრულშიც დია, რომელშიც დონია დაკარგული: დედა → დიდა→დია→დი, შდრ. დიადი←დიდადი. ამრიგად, სვანური დი//დია მეორეული, გვიანდელი მოვლენა ჩანს და დედა არქეტებისაგან მომდინარეობს. მიუხედავად ასეთი, ჩვენეული „შესატყვისობისა“, სამი ენის მიხედვით, ეს მაგალითი მაინც არ გამოდგება შესადარებლად, რადგან ეს სიტყვა წარმოშობით სმაბადვითაა, სმაბადვითი სიტყვები კი არამონათესავე ენებშიც ფონეტიკურად და ფორმოზრივად სშორ შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია (თუ ენები ფონეტიკურად ძლიერ სწვაობას არ ამჟღავნებს). მაგ., დედა რუსულშიც მასალობრივად იგივეა, რაც ქართველურ ენებში: სვან. დი//დია, მეგრ. დია, ქართ. დედა, რუს. дѣла^ дѣлырф&&&

დაბოლოს, თ. მიბჩუანი, ისევე როგორც ზ. ქაფიანიძე, შუმერულ ქი-ს, სვანურ გიმ-ს (ზ. ქაფიანიძე-მეგრ. ქიანსაც=ქვეყანა) ერთმანეთს უდარებს. თ. მიბჩუანს ამჯერადაც უმართებულოდ შესადარებულ მასალად ქართული მიწა მოჰყავს, სრულიად სწვა ფუძე. სჯობდა მკვლევარს მეტი ყურადღება და მეცნიერული აღლო გამოეჩინა და მიწის ნაცვლად ქართული და მეგრული ქვე//ქე//ქო ნაწილაკი შეედარებინა, რომელიც გვაქვს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა ქვეყანა (=მიწისქვეშა ადგილი, მიწიანი ადგილი) //ქოყანა, ქვე შენი ჭირიძე (რაჭ.), ქე ვიცი (იმერ.), ქვევით, ქვედა, ქვესკნელი, მეგრ. ქო: ქო პატენი (კი ბატონი).


მიუხედავად იმისა, რომ თ. მიბჩუანის შუმერულ-სვანურ-ქართული ადმოჩენები ჩვენ განვამტკიცეთ ჩვენეული არგუმენტებით, ზემოთმოყვანილი შედარებული მასალა მაინც არაფერს გვეუბნება ამ ენების (შუმერულისა და სვანურ-ქართულის) ნათესაობის შესახებ.

ზემორე სიტყვების „ახლოური“ დამოკიდებულება შუმერულისა და სვანურისა, თ. მიბჩუანის აზრით, თრას ერთეულზე მეტია, თუმცა ეს თრასი ერთეული (თუნდაც ათასი იყოს) ლინგვისტური ძიებისათვის არაფერს არ ნიშნავს. მეცნიერული კვლევა-ძიება სწორედ იმის შემდეგ იწყება, როცა ყველა სიტყვას შეგვრებთ, გაგაანალიზებთ ყველა მეტყველების ნაწილსა თუ ენაში მოქმედ კანონებს, დაგადგენთ ბგერათშესატყვისობებს, თუ ვერ დაგადგენთ, მაშინ უფრო, საფიქრებელია, სიტყვის ან სიტყვების სესხებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ჩვენ ზემოთ წარმოდგენილი შუმერულის მაგალითები უფრო ნასესხობა გვეჩინა, ვიდრე ბგერათშესატყვისობა. ანალოგიური, იდენტური სიტყვები შესაძლოა სწვადასწვა ტიპისა და ოჯახის ენაშიც კი გვქონდეს. მაგ., გერმანული „ლამ“ (=ჭუჭყი, ნაგავი) და ქართული ლამი (იგივე შლამი) მასალობრივად იდენტურია. ჩვენ ამ შემთხვევაში, თ. მიბჩუანის პოზიციიდან გამომდინარე, წარმატებით შეიძლება ვამტკიცოთ ინდოევროპული ენის, გერმანულის და იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის, ამ შემთხვევაში, ქართველური ენების ნათესაობა.

თ. მიბჩუანის იმავე ნაშრომში გვხვდება ისეთი გამოთქმები, რომლებიც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნარისის მქონე პიროვნებას ნამდვილად არ შეეფერება. მაგ., მკვლევარი ერთ ადგილას

წესს: „როგორც დიდი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე ამბობდა“ (გვ.86). ასეთი გამოთქმა სალიტერატურო ქართულ ენაში, მით უფრო სამეცნიერო გამოკვლევებში, არსად არ გვხვდება: დემოკრიტე ფილოსოფოსი იყო და არა ფილოსოფოსი. ეტყობა, თ. მიბჩუანს ეს ტერმინი სოფისტის ანალოგიით „შეუქმნია“.

თ. მიბჩუანს იმავე წიგნში მეორე სტატიაც მოუთავსებია, რომელსაც „შუმერულ-ქართული (სვანური) პარალელები“ ჰქვია. ჩვენ, სამწესწაროდ, მის თითოეულ აღმოჩენას ვერ შევაფასებთ ამჯერად, რადგან ეს დიდ დროსა და ქაღალდის ხარჯვას მოითხოვს. მისი მიმოხილვისგან ერთი დიდტანიანი წიგნი შეიქმნება. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ამ წერილის ერთ ადგილს მივაქცევთ ყურადღებას: მკვლევარი სვანურ და მეგრულს ქართული ენის უძველეს დიალექტებად მიიჩნევს, რაც სრული უმეცრებაა (სამეცნიერო ლიტერატურის არცოდნას ვგულისხმობთ), აგრეთვე იგი მეგრულს ზანურ-ჭანურთან აიგივებს, როცა წესს: „სვანური და მეგრული (ზანურ-ჭანური) ქართული ენის უძველესი დიალექტებია“. ამჯერადაც თ. მიბჩუანმა არ იცის ელემენტური რამ: 1. მეგრულ-ჭანური ზანური ენის დიალექტებია ისტორიულად; 2. ჭანური იგივე ლაზურია; 3. ლაზურ-მეგრული ანუ ჭანურ-მეგრული კოლხური (ა.შანიძის ტერმინია), იგივე ზანურია; 4. სვანური და მეგრულ-ჭანური ქართული ენის უძველესი დიალექტები კი არაა, არამედ სამივე ქართველური, მოძმე ენაა, რომლებიც ფუძე ენიდან ანუ წინარე ქართველური (resp. პრაქართველური) ენიდან მომდინარეობს; 5. ეტყობა, მკვლევარმა არც ის გენეალოგიური სქემა იცის, რომელიც ქართველური ენების მკვლევარმა,



გერმანელმა ქართველოლოგმა გერჰარდტ დეეტერსმა (იხ. მისი Das kharthwelische verbum, leipzig, 1930) შემოგვთავაზა, რომელიც მკვლევართათვის ყველაზე სასურველ მეცნიერულ გენეალოგიურ სუბგაიაზრება:

6. თ. მიბჩუანმა, ჩანს, არც ის იცის, რომ მსოფლიოში საქვეყნოდ ცნობილ ლინგვისტთა გამოკვლევებით (აკად. თ. გამყრელიძე, პროფ. ტ. გუდაგა, პროფ. გ. კლიმოვი...) თავდაპირველად დედა პრაქართველური ენას სვანური გამოეყო (დაახ. მე-20 ს.), ხოლო ქართული და ზანური ანუ მეგრულ-ჭანური ერთ ენას



წარმოადგენდა, მათი დაშლის შემდეგ (დაახლოებით მე-10-12 ჩვ. წთ. აღ.-მდე) გამოეყო ზანური ქართულს (ანდა პირიქით)<sup>2</sup>. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „შეცდომაა, თითქოს ის უძველესი საერთო ენა, საიდანაც განვითარდა ქართული, მეგრული, სვანური იყო წინარე ქართული. არა: ის ამდენადვე იყო წინარემეგრული და წინარესვანური [20, 362], ასე, რომ ამ სამ მოძმე ენათა დედა-მშობელი წინარე ქართველური პრაქსაა. 7. შესაძლებელია თ. მიბჩუანმა არც ის იცოდეს, რომ ქართველოლოგიაში ტერმინი ქართველური ინტერნაციონალური ტერმინია, არ ითარგმნება და რუსულ ინგლისურ, გერმანულ... ენებზე РѢЖНДТКМЧРѢГѢ kartvelian, kartvelisch ითქმის და იწერება [17,4] და თუ არ ვიცით, სჯობდა, ჯერ მარტივიდან ელემენტურიდან დაგვეწყო და რთულ, ბრობლექმატურ საკითხებს მერე შეგჭიდებოდით.

რაც შეეხება თ. მიბჩუანის მეორე წიგნს, რომელიც დასავლეთ საქართველოში ქართველ მთიელთა, კერძოდ, სვანთა ეთნოგენეზს, განსახლებასა და კულტურას ეხება, აქაც ავტორი ზოგ შემთხვევაში სიტყვის ძიებისას მცდარ და ურთიერთგამომრიცხავ ეტიმოლოგიებს გვთავაზობს. სანამუშოდ დაგიმთავებთ მხოლოდ ერთ მათგანს: ეთნონიმი მეგრული მკვლევარს ერთ ადგილას ასე აქვს ახსნილი: „მეგრე“ სვანურად „მსწვილს ნიშნავს (შდრ. ბერძნ. „მაკრო-დიდი). არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ბერძნული „მაკრო“, სვანური „მეგრე“ და ტერმინი „მეგრე-ლი“ ერთი წარმომავლობის სიტყვები იყოს“ [18, 160 შენიშვნა 49], მეგრე-ლი ასეთი ლინგვისტური პროცედურა მცდარია, უნდა იყოს: მ-ეგრ-ელ-ი, შდრ. მ-არგ-ალი, აქ სრული შესატყვისობაა დაცული. რატომღაც მკვლევარს მეგრელის მეგრ ძირი მანცდამანც სვანურად უნდა ახსნას. სინამდვილეში ამ ეთნონიმში გრ//ეგრ//ეგურ ძირი გამოიყოფა, რაც ეგრის, ეგურ//ენგურ, საეგროდ, გურია, არგო, არგონავტ, არგუთ, მარგგ, მარგველ ლექსებში გვაქვს [19, 172-186].

და ბოლოს თ. მიბჩუანი ამ ნაშრომში რატომღაც თავს არიდებს ზანური ენის-RESP. მეგრულ-ქანურის მონაცემებს. უამისოდ კი, როგორი თანხედროდ არ უნდა იყოს, შუმერულისა და სვანური შესატყვისობების დადგენის ცდაც კი ნებისმიერ მკვლევარს გაუჭირდება. რატომღაც ზ. ქაფიანისა და თ. მიბჩუანის ერთობლივი წიგნის რედაქტორად ლიტერატორი, ფილოლოგი და მწერალი აკად. გიორგი ციციანიშვილია, რომელსაც სპეციალობით არაფერი არ აქვს საერთო შუმერულთან და ქართველური ენების კვლევასთან. ისმის კითხვა: ბატონი გიორგი როგორ დაითანხმეს წიგნის რედაქტორად, თუ მის დაუკითხავად მიაწერეს წიგნს მისი სახელი? ასეთი რამ ახლა ამ უცნაურო ქვეყანაში სომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა?

სვანთა წარმოშობა-სადაურთობაზე სვანურ-ქართული ლექსიკონის ავტორი ა. ლიპარტელიანიც მოგვითხრობს. თ მიბჩუანის მსგავსად, ისიც სვანებს შუმერებს უკავშირებს. უძველეს დროში, ა. ლიპარტელიანის აზრით, „მათ უწოდებდნენ „მეშენ-ს“, რაც სვანურად შავს ნიშნავს და რაც, შესაძლოა უკეთეს ახსნას აძლევდეს ტერმინ სვანეთს. შუმერები შავთავიანებად იწოდებიან“ [65, IV]. მკვლევარს რატომღაც ავიწყდება, რომ სვანები ანთროპოლოგიურად, „სობლბისფერი, იერსახის, თაფლისფერსანი (თვალეები, თმები) არიან. სვანის შავგერემანობა ახალია, არავანურია. სვანური მეშენ, მართალია, შავს ნიშნავს, მაგრამ მას მოძმე ენებშიც მოეუბოება შესატყვისები: მე-შენ, მე-შენ, ქართული „მის“ („წვა“). აქედანაა მიღებული ნახშირი (←ნა-მის-ირ.ი), სწვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლენტესური მეშენ „შავი“ ზემო სვანურსა და ლაშურ კილოებში ე ნმოვნის გარეშეა წარმოდგენილი: სო-მშენ-ა ←ლენტ. სო-მშენ-ა ←\*სომეშენა „უშავის“; ლი-მშენ-ე ← \*ლი-მეშენ-ე, ლენტ. ლი-მეშენ. „შავება“ ... ორსავე ზედსართავ სახელში არ ჩანს ორი ე [82, 167]. მკვლევარი აგრეთვე ჰაოსებს არა სომსებად, არამედ სვანებად მიიჩნევს [65, V], ასევე ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებულ სივნიელებს სვანური მოდგმის მეომარ ტომად სახავს, უფრო მეტიც, „მთელი სომსეთის ტერიტორიაზე გავრცელებულად ჩანს სვანური მოდგმის საღნი... ერთი ნაკადი სვანური მოდგმისა ეგვიპტიდან გამოსულად გვესახება...“ [65, IX]. სწვა ადგილას ა. ლიპარტელიანი ასკვნის: „ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ სვანთა ტომები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უმრავლესნი არიან - ადმოსავლეთ საქართველოში ცანები და სიუნელები, სამხრეთ საქართველოში კოლაელები, ანუ იგივე ცანები, იგივე კლარჯნი, მასკელონი, ჰენიოსები. ცნობიერობდნენ თუ არა სვანები დასავლეთ საქართველოს ბარში და უკიდურეს

<sup>2</sup> ახლანან, 2001 წელს გამოცემულ თ. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონს თანდართულ რედაქტორისეულ წინასიტყვაობაში პროფ. ზ. სარჯველაძე საერთოქართველური ფუძე-ენის დაშლას დაახლოებით სუთი ათასწლეულის წინათ ვარაუდობს [133,7].

დასავლეთში? რა თქმა უნდა, ცნობიერებდნენ...“ ავტორის მსჯელობიდან ისე გამოდის, თითქოს მთელი ამიერკავკასია სვანებს ეპყრათ, სწვა ქართველურ ტომებს იქ ისტორიულად ცნობიერების ადგილი არ დაურჩათ.

ნაშრომის ბოლოს ასლან ლიპარტელიანი მძიმე ბრალდებას უყენებს ქართველებს ანუ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომებს. მისი თქმით, „საქართველოს ისტორია თამარის ეპოქამდე იყო ქართველ ტომთა შორის ბრძოლის ისტორია, ისტორია იმ ძალების შეხლა-შემოსლისა, რომლებიც ცდილობდნენ შემორჩენოდნენ ეთნიკური დუდილის ზედაპირზე. ერთმანეთს ებრძოდა სამი ეთნიკური ძალა: სვანური, მეგრული, გილსური (?! ბ. ცნ.) ალექსანდრე მაკედონელამდე მძლავრი ძალა იყო სვანური ეთნოსი. მან შექმნა მწერლობა საკუთარი ანბანით – ჰქონდა საკუთარი სარწმუნოება გაცისა და გაიმისა. თვით ალექსანდრეს მიერ დაყენებულმა მმართველმა – აზონმაც ვერ შეცვალა ეს სარწმუნოება და მათიანის ცნობით ირწმუნა თავისიანებთან ერთად დამხდურთა კერაები. როგორც მატეანიდან ირკვევა, მან მოიყვანა პროტათოსელნი ანუ იბერიელნი და მოახდინა საქართველოს ტერიტორიის იბერიზაცია-გილსთა ტომები ჯერ კიდევ არ ჩანან ასპარეზზე- იბერიზაციის პროცესი გრძელდებოდა არაბობის დაწყებამდე. არაბობის ეპოქაში აღმოსავლეთ საქართველოში მოისპო ერთმანეთის მოქიშპე სვანური ტომები და იბერიელნი. მათ ადგილას საფუძველი ჩაეყარა მცირე აზიიდან ბაგრატიონების მიერ მოყვანილ გილსთა ტომების ბატონობას. მათ მონენსებულად ათვისეს სვანური ტომების კულტურა, ენა და ხელოვნება. დაიწყეს ძველი მატერიალური ფასეულობების გარდაქმნა იმ კვალის გაქრობით, რომელიც შექმნა მანც გამოუჩინდა ავ მესაფლაგეს. ქართული ეროვნების შექმნის პროცესი გრძელდება დღემდე.

ქართველი დიდებულებისათვის არც წარსულში იყო ვერაგი პოლიტიკის გატარება უცხო ხელი და არც ახლა ჩვენ უშუალო მეთვალყურეობის დროს. იმდენად გაბოროტებულნი იყვნენ, რომ ვერაგულად მოსპეს სვანური კულტურის ძეგლები და არა მარტო სვანური“... [65, XXI-XXII].

მართლაც ძალიან დიდი ბრალდებაა ქართველებისადმი წაყენებული. ქართველებმა თითქოს სვანებს მოუსპეს საკუთარი მწერლობა, საკუთარი ანბანი, საკუთარი სარწმუნოება, გაცისა და გაიმისა... უკეთესად მტერი ვერ დაწერდა: ვერც აფსუა-აფხაზი სეპარატისტი, ვერც სომეხი და ვერც ალან-ოსი. სამწუხაროა ფრად, რომ ქართველი კაცი თდენ სვანური კუთხით ზომავს და იკვლევს, აფასებს საქართველოს ისტორიას სვანურ-მეგრული და ქართული ენის ისტორიულ ურთიერთობებს.<sup>3</sup> ლინგვისტურ ინტერესს საკვლევი თბიქტის მიმართ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ფოლკლორისტიც ავლენს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფოლკლორისტი და მწერალი, პროფესორი გიზო ჭკლიძე, რომელიც ქართული ხალხური ლექსის, ბალადისა, თუ სიუჟეტისა ქრონოლოგიის განსაზღვრასა და დადგენას ცდილობს, მისი ბოლოდროინდელი ნაშრომები თრიალეთის თასის, სვანური ლილეს „სამიერების“ დადგენას ეხება. მწერალი თუ მეცნიერ-ფოლკლორისტი ქართული ლექსის (ამ შემთხვევაში „ლილეს“) დაბადების თარიღად 3500 წელს ან .. 4000 წელს მიიჩნევს [22]. რაშია საქმე? რატომ მაინცა და მაინც 3500წელს ან 4000 და არა 7000 წელს?<sup>4</sup> ლინგვისტური მონაცემებით, კერძოდ, ლინგვისტური თვალთახედვით (გლოტოქრონოლოგიური მეთოდის თანახმად) 3500 წელს ან 4000წ. არც სვანური და არც მეგრულ-ჭანური და არც ქართული ენა უნდა არსებულებო. მკვლევარ-ლინგვისტებს ამ დროისათვის ქართველურ ენათა წინაპარი პრაქართველური ანუ წინარე ფუძე ენა ეგულებათ მხოლოდ.

აგრეთვე ზოგი დამწყები ქორეოლოგ-ქორეოგრაფი თრიალეთში აღმოჩენილი თასის გარშემო ცეკვის სცენას თდენ ქართველურ-ქართულ რეალობად აღიარებს და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების დასაწყისად მეთრე ათასწლეულის ანუ ჩვ.წ. აღ.-მდე 2500 წელს მიიჩნევს, რაც მართებული არაა! ჯერ ერთი, თრიალეთში ნაპოვნი თასი არქეოლოგებს და სწვა სპეციალისტებს არ განუსაზღვრავს დღევანდელი ქართველების კუთვნილებად. სრულიად შესაძლებელია იგი სწვა ერის (ტომთა) კუთვნილება იყოს. მეთრეც, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება სათავეს ჩვ.წ. აღ.-მდე მეთრე ათასწლეულიდან კი არ იღებს, არამედ უხსოვარი დროიდან. როცა პირველყოფილი ადამიანი ნადირობდა და მასთან დაკავშირებულ რიტუალში ცეკვავდა და მღეროდა. ეს იყო „აცეკვებული

<sup>3</sup> როგორც ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ ზუპირ საუბარში განმიცხადა, თითქოს ეს წიგნი „ლენინის მოედანზე“ დაუწვავთ გამოქვეყნებისთანავე არგავრცელების მიზნით... ჩვენ ეს არ გვსმენია.

<sup>4</sup> როგორც ჩანს, მკვლევარი „ფარულად“ ჩვენ წინაპრად შუბერებს იგულებს და ნაწილობრივ იზიარებს ზ. ქაფიანიძისა და თ. მობჩუანის აზრს ...

ნადირობა“ ანუ მონადირეთა ცეკვა, რომლის დროსაც მოძრაობითა და მიმიკით გადმოიცემოდა ნადირობის ყველა სტადია, პირველყოფილი ადამიანი ამ დროს ნამდვილ საცეკვაო პანტომიმას ქმნიდა [23, 5-6...] ასეთივე ვითარება იყო სპორტული, საბრძოლო და შრომით-რიტუალური ცეკვების შესრულების დროსაც [24, 36]. ქართველმა არქეოლოგებმა თავისი მონაპოვრით 2000 წლის 12 მაისს, ფრიად ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალის „საიენსის“ ფურცლებზე, მსოფლიოს აუწყეს ქართველი მეცნიერების 10 წლის წინანდელი მოსაზრება: დამანსელი ადამიანების ნაშთების ასაკი დაახლოებით 1 მილიონ 700 ათასი წელია და დღევანდელი მონაცემებით ის უძველესია არა მარტო ევროპაში, არამედ აფრიკის გარეთაც...ზოგი სპეციალისტის ვარაუდით, ეს აფრიკელი ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომელიც კავკასიაში მოხვდა... გახეთ „ფიგაროს“ თუ ვერწმუნებით, საქართველოს აღმოჩენებმა ბოლო მოუღეს ესპანურ-იტალიურ დაგას – ვინ იყო პირველი ევროპელი.“ ცხადია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დამანსში აღმოჩენილი უძველესი თავის ქალა ქართველთა წინაპრის კუთვნილება იყოს, მაგრამ დღევანდელი მეცნიერების კომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სრულიად არ ვაგვიკვირდება, რომ ვინმემ-მეცნიერებასთან ანლო მყოფმა (და არა საკუთრივ სპეციალისტმა) დაწეროს, რომ ეს აღმოჩენა საქართველოში მოხდა და იგი ეკუთვნის ქართველთა წინაპარს (თუ, რა თქმა უნდა, აქამდე ვინმეს არ დაუწერია).

შეიძლება დაგასკვნათ: 1. არქეოლოგების აღმოჩენილი სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი ქართულ-კავკასიურის კუთვნილება იყოს. 2. ოდეს არქეოლოგიური მონაპოვრით თრიალეთის თასით (სარტყელი)არ უნდა განდენდეთ თუნდაც ქართული ნალსური ქორეოგრაფიული ხელოვნების დბადების განსაზღვრას: ქართული ნალსური ქორეოგრაფია ისე ძველია, როგორც ქართულ-ქართველური სიტყვა, მუსიკა. თუ ძველისძველი ერი ვართ, მაშინ ქართულ-ქართველური კულტურის ინდივიდუალური ნიშანი სწორედ პირველყოფილი თემური წყობილების დროშია საძიებელი.

როგორც ჩანს, ზოგი ცრუმეცნიერი „მლიძინობას“ მოწყურებული, სახელს კი არ სძენს ქართველოლოგიურ მეცნიერებას, პირიქით – აკინებს, ამცირებს, სახელს უტყენს არაკომპეტენტური, არამეცნიერული, გულუბრყვილო ახსნა-ვარაუდებით. მსგავსი რამ რუსისტიკის, რუსული მეცნიერებისათვისაც არ ყოფილა უცხო. თანამედროვე რუს მკვლევართა ერთი ნაწილი თავის იმპერიულ ზრანვებზე დამყარებული, ცდილობს რუსი ერის ხელოვნურად დაძველებას: ბერძნულ მითოლოგიაში არსებულ ჰიპერბორელებს რუსთა წინაპრად მიიჩნევენ, არსად არ ახსენებენ ეთნოტერმინ სლავს, მის ნაცვლად ყველგან ძველი რუსია ნახმარი, იმავდროულად მისაკუთრებულა ინდოევროპელთა (ინდურ, სპარსულ, ოსურ, სომხურ, გერმანიკულ, რომანულ, სლავურ ენებზე მოლაპარაკე აზია-ევროპაში მცხოვრებთა წინაპრების) არქეოლოგიური მონაპოვარი, და ძველ რუსთა კუთვნილებად ასაღებენ. ყოველივე ეს ისე ოსტატურად და მეცნიერული სიდრებითაა ნათქვამი, რომ ერთი შესუდვით (ან ერთი წაკითხვით) ნებისმიერმა მკითხველმა შეიძლება ირწმუნოს. მხედველობაში გვაქვს ვ.ნ. დემინის წიგნი „НФQи6 жищрряуя йфжялф“, რომელსაც მართლაც ღრმა მეცნიერული საფარველი უდევს საფუძვლად და ნამდვილი მეცნიერის მიერაა დაწერილი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, „ველიკორუსული“ თვალთახედვით [25].

დასასრულს, ჩვენი ნაშრომის მიზანი – ქართული გვარ-სახელების შესწავლის მდგომარეობაც მიმოვისილოთ. მსოლოდ ერთი ავტორის ორ წინვს შეგვხვებით. ავტორი ნ. ჯომიდაგაა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სოლო მისი წიგნები „კოლხური გვარ-სახელები“ [26] და „3000 მეგრული გვარ-სახელი“ [27]. როგორც ვთქვით, წიგნების ავტორი 85 წელს გადაცილებული აფხაზეთიდან ლტოლვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ჟურნალისტი ნ. ჯომიდაგაა, რომელსაც აქამდე გვარ-სახელებზე არასოდეს უმუშავია. ამ წიგნების შექმნის მიზეზი, ავტორის განცხადებით, აფხაზეთა-აფხუა სეპარატისტების მიერ გაჩაღებული კონფლიქტია [27]. ამრიგად, მიზეზი არა მეცნიერება, არამედ აფხაზეთაგან ქართველთა გამოდევნა ყოფილა. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონ ნ. ჯომიდაგას პირველი წიგნის „წიგნად გამართვას“ ოთხი თვე მოგანდომეთ, მეორე წიგნის გამოცემასა თუ მომზადება- რედაქტირებაში არავითარი წვლილი არ მიგვიძღვის. პირველი წიგნის გამოცემისას ავტორს „დაფათობინე“ ისეთი გვარსახელების ქართულ-კოლხურობა, როგორიცაა არძინბა (და მისთ.). არძინბაში იგი ბა სუფიქსს გამოყოფდა, რომელიც თურქულად ბაბას „მამას“ ნიშნავსო. დიდი ახსნა-მტკიცებით ავტორს ამგვარი ცრუეტიმოლოგიებზე (უაზრობაზე, რომ არაფერი ვთქვათ, შდრ. არძინბა ← არძინბაბა =არძინმამა, რაც მართლაც უაზრობაა), უარი ვათქმევინეთ. წინა გამოცემულ წიგნს ავტორმა კოლხური გვარ-სახელები უწოდა. ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით შიგა ყდაზე ფრჩხილებში მეგრული ჩავასმევინე.

რადგან კოლხური ფართო მცნებაა და მეგრულის გარდა ლაზურს (resp. ქანურს)აც გულისხმობს. ავტორმა კომპიუტერში შეტანისას არა ერთი გვარის, ჩვენს მიერ დაწესებული, გულუბრყვილო ეტიმოლოგია მაინც შეიტანა, როგორც ჩანს, თავის მიგნება-ადმოჩენას ვერ შეკლია. სწვა გვარ-სახელებზე რომ არაფერი ვთქვათ, სანიმუშოდ ჩვენს გვარს დაგასახელებთ: პირველ წიგნში, ცნადაია ასეა განმარტებული: „ცნადაია ცნად-ი, დაუფარავი, აშკარა ქეგლ<sup>6</sup>); ცნადაია-მოიდანანე (ჩხორ.რ.), ჯგარი (წალ. რ.) ცნადისი (ამბროლო.რ.) უფრო სარწმუნოა ცნადა მეტსახელის მცნუედასაგან მომდინარეობა. შდრ. ცნვედიანი, ცნვედაძე, ცნადაძე, ცნადაიშვილი [26, 180]. გვარის განმარტების პირველი ნახევარი მცდარია, უმართებულთა, ეს ავტორს თვითნებურად შეუტანია. მეორე ნახევარი კი ჩვენეულია. თქმულს იმასაც დაემატებთ, რომ ცნადაია//ცნადაძის ცნად ძირი, „ტყეთის სულთა მატყანეში“ ცნადაეთ ფორმაცაა დამოწმებული, რომლის არქეტაპი, ანუ თავდაპირველი ფორმა გვარის ფუძისა ფიქსირებულია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ნანცთელის ცხოვრებაში“ „მცნუედას“ სახით: მცნუედა→ცნვედა||→ცნადა. ამ ძირს სპეციალური წერილი უძღვნა ენათმეცნიერმა, პროფ. ბაქარ გიგინეიშვილმა, რომელმაც ცნად ზანურის (მეგრულ-ქანურის) კუთვნილებად ცნო, ხოლო მცნუედა ქართულისად. სამწუხაროდ, ყოველივე ეს წიგნის ავტორმა არ გაიზიარა არც მეორე წიგნში [27, 412].

რაც შეეხება მეორე წიგნს - „3000 მეგრულ გვარ-სახელს“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის რედაქტირებაში არაერთი ვგლივია არ მიგვიძღვის. ჩვენ ავტორს კატეგორიული უარი ვუთხარით იმ მოსაზრებით, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. გარდა ამისა, ნ. ჯომიდავას „ახალი არგუმენტაცია“ არ გავიზიარეთ: მკვლევარს სურდა საერთო ფუძისაგან ნაწარმოები გვარები კოლხურად ანუ მეგრულად გაესაღებინა. მაგ., აბრამია, შდრ. აბრამიძე, აბრამიშვილი, აბრამაშვილი, აბრამაძე... თუ ამ პრინციპს გავყვებით, მაშინ აბრამიძე და აბრამიანიც მეგრული გვარ-სახელი გამოვა. მეორე წიგნში ამის საშიშროება არ ჩანს, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევარს უამრავი გულუბრყვილო ეტიმოლოგიით აუგნია თავისი წიგნი, რაც მეცნიერის დაწერილის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. 2000 წლის თბილისობის დღეებში ქართული ენის სახელმწიფო ბალატის თავმჯდომარემ, ჩვენმა კოლეგამ, ენათმეცნიერმა ლევან ღვინჯილიამ ნ. ჯომიდავას „3000 მეგრულ გვარ-სახელს“ 3000 სირცხვილი უწოდა, რაც მართლაც ზედმიწევნით მიესადაგება ამ წიგნის გვართა განმარტებებს და მათ შინაარსს<sup>7</sup>.

მეორე წიგნის ავტორისეულ წინასიტყვაობაში ბევრი მცდარი დებულებაა. მათ შორის სანიმუშოდ ერთ-ერთს დაგასახელებთ: „აია - კოლხეთის ძველი სახელწოდება სუფიქსად ერთვის 200-ზე მეტ გვარ-სახელს, რაც სწვა ქართველური გვარ-სახელებისათვის დამახასიათებელი არ არის“ [27,7]. დიდი შეცდომაა. აქ აია არაფერ შუაშია, აია სუფიქსი არ არსებობს, არსებობს -ია, აია-ს წინამაგალი ა-სახელის ფუძისეულია, კნინობითი სუფიქსი. მაგ., კორძი→კორძა (მეტსახელი ის, რაც კორძიანია) →კორძაია||→კორძაძე. ავტორისეულ პირველ წიგნს ჩვენ დავურთეთ გამოკვლევა ქართული გვარ-სახელების წარმოების შესახებ (ესეც კი არ გაუთვალისწინებია ან არ გაუზიარებია ავტორს), სადაც ყველა გვარ-სახელი, მეგრულიც და სვანურიც, მიჩნეული გვაქვს ქართულ დაბოლოებად. მეგრული (გარდა სკირ ...) და სვანური -ია, -იან, ან|ა ქართული ევან||→ევან→იან→ია ბოლოსართის ერთ-ერთი ვარიანტია [27, 4-12]. როგორც ერთ-ერთ ადრეულ სტატიაში ვწერდით, მაგ., მიქაელ-ევანს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სწვადასწვა ნუსხის მიხედვით მოეპოვება ვარიანტები: მიქელეანი, მიქელაიანი, მიქელაანი [28,148]: ძეთა მათგან საფასტისთაღ - ზაქარია მიქაელეანი და მის თანა კაცნი სამეოცდაათნი (ზორ. A 85, 34; D-შია: ზაქარია მინაილეგ, O-ში: მიქელეანი, F-ში: მიქელაიანი, S-ში: მიქელაანი). აქედან კი ფონეტიკური პროცესის გზით მივიღეთ ე.წ. სვანური -ან დაბოლოება მიქელანი (←მიქელაანი და მეგრული \*მიქელაია ან მიქელაგა|მიქაა-შდრ.მიქაა, მიქაია, მიქაძე, მიქააშვილი...როგორც ჩანს, ნ. ჯომიდავას და ბევრ სწვა მისთანა მკვლევარს წარმოედგინა არა აქვს ელემენტურ ლინგვისტურ პროცედურებსა და ფონეტიკურ წესებსზე.

ამ მხრივაც შეიძლება დავასკვნათ: ქართულ-ქართველური გვარების კვლევა არაპროფესიონალების, ან ნაკლებ პროფესიონალების, დილექტანტების ხელშია ჩავარდნილი. სწორედ ასეთ „მეცნიერებს“ გულისხმობდა ალბათ ცნობილი ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენელი,

<sup>6</sup> 1 ქეგლ= ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), აკად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.

<sup>7</sup> როგორც ახლახან შევთქვეთ, ნ. ჯომიდავა ახალ, მესამე წიგნსაც წერს, რომელშიც განხილული იქნება ჩვენს წელთ აღრიცხვამდელი (II-I ათასწლეული) მეგრული გვარ-სახელები. როგორც ჩანს, მკვლევარმა არ იცის, რომ ადრეუკოდალიზმამდე არა თუ საქართველოში და აზიაში, მთელ მსოფლიოში არ არსებობდა ადამიანთა გვარები. ამრიგად, მისეული მესამე წიგნის მეცნიერულობაზეც ლაპარაკი ზედმეტია . . .

გენიალური პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი, როცა წერდა: „მეცნიერება არის ერთი უმეცრეების მეორით  
შეცვლა“.

გენიოსები არ ტყუიან . . .

## თავი II

### 1. კომლი | კვამლი (|| კუაბლი), ოჯახი

ეს ფუძე ძველისძველია, რომელშიც გამოიყოფა კოსკუ: მ (←ამ) —ამ თემის ნიშნის ნაშთია, ლ კი ოდენ თანხმობიანი სიტყვის საწარმოებელი ბოლოსართი კომლი|კვამლი წარმოშობით ნაზმნარი სახელია (მიმღებობა). კომლი|კვამლი. ოჯახის მნიშვნელობით ე.წ. საშუალო ქართულიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ “ვეფხისტყაოსანში” კომლს “კვამლის, ბოლის” მნიშვნელობა აქვს:

კომლი შექნეს ლაშქართათვის (გ.ტ. 444,2(გარ. II 303;) ის. ასევე: ფანასკერტ. 351,40; კომლითა დაუბნელდეს: შაჰნამე პრზ, 410; თოფის კომლისაგან პ. ორბელ. 430).

ამრიგად, კომლი-ის არქაული ფორმაა კუამლი: კუამლი→კუომლი→კომლი [86,303]. ქართულ ისტორიულ საბუთებში კუომლი გარდამავალი საფენურიც დასტურდება:

კუომლი (საბუთ. 316, 1671 წ), კუომლად (საქ. სიმგ. II. 151. XVII სს), საკუომლო (საბუთ. 343, 1689 წ).

არქეტიპი კი კუამლი→კვამლი ფორმაა, რომელიც ისტორიულ საბუთებში არაიშვიათად გვხვდება. მაგ.,

ამ სამის კუამლის კაცის ბეგარად ესე არის (აფხაზ. დავთ. 3);

გობთქეთ . . . კვამლი ერთი სულათაძე კოტარაი, სულათაძე გოგაი, ჯალაღანია ნასყიდაი, ყირყიზულაშვილი სუჭულაი, სულათაძე ჭუჭულაი, ბალაგუქე მანარაი, სვიანიძე ნასყიდაი, თედორაშვილი როსტაი, ჭავჭიანიძის ღმერთისიას შვილები (1570 წ. წყალობის წიგნი გიორგი მეფისა დავით წულუკიძისადმი) . . .

ჩუენ . . . საოსად შემოგწირეთ საზანოს სამი კვამლი გლეხი . . . (1619 წლის შეწირულობის წიგნი გიორგი მეფისა გოლგოთის მონასტერს).

ჩვენ გობთქეთ წერეთელი სოსა სუთის კვამლის კაცითა (1639 წლის წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა ბეჟან წერეთლისადმი).

. . . გლეხი ერთ კვამლად ბიშნარაშვილი ნახუტა, ერთ კვამლად მამუკა მინანაშვილი, ერთ კვამლად ჯანელიძე მანარობელი, ერთ კვამლად შაჟუა ჯანგაგაძე, ერთ კვამლად მანეტა სამსოაშვილი, ერთ კვამლად ნასყიდა მინანაშვილი. (1660 წლის ანლო, შეწირულობის წიგნი ბაგრატ მეფისა გელათის მონასტერს).

გობთქეთ . . . ორი კვამლი კაცი ნადირაძეები (1660-1681 წწ. წყალობის წიგნი ბაგრატ მეფისა ქაიხოსრო წერეთლისადმი).

ორი კვამლი აზნაური თავისი ყმებით ვარსუნას ვანტანგს გასამყრელოდ აიღო (1725-1735 წწ. ბრძანება ანალცინის ფაშისა მუბაშირს) [85].

კვამლის გვერდით ისტორიულ საბუთებში კომლი ფორმაც იხმარება: მაგ., გობთქეთ ბარაუნაში ოთხი კომლი კაცი (92,3).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სიტყვაში, ისტორიულ დოკუმენტებში ოქუ მონაცვლეობს: ერთი კვამლი გლეხი (დოკ. I. 51, 1675-1682 წწ.). ამის შესახებ ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება პროფ. ი. ჭავთარაძემ გაამახვილა. მისივე დაკვირვებით, კომლი|კუამლი გადმონაშთია ამ დიალექტებში (ქართლური, კახური, იმერული, მესხური, რაჭული...) ძველად მოქმედი ფონეტიკური კანონზომიერებისა, რაც ყველაზე კარგად და ფართოდ საშუალო ქართულის სწვადასწვა კუთხისა და სწვადასწვა ჟანრის ტექსტებში შემოგვინახეს [86,300]. ამიტომაც ფონეტიკურად სასწვადასწვა ფორმებში თანაარსებობის პირობებში განსწვავებული მნიშვნელობა შეიძინეს: კვამლი, —“ბოლის” მნიშვნელობით დამკვიდრდა დღევანდელ ქართულში, ისე როგორც ძველად იყო, სოლო კომლი მოსანლის მნიშვნელობით მოგვეგვინა.

სა-თ დანიშნულების აფიქსებით ნაწარმოებია საკვამლო სიტყვაც:

სურამის ჭალაში ოსიურისსაკე ოცდაათი საკვამლო მიწა და იმ ნაპირს კაცები რომე დასანლებულა . . . ეს მიწაც მოუჭერ . . . იმით ოცდაათის საკვამლოსი შეუთავე (1712-1717 წწ. ბრძანება ვანტანგ VI-ისა ვანსუშტი აბაშიძეს) [85].

გობთქეთ . . . ერთი საკვამლო ნურალაშვილი თავისის მამულითა (1706 წ. ყმისა და მამულის წიგნი, მიცემული შაჰნავაზ მეფის მიერ ალავერდი არეშის-შვილისადმი)[93,131].

იმავს ისტორიულ საბუთებში საკვამლოს გვერდით მისი დიალექტური ვარიანტი საკომლოც დასტურდება:

ამისდა გარდა მთავრით სარეკს ჩვენი სამკვიდრო ყმა მდელი კუტალაძე პეტრე, ამის განაყოფი ლეკვია . . . ბაჯითს ვოშაძის საკომლოც თავისის პარტასტით (1760-იანი წლები. ვალის წიგნი სულთან ჯაფარიძისა ზალ ფალავანდის შვილისადმი)[85].

. . . კავთელა შუა იყო და ორი ცხუარი კავთელას არის. თანდილა შელვაშვილი, თევდორე, ბერუა, ესენი სამათ არიან ერთ საკომლოცზედა [92,6].

ძველ ისტორიულ დოკუმენტებში კომლ|კვამლ-ის გვერდით მათი ფონეტიკური, რიგით მესამე სახეობა კომბლ ფორმაც დასტურდება: ერთი კომბლი კაცი (დოკ. II. 143, 1788 წ.), კომბლზე თითო ურეში ( Qd-7120. XVIII ს), საკომბლოები ( Qd-850, 1774 წ), საკომბლო ( Hd-2935): ამ ლექსემას არაფერი საერთო აქვს კომბალ (მეცნფარის იარაღი) საზოგადო სახელთან. კომბლ, საკომბლო-ში ბ განვითარებული ბგერაა. აქ მომხდარა მეორეული მოვლენა-ჰომორგანულ-ნშულოთა დისიმილაცია: კომლი-კომბლი-კონბლი|კვანბლი (დოკ. I. 207, 1724-35 წწ). ასეთი ფორმები არა ერთი აქვს დამოწმებული პროფ. ი. ქავთარაძეს [86,179].<sup>8</sup>

გარდა ზემოთხსენებულისა, ჩვენ ისტორიულ საბუთებში დაგადასტურეთ კობლ ფორმის არქაული ვარიანტი კუაბლ, რომელიც ამოსავლად კუამლს-გულისწმობს:

თქვენ გაჩუქეთ ერთი კუაბლი ნაცვალაშვილი მოძღვარა, შაბათა და მეორე კუაბლი ქონიაშვილი ბერი მათის შვილებითა (1705-1728 წწ. საჩუქრის წიგნი მოცემული არაგვის ერისთვის-შვილის ავთანდილის მიერ ელისბარ დავითიშვილისადმი) [93,129].

ამრიგად, კვამლ “ბოლის” მნიშვნელობის სიტყვისაგან მთელ საქართველოში ჩამოყალიბდა მცნოვრების, თჯანის აღმნიშვნელი სიტყვა (და მისი ვარიანტები) კვამლი, კობლი, კომბლი, კუაბლი.

ისმის კითხვა: გვაქვს თუ არა კომლ|კვამლ სიტყვისაგან ნაწარმოები გვარსახელები? ასეთი გვარები მართლაც დასტურდება. მაგ, ძე სუფიქსიდიანი კომლ|კვამლ ფუძისაგან ნაწარმოები გვარებია კომლიძე (←კომლის ძე) და კამლაძე (←კვამლაძე).<sup>9</sup> 1769 წლის 20 დეკემბრის წყალობის წიგნში (არჩილ ბატონიშვილისა ბუჭუა ჯონთაბერიძისადმი) კამლაძეების შესახებ ნათქვამია:

. . . შეგწყურით და კვამლაძეებს გართმევდით. მერმეთ მონგედი და შემოგვეწყვე . . . გვიბოძებია ისევე კვამლაძეები მათის ყოვლისფერით-სახლ-კარით . . . (დოკ.I).

ამრიგად, ამ გვარსახელში გ (||ჟ) ბგერა დაკარგულა: კუამლაძე→კვამლაძე→კამლაძე (შდრ. რაჭა-რაჭ-ველი, რაჭველიშვილი . . . ), ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა კვამლაძე-ში ოდინდელი კვამლ (“ბოლი”) სიტყვის მნიშვნელობა დაეწყებას მიეცა და პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. და ბოლოს, დაგძენთ: კვამლაძე გვარსახელი წარმომდგარია კუამლა|კვამლ-ა შერქმეული სახელისაგან (resp. მეტსახელისაგან), რომელშიც ≡, ბოლოსართია (შდრ. შვინდი-შვინდა, ქერი-ქერა...).

რაც შეეხება თჯანს, რომელიც, სამწუხაროდ, დღევანდელ ქართველთა ყოფაში და ოფიციალურ ენაში დამკვიდრებული სიტყვაა კომლ|კვამლ-ის მნიშვნელობით, ძველ ანუ შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში უიშვიათესად იხმარება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თჯანი თურქთა ბატონობისა და მათი ზეგავლენით დამკვიდრებულია აღორძინების ხანის ქართულ ენაში, მაგ., 1711 წლის 10 მაისის წყალობის წიგნში (ქაინოსრო მეფისა ვანუშტი აბაშიძეს) ნათქვამია:

მას ჟამსა ოდეს საქართველოს აბაშიძე პაატა უშვილოდ და უძეოდ ამოვარდა და სახლიშვილი არავინ დარჩა, ჩვენ მისი ადგილი და სააბაშით ისევე მოუშლელოდ გვინდოდა . . . ან ვითარც შენ მამით და თჯანობით ჩვენს ტანტსა და ჴელმწიფეთ-ბიძა-მამაზედ ნამსახურნი იყვენით . . . (დოკ. I).

ჩვენის აზრით, თჯანი, როგორც ტერმინი თურქულიდან დამკვიდრდა დასავლეთ საქართველოში, სოლო შემდეგ გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. ღირსსაცნობია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს საბუთებში თავადიშვილის ქონების აღსანიშნავად იხმარება ტერმინები “თჯანი” და

<sup>8</sup> ტიპოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ინდოევროპულ ენათა მონაცემები კვამლის აღმნიშვნელი სიტყვებისა, სადაც დღით ურთიერთმონაცვლეობს: ხანსკრ. dhamah, ბერძნ. Iun, lumes, ლათ. fumes, ლიტვ. dQmai, ძვ. სლავ. [I]im] “კვამლი” [94,113-114].

<sup>9</sup> ჩვენ ადრე კამლაძე იმერეთში გავრცელებული გვარი კალამ არსებითი სახელისაგან მომდინარე გვეგონა: კამლაძე←კალამაძე (მეტათუხისი ანუ ბგერათგადასმა ფონეტიკურ ნადაგზე), მაგრამ როგორც ახლა დაგვრწმუნდით, კამლაძე←კუამლაძედან მომდინარე გვარსახელია [134,21-23].

“შესახვედრი” [98,193-195 საბუთი 23] აქაც, ამ შემთხვევაშიც ნათლად ჩანს ქართული ძირძველი სიტყვის “შესახვედრის” შევიწროება “ოჯან” თურქული ლექსემისაგან.

შეიძლება დაფასკვნათ: **კვამლი|კომლი**, **მეკომური** და მისთ. ლექსეები ძველად **ოჯანის**, **მოსახლის**, **მცხოვრების** მნიშვნელობით იხმარებოდა, **კომლი** ან **კვამლი** იყო ის, საიდანაც **კვამლი** ამოდიოდა. ანუ, სწვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვამლიან ადგილსაცხოვრისს, სადაც ერთი **ოჯანი** ცხოვრობდა, **კვამლი** ანუ **კომლი** ეწოდებოდა. ეს ტერმინი დღემდე “შერჩა ქართულ ენასა და საქართველოს კუთსეებს, თუმცა დამცრობილი და გაიშვიათებული სახით. სამწუხაროდ, მისი ადგილი თურქულმა სიტყვამ „**ოჯანმა**” დაიკავა. მწერალი კ. ლორთქიფანიძე დახუნდარა ტურაბელიძეს მექის სილატაკეზე ასე ათქმევინებს:

„ - ვის, ვაჟო, ვის! - კვდებოდა სიცილისაგან მესაფლავე: - თალიკოს კი - არა, აღათიას ცნვირმოუსოცველ გოგოს არაფინ გამოგატანს! რისი იმედით, ვისი იმედით! შენს **გვარობაზე** ერთი საჩქმე ადგილი არსად მოიძევა, ღობეზე ერთი ჭირიანი მამალიც არ გიყივის და **ოჯანის** მოწყობას ფიქრობ? იქნებ დაგავიწყდა, რომ მოჯამაგირე **ნარ**, **სწვისი** **ხელის** შემყურე! ჯერ, ვაჟო, თავზე შენი ჭერი დაინურე, და**ოჯანებაზე** მერე იფიქრე! შეიძლება **ნანდანან** ცივი ჭადი და პრასი მოგენატროს, მარა შენი კერიიდან კვამლი რომ ამოვა, შენედავენ და იტყვიან, დასახლდათ. გიშობლებენ, სათვალავში ჩაგაგდებენ, კაცობა მოგემატება! აბა, ისე ვაჟო, ვინ თხერი ჩაგისიძებს! ყველგან კარი გაქვს დაკეტილი” (კოლხ. ცისკ. 58-59,29-8);

ამრიგად, **თუ საკუთარ გვარობაზე** მცირე ნაკვეთი არ გაქვს, თუ მამალი ეზოში არ გიყივის, თუ **კერიიდან** კვამლი არ ამოდის, დასახლებულად, მოსახლედ, კომლი-ოჯანად არ ითვლები.

შეიძლება დაფასკვნათ: **კომლი** ანუ **ოჯანმა** წარმოშობის ასეთი გზა განვლო: კერია (შუა ცეცხლი) → კვამლი → კომლი<sup>11</sup> აქედან: **კომლი|მეკომური**, **ოჯანი** ანუ **მოსახლე**. „კვამლი|კომლი ცალკე სახლი, საცხოვრებელი, მოსახლე, ნაშიერი, სინდისი”, თ. სახოკია ასეთ განმარტებას იძლევა “იქ, სადაც მიწურიდან, ქონიდან თუ სახლიდან კვამლი ამოდიოდა (პირველში კერიიდან, შემდეგში-ბუნრიდან). იგულისხმება, რომ ცეცხლი ერთთ, რომელსაც გარშემო უსდნენ **ოჯანის** წეგრები, ადამიანები, ერთმანეთთან ნათესაურად დაკავშირებულნი.

ამ სახურავებიდან ამომავალი კვამლის საშუალებით ითვლიდნენ ძველად მოსახლეთა ანუ ბინადართა რიცხვს. რამდენი კვამლიც ამოსდიოდა სახლებს, იმდენი კვამლი (ანუ კომლი) ითვლებოდა ჯერ ამა თუ იმ შორისშორის მდებარე და შემდეგში შეჯგუფებულ სახლებში ან სოფელში. ასე რომ “კვამლი” გადაიქცა **ოჯანის** სურათსატოვან სახელად, მის სინონიმად, **ხოლო** კვამლიქვემ შეფარებულ მცხოვრებს ანუ მოსახლეს დაერქვა “მეკომური” ანუ “მეკომლე” [112,331].

## 2. თემა, ადგილის დედა, ფუძის ანგელოზი

ამ სიტყვას დღევანდელ ქართულ ენაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ისტ. პირველყოფილ-თემური წყობილების დროს – ძირითადი სოციალური ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად ფლობდა საწარმოთ საშუალებებს. 2. ისტ. “ქვეყნის ერთი ნაწილი, მხარე, კუთხე, გაერთიანებული გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნის მონედვით ანუ ერთად მცხოვრები მოსახლეობა, სოფელი, საზოგადოება. 3. ისტ. საქართველოს მთიანეთში – ერთი გვარის მოსახლეობა, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავისი წეს-ჩვეულებები. 4. ძვ. კუთხ. (იმერ.) ერთად თავმოყრილი, ერთად შეყრილი **ხალხი** (სალაპარაკოდ, დროის გასატარებლად, დღეობაზე . . .) – მარაქა და სწვ. (ქეგლ).

ამრიგად, **თემის** ნაირგვარი (ოთხივე) მნიშვნელობა ქართულ ენას დღემდე შემოუნანავს. თემური ურთიერთობები ახლა დამცრობილია, იგი ამჟამად ძირითადად დღეობაზე, დროის გასატარებლად თავშეყრილი **ხალხის** მნიშვნელობის შემცველია. ფიქრობთ, თემა ბერძნული სიტყვაა, რომელსაც კავშირი უნდა ჰქონდეს ბერძნულისაგე სიტყვა [123]. თემასთან (ბერძნ. thema). ქართული ენის გრამატიკაში ფუძე ძირს ნიშნავს. ზოგჯერ ეს ორი სიტყვა აბსოლუტურად იდენტურია მაგ. წერ-ა-ს ფუძე და ძირი ერთი და იგივეა მაგრამ „ა-ქ-ებ-ს”ში ქებ ფუძეა, ქ – ძირი.

<sup>10</sup> ყოველივე ეს ნათლად, მნატვრულად ასახა რომანში (“კოლხეთის ცისკარი”) ცნობილმა პროზაიკოსმა კ. ლორთქიფანიძემ

<sup>11</sup> **კომლი**, ქართული ენის მთიულურ დიალექტში ახლაც **კვამლი-ს** ნიშნავს [106].



ამრიგად, თუქმი ძველი თემობრივი წყობილება საქართველოს მთიანეთშიც უკვე გადმონაშთია. ძველად კი კუთხეები, მაგ. ფშავი, თერთმეტ თემად ყოფილა დაყოფილი [124,68]. სვესურეთშიც მოსახლეობა გვარებადაა დაყოფილი. თითოეულ გვარს აქ ერთი სეობა ან ერთი სოფელი უჭირავს [125,72]. თუშეთშიც თითოეულ სოფელს ანუ ერთი გვარის მოსახლეობას საგვარეულო კოშკიც ჰქონიათ, სადაც თავს შიშინების დროს აფარებდნენ. გვარები იყოფოდა ქვეგვარებად [126,95]. ვფიქრობთ, მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო ძველად საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც მთაში, ისე ბარში. ძველად, ხალხი სეობებში ცხოვრობდა, სეობები აერთიანებდა მათ, მეტყველებაც სეობებისდა მიხედვით უნდა ყოფილიყო მსგავსიც და განსწავკებულიც. მაგ., მუგურულად, რომელიც დღეს ეთნონიმია, თავდაპირველად მხოლოდ ენგურელს, მდ. ენგურის სეობაში მცხოვრებს ნიშნავდა. შდრ. სვესური (←სევი-სური), მოსევე.

თუქმი ძველთაგანვე ადგილის დედასთან იყო დაკავშირებული (ან პირიქით). მაგ., ფშავში სასოფლო ნატი ერთი სოფლის მფარველია და მასზე მისი მეკომურნი ლოცულობენ. როგორც ს. მაკალათია წერს, ეს სასოფლო ნატი ფშავში ყველგან მოიპოვება, რომელსაც ადგილობრივნი „ადგილის დედასაც“ უწოდებენ და დღეს ღვთისმშობლობით ლოცულობენ. ადგილის დედის ნატის ნიში ჩვეულებრივი ფორმისაა და ზოგჯერ ის შექმნილია ირმისა და ხარის რქით. წინათ ადგილის დედას ჰქონია საკუთარი მამული, რომელსაც ადგილის დედის ყმები ამუშავებდნენ [124,201].

ამრიგად, ადგილის დედა გვარის მფარველია, ზემოთქმულს თუ განგაზოვადებთ და მთელ ერზე გავავრცელებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა გვარს თავის მფარველი ღვთაება ჰყავდა, რომელიც გვარს, ცხვარ-ძროხას . . . უმრავლებდა.

ცნადა, თემის, თემობის, ადგილის დედასთან უშუალო კავშირშია „ფუძის ანგელოზიც“. რომელიც თჯანის საცხოვრისის, კერის დამცველია. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მაგ., სევეში, არსებობს გამონათქვამი-ტერმინი ფუძის გუელი, რაც ასეა განმარტებული: მგ-ცრუნწმ. ზოგიერთ თჯანში დასადგურებული გველი, რომელსაც ბედნიერება და ბარაქა მოაქვს. მის წყენისებას ერიდებოდნენ, სწრაფლთან რძიან ბაკანს უდგამდნენ, ეძახოდნენ ალაღ გველთას [127,33].

შეიძლება დაგვასკვნათ: თუქმი, ადგილის დედა, ფუძის ანგელოზი თჯანის, გვარის კეთილდღეობის, გამრავლება-ბარაქიანობის, ბედნიერების მომტანი, მფარველი, მტერ-უბედურებასთან მებრძოლი და ძირძველი ტრადიციების შემნარჩუნებელი, შემნახავი არსება-სიმბოლოებია. ისინი განაგებენ გვარის, თჯანის, სოფლის, სევის მომავალს. ამრიგად, ზემოთრე ტრიადა თუქმი, ადგილის დედა, ფუძის ანგელოზი, გვარის, გვარ-სახელის, თჯანის ძირძველი ატრიბუტებია.

### 3. სახლი, სახლიკაცი, სახლიშვილი

**სახლი**, უძველესი ქართული სიტყვაა, მისი შესატყვისია მეგრ. - თხორი. საქართველოს ბევრ კუთხეში, მთასა და ბარში, გვიანობამდე შემორჩა ბიძაშვილობის, ახლობლის აღმნიშვნელი „სახლიკაცი“. სახლის უფროსს ძველად მამასახლისი ერქვა, ხოლო სახლის ქალბატონს დიასახლისი (დედასახლისი).

**სახლში** იმთავითვე ნაგულისწმევი იყო მთელი საგვარეულო. მაგ. ფარნავაზიანთა სახლი (ფარნავაზიანთა დინასტია). სახლი შეიძლება 100, 1000 და უფრო მეტი სულსაგან ყოფილიყო შედგენილი. „სახლის“ ასეთი ტიპი მე-19 საუკუნემდე შემორჩა სვანეთს, ქიზიყს . . . „სახლი“ იყო განუყოფელი, ძმათა თჯანები სანამ იყო, მაგრამ შემდგომში, როცა კიდევ უფრო იზრდებოდა შვილიშვილების და შვილთა შვილების თჯანები, ეკონომიკური დაუკმაყოფილებისა, სამსახურებრივი თუ სწვა მიზეზებით მაინც წდებოდა გაყოფა-გამოყოფა და საფუძველი ეყრებოდა ანალ „სახლებს“, რომლებსაც უკვე ცალკე გასული „სახლის“ უფროსის სახელით გაიცნობდა საზოგადოება (101,32-33).

ფეოდალური გვარის არქიტაპი, ლინგვისტურად ფეოდალური სახლია.

**სახლის-კაცი**. ეს სიტყვა ისტორიულ საბუთებში უფრო ხშირად შუაზე დეფისითაა გაყოფილი, ძალზე იშვიათად იწერება ცალ-ცალკე:

“ვინც შენს სახლის-კაცს ჯვარის-წმითლობა (?) მოუშალოს... (1563-1564 წწ. წყალობის წიგნი გიორგი მეფისა კლდიაშვილებს) [85,17-18] . . . ეს წიგნი ვინც ჩვენი სახლის-კაცი ბატონათ იჯდეს, მეფეს და დედოფალს მიათოვი და ის არ გაგიტყოს. (იქვე); . . . ამას რომ სახლისკაცი მოუკვდეს, ან

ბიძა, ან ძმა, ამას საქრთამოთ საქმე გაუხადოს და ან წაართვას . . . ან ჩვენმა სხვამ სახლის-კაცმა . . . ამისი საქმე ავათ ურჩიოს . . . (იქვე).

. . . მაშინ ოდეს თქვენის თავითა და სახლის-კაცითა და ჯართა მოგვიდქით, გვმსახურეთ და ბეგრს გაისარჯებით . . . (1723 წ. ივლისი, წყალობის წიგნი ვახტანგ მეფისა პაპუნა წერეთელს) [85].

გბობიეთ . . . მაჭაგარიანის ნაყმევი გლეხნი ხარატიშვილი თამაზა და დათუნა თავეთი შვილებითა და სახლის-კაცით, დღეს რისაც მქონებელი იყოს, ყოვლისფერით (1737 წ. 7 სექტემბერი, წყალობის წიგნი ვახუშტი აბაშიძისა პაპუნა ორჯონიკიძეს) [85].

. . . ძმათ და სახლისკაცათ შეგიყარეთ და ჩვენი სახლ-კარი . . . მე და შენთვის ერთი იყოს; არც შენს მეტი ძმა და სახლისკაცი მინდოდეს . . . (1743 წ. სახლისკაცობის წიგნი აბაშ აბაშიძისა სვიმონ წერეთელს) [85]. აქვე შეგნიშნავთ, რომ ზემორე მაგალითებში სახლისკაცი ძმის ძმაა.<sup>12</sup> ბოლო მაგალითი, 1743 წ. სახლისკაცობის წიგნი იმითაც იქცევა ჩვენს ყურადღებას, რომ ობოლი აბაში აბაშიძე სვიმონ წერეთელის სახლისკაცი ნდება, ე.ი. წერეთელი, თუმცა ჩვენთვის ცნობილი არაა, იგი ამის შემდეგ აბაშიძედვე დარჩა, თუ წერეთლის გვარი ირჩია. აქ საინტერესო ისიცაა, რომ სხვა გვარის კაცი შეიძლება სახლის-კაცი გამხდარიყო. სახლისკაცი კი ფართო, ანუ ძველი მნიშვნელობით იქნებოდა ყველა, ვინც კი ერთი გვარიდან ან ერთი სახლეულისგან მოდიოდა.

ამრიგად, ძმების ნაცვლად ისტორიულ საბუთებში სახლის-კაცებია ნახმარი: მაგ.

“ესე გადაწყვეტილობის (ასეა ბ. ცნ.) წიგნი და პირი მოგვცით ჩვენ, ავალიშვილმან სვიმონ, დავით და ჩვენმან სახლისკაცებმა. შენ, ბერი წერეთლის შვილებს (1752 წ. 1 მაისის გადაწყვეტილობის წიგნი ავალიშვილებისა წერეთლებს) [85].” ამ შემთხვევაშიც ავალიშვილები სვიმონ და დავით არ ჩამოთვლიან ყველა ყმას, მათ სახლიკაცებით იხსენიებს.

სახლი-კაცი რომ დვიდლ ძმას ნიშნავს, კარგად ჩანს კიდევ ერთი დოკუმენტიდან. 1769 წ. 20 დეკემბრის წყალობის წიგნიში არჩილ ბატონიშვილი ბუჭუა ჯონთაბერიძეს მიმართავს: “ვინც და რამაც ძემან კაცისამან ან ჩემა სახლის-კაცმა . . . შენ ეს ჩვენი ნაბობები საფიცარი შეგიშალოს . . . [85], ან კიდევ: არც მე და არც ჩემა სახლის-კაცმა და მამავალთა სახლისა ჩემისათა უჯკროთა და არცა უმინდოთა ამლიყელთა ვერ დაფქონ დურმიშნანის წისქვილზედ [92,9-10].

მაგრამ იმავე დოკუმენტში სახლიკაცის ცნება ოდენ ძმა ს არ ნიშნავს. სახლიკაცია ის, ვინც შენ ძმობაში შემოვა, ძმობას გაგიწევს: მაგ.,

ის კაცი ობოლი და უძმო იყო. ძმობის წიგნი მომცა და სახლის-კაცობის საძებრით და უძებრით, გლეხის და მამულის. ის კაცი მეფე ალექსანდრეს სამსახურში მოკვდა უცლოლოთ და ამოვარდა. სახლის-კაცი რაც დარჩა, გაყოფილი იყვნენ. ექვს-ექვსი თავი იყო გასული . . . ახლა მე მოსახლობას მოვეკიდე (1752-1755 წწ. ანდერძის წიგნი სვიმონ წერეთლისა მის შვილს გრიგოლს) [85].

უფრო მეტიც, ძმობა და სახლისკაცობა ერთსა და იმავე დოკუმენტში სინონიმებია. მაგ., 1770 წ. გიორგი, თამაზ და სვიმონ წერეთლების შეერთების წიგნიში გკითხულობთ: . . . ან გიტრელოთ ან გიმტყუნოთ, ყოვლის გზით რაც შექმდოს და ან ძმობასა და სახლისკაცობას რავარც უნდა . . . [85].

მაგრამ ზოგჯერ კონტექსტი არ იძლევა იმის საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ, როგორ სახლისკაცობასთან გვაქვს საქმე, დვიდლ ძმობასთან თუ ბიძაშვილობასთან. მაგ., ლევან დადიანისეულ 1640 წლის ალაბის წიგნიში გკითხულობთ: და გაგაჩინეთ ორი ესე ალაბი კვიტაულს სასახლეში . . . და დაგაყენეთ საკვიტაურთ კაცნი მოაღაბეთ: ერთი მოსახლე ტოტოჩი დავითია, სულაიმან დავითია, მარკო დავითია, მაჭინოლი და თომინოლი დავითია და ამათი სახლისკაცი გაიწარდი აფია [85]. ვფიქრობთ, გაიწარდი აფია ამ შემთხვევაში იგივე დავითია გვარისა უნდა იყოს, ხოლო თვით გაიწარდი აფია ერთ-ერთი დავითიანს მეტსახელი.

აღსანიშნავია, რომ ერთ ისტორიულ დოკუმენტში, რომელიც 1768-1772 წწ. სამეგრელოშია შექმნილი (ინ. წყალობის წიგნი კაცია დადიანისა გიორგი დადიანისშვილს), ძმის ან სახლისკაცის ნაცვლად ძმაკაცი ნახმარი. ვფიქრობთ, ძმაკაცი ამ შემთხვევაში უდრის დღევანდელ ჟარგონს “ძმაკაცს (“ძმობის გამწევი”, “მეგობრის მსგავსი” რუს:ghzntkm) და არა ძმას ან სახლიკაცს. აი ეს ტექსტიც:

<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ სვანურ ენაში ძმა ძმისთვის “მუნგუე”-თი აღინიშნება, ძმა დისთვის კი ჯZმილ საზოგადო სახელით.

გობოძეთ . . . კოჩიაა მჭედლისშვილი, სოსიელა მჭედლისშვილი, მახართბელა მჭედლისშვილი, წიწიაა გულუა, მამუკელა ნეჩია, სენნია სურგულაია, პატელა სურგულაია . . . და ორი ძმაკაცი მოჯალაბე კიდევ - კოჩობია და მუთაგილუ მათის ალაგ-მამულთ.

უფრო სარწმუნოა, ამ შექმნვევაში ორი ძმაკაცი მეგრული “ჟირი ჯიმაკოჩის” თარგმანი იყოს და იმაგდროულად განსაზღვრება ანუ განმმარტებელი, ამსნელი სიტყვა კოჩობიასა (შდრ. კაცობა) და მუთაგილუსი. ამრიგად, კოჩობია და მუთაგილუ სამსახურებრივად მოჯალაბე (ანუ ჯალაბთა დამსმარე) ორი ძმა ან ორი ძმაკაცია.

**სახლისშვილი|სახლიშვილი.** ისტორიულ საბუთებში ორივე ფორმაა დადასტურებული: არქაულიც და ინოვაციური (ანალი):

მას ჟამსა ოდეს საქართველოს აბაშიძე პატა უშვილოდ და უძეოდ ამოგარდა და სახლიშვილი არაგინ დარჩა, ჩვენ მისი ადგილი და სააბაშით ისრევ მოუშლელად გვინდოდა . . . აწ ვითაც შენ მამით და თჯახობით ჩვენს ტანტსა და ჰელმწიფეთ-ბიძა-მამაზედ-ნამსახურნი იყვნით . . . (1711 წ. 10 მაისი, წყალობის წიგნი ქაინოსრო მეფისა ვანუშტი აბაშიძეს) Hd-592-შია: სახლიშვილი.

#### 4. გვარი, გვარიშვილი, გვარიშვილობა, გვარისკაცი, გვარის მაქიქი

სიტყვა გვარი, ირანული წარმოშობისაა. აქედან შესულა იგი ქართულსა და სომხურში. გოგარი|გუარი|გვარი ნიშნავს “შთამომავლობას, წარმომავლობას, ბუნებას, წასიას, წარისს და სსგ.” [59-303] თუმცა ი. აბულაძე ამ სიტყვას მკვიდრ ქართულად მიიჩნევს და სომხური გოგარი ქართულიდან სომხურში ნასესხებად ესახება [102,313-363]. ვფიქრობთ, მართებულია მწ. ანდრონიკაშვილის დაკვირვება: საშუალი და ანალი სპარსულის გოჰრ-გოჰარ-მა ქართულში კანონზომიერად მოგვცა გორი→გოგარი→გუარი→გვარი. სწორედ აქედანაა ნაწარმოები ისეთი ლექსები, როგორცაა: გვარიანი, უგვართ (უჯიშოს მნიშვნელობით). გვარიშვილი, გვარიშვილობა, გვარისკაცი, გორი, გვარის მაქიქი (ე.ი. გვარის განმაქიქებელი, შემარცხენელი [109,295-301]. გვარის ქართველურობას იხიარებს ი. მაისურაძეც.

სამწუნართდ, ისე მონდა, რომ როგორც თურქულმა სიტყვამ, თჯახმა, განდევნა და შეავიწროვა ქართული კომლი|კუამლი, ასევე სპარსულმა გოგარ|გვარ-მა ქართული ოფიციალური ენიდან ამოძირკვა ძირძველი სიტყვები სახლი, სახლიკაცი, სახლიშვილი.

ამრიგად, დღეს, თანამედროვე ქართულ ენაში, ზეპირმეტყველების-დიალექტურსა თუ ოფიციალურში მაინც გვერდიგვერდ, სინონიმებად გვევლინება ქართული წარმოშობისა და არაქართული წარმოშობის სინონიმური წყვილები: თჯახი-მცხოვრები, თჯახი-მოსახლე, თჯახი-კომლი|მეკომური|კვამლი, . . . თუმცა **სახლმა** გვარის მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ **სახლიშვილი**, **სახლიკაცი** სიტყვები აქა-იქ, საქართველოს სწვადასწვა კუთხეში მაინც განაგძობს არსებობას. ცნადა, გვარი, გვარიშვილი, გვარიშვილობა ვერაფრით სჯობს **სახლიშვილი-სახლიკაცობას** ან პირიქით. მაგრამ ადგილი შესაძლებელია, დროთა ვითარებაში, თუ ასე გაგრძელდა, ძირძველი ქართული სიტყვები **სახლიკაცი**, **სახლიშვილი** საერთო დაფიქვებს მიეცეს და მხოლოდ სპეციფიკურ ლექსიკონებში დაიდოს ბინა . . .

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში დაგადასტურეთ ტერმინის “გვარის კაცს” არსებობაც, რაც გვარისშვილის ტოლფარდი, სინონიმური შესატყვისია:

. . . ვინცა და რამანც ჩვენმა გვარის კაცმა ესე შემიცვალოს (1591 წ.) [103,35].

### თავი III

## 1. ადამიანის საკუთარი სახელი და მეტსახელი

„ყველა საკუთარი ან ინდივიდუალური სახელი წარმოშობით საზოგადო სახელისაგან მომდინარეობს“

### ვილჰელმ ლაიბნიცი გერმანელი ფილოსოფოსი

მეტსახელი ანთროპონიმის (ადამიანის საკუთარი სახელის) სახეობაა. დამატებითი სახელია, რომელიც ერქმევა ადამიანს (ან ადამიანთა ჯგუფს) რაიმე დამაჩინაობით თვისების, ქცევა-მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის ან სხვა ნიშნის მიხედვით [29,67]. მაგ., გოჭია, კუჭია, ბაკონა, ჭიაგოვია, ჭონტრიკა, კვაჭია, ქუქლა, ჯღინაკოლა, ტოგნა, წარბა, დაჯანასა, ჭიბა, გედრანა, გიგუა დასლართული [30], ბეჰე, წრუნტა [31] და მისთ.

მეტსახელის მნიშვნელობით ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია აგრეთვე ისეთი ტერმინები, როგორცაა: **შერქმეული სახელი, თიკუნი, ქართული ენის დიალექტებში კი – კილი, სახინჯარი, გასახელებელი სახელი** (ეს უკანასკნელი შუა იმერეთში).<sup>13</sup>

თავდაპირველად სახელთა შერჩევა თუ შერქმევა უპირატესად გარე სამყაროს ნიშნულობათა უშუალო გავლენით ხდებოდა (ვარდია, ძალიკა და მისთ.) [32, 48]. ამდგომარად ადამიანის საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა [33, 134]. საკუთარ სახელთა გამოჩენა საზოგადოთაგან კარგად ჩანს მე-17 ს. ფილოსოფოსის თომას ჰობსის შრომებში. სახელთა შესახებ იგი წერდა: „მე მიმაჩნია, რომ სახელები წარმოიშვა თვითნებურად, საგნებსა და სახელებს შორის არ არის არავითარი მსგავსება... საკუთარ სახელთა მეშვეობით შევიცნობთ არა საგნებს, არამედ სახელებს [34, 14]. საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ცნობილ გერმანელ ფილოსოფოს ვილჰელმ ლაიბნიცს, რომლის აზრით, ყველა საკუთარი ან ინდივიდუალური სახელი წარმოშობით საზოგადო სახელისაგან მომდინარეობს [35, 240]. საკუთარ სახელთა დიდი უმეტესობა მეტსახელებისაგან მომდინარეობს. მაგ., რუსულში მეტსახელები საკუთარი სახელებით შეიცვალა გვიან. ეს პროცესი დაიწყო XIV საუკუნეში და XVI საუკუნეში საფესებით დამკვიდრდა [36, 26]. მეტსახელები ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით 15 წლის წინათ შევისწავლეთ. როგორც ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ მონოგრაფიაში ვწერდით, ქართულში მეტსახელები გვარსახელთა წინა ვითარების გამომხატველნი არიან. ისინი ქართული ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე (ადრეურობისა და მისი წინარე ხანა) ასრულებდნენ გვარის ფუნქციებს. საყურადღებოა ისიც, რომ მეტსახელი არა მარტო ადამიანისთვის შეიძლება შერქმეულიყო, არამედ შესაძლოა შეერქვათ რაიმე თვისების მიხედვით ადგილისათვის, მიწისათვის [37, 65]. მაგ., „და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარღუას სოფელ ეწოდებეს“ (ზარზმ. 343,28-29). ამ შემთხვევაში ძარღვა ტოპონიმია (გეოგრაფიული სახელი) და შერქმეულია მიწისათვის მისი თვისების („ძარღვიანობის“) მიხედვით, რაც საყურადღებო ფაქტია მეტსახელის ისტორიისა და ტოპონიმთა (ადგილის სახელწოდებების) სახელდების თვალსაზრისით.

<sup>13</sup> ამ ტერმინებს შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ ცნობილი ქართველი მწერლის კ. ლორთქიფანიძის მიერ ნაწარმოები სიტყვა ნართაჟულა მეტსახელის შინაარსით: მწერალი „კოლხეთის ციკარის“ ერთ-ერთ მოაგარ გმირს ბარნაბა საგანელიძეს ასე ახსიათებს: ბარნაბას სძულდა ხალხი და ამის დამალვას ვერც ახერხებდა. იგი ისე დამცინავად განუცხადებდა ყოველ ადამიანს, ნაცნობს თუ უცნობს, თითქოს მისი კაცობის შემარცხველი რამ იცოდა (კოლხ. ცისკვ.20, 18-21); მწერლის თქმით, ბარნაბა „სოფელში არც ერთ კაცს თავის ნამდვილ სახელს არ ეძახდა. ყველას გამოუნახავდა რაღაც დამამცირებელ ნართაჟულა სახელს“ (იქვე). ეს ნართაჟულა სახელი კი სწორედ იგივე სახინჯარია, გასახელებული სახელი. ზედსართავი სახელი ნართაჟულა, ამ შემთხვევაში, სწორედ მეტსახელს, ზედმეტსახელს უდრის.

## 2. ქართული გვარ-სახელის წარმოშობა

გვარი ანუ გვარ-სახელი ანთროპონიმის (ადამიანის საკუთარი სახელის) სახეობაა. იგი ოფიციალური და მეტყველებითი საოჯახო სახელწოდებაა, რომელიც ერთგვარ პიროვნულ სახელს. მაგ., ზარნაძე, ზარიაშვილი, ზარაძე, დევიდარიანი, იშნელი... გვარ-სახელი აკონკრეტებს და აზუსტებს დასახელებულ პირს. ისტორიულად იგი მქორეულია, ხოლო პიროვნული სახელი – პირველადი. მათ შორის განსხვავება სოციალურ-ფუნქციური და სტრუქტურული ხასიათისაა. გვარ-სახელი შეიძლება გადაეცეს ცოლს ქმრისაგან, ან, იშვიათად, ქმარს ცოლისაგან, აგრეთვე შეიძლება აყვანილს შექნილი მშობლისაგან, შესაძლებელია თავდაპირველი გვარ-სახელის გამოცვლა (სწავლასზე მოტივით). გვარი ისევე როგორც მისი შესატყვისები რუსულსა და ლათინურში, აღნიშნავს ოჯახსაც, შთამომავლობასაც. ამ სიტყვის ნაირგვარი მნიშვნელობის გამო უფრო მოსახერხებელია ტერმინ გვარ-სახელის ნმარება [29, 33].

ქართული გვარ-სახელის ისტორიას და წარმომავლობას ჩვენ სპეციალური ნაშრომები მივუძღვენით [28], [37]. ქართული გვარები ჩვ. წთ. აღ-ით მე-8 საუკუნეში ისახება. ადრე მათ ფუნქციას მეტსახელები ასრულებდა. ისტორიულად გვარ-სახელები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პრივილეგიურულ ფუნქციას ჰქონდა. ლატვიაში, მაგალითად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო გვარსახელთა შექმნა იმ გლეხებისათვის, რომელთაც იგი ადრე არ ჰქონდათ [29,33]. საქართველო კი ამ მხრივ ბედნიერი გამოჩნდა. ძველად, ყველა სოციალურ ფენაში, ადამიანები გვარ-სახელებით გვევლინებოდნენ. გვარ-სახელების ჩამოყალიბების პროცესი კი უკვე ძველ ქართულ წერილობით წყაროებში (VIII-IX სს) თარგმნილ თუ ორიგინალურ თხზულებებში დასტურდება [17], [28], [37]. თუმცა რამდენიმე წლის წინათ გამოითქვა მოსაზრება ქართული გვარების ბევრად გვიან წარმოშობის შესახებ [38], რაც არაა გაზიარებული სპეციალურ ლიტერატურაში [39]. ქართულ-ქართველური გვარები კი მრავალმხრივია საყურადღებო. ღირსსაცნობია, რომ ქართულ გვართა რაოდენობა – რიცხვნობა არა თუ ნაკლებია დიდ სახელმწიფოთა (საფრანგეთი, უკრაინა, ჩინეთი...) გვარებზე რაოდენობა-გავრცელებულობის თვალსაზრისით, არამედ აღემატება და სჭარბობს კიდევ ზოგიერთს.

ღირსსაცნობია ისიც, რომ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა 1935 წლამდე შეინარჩუნეს თავიანთი ოფიციალური გვარები. გათურქებისა და გვარების სისტემის რეგულირების მიზნით, თურქეთის მაშინდელმა მთავრობამ შეიმუშავა კანონი, რომელიც 1935 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. ამ კანონით თურქეთის მოქალაქეებს (რომელთაც ჰქონდათ არაბული, თურქული, სპარსული და კავკასიური წარმოშობის გვარები) შესთავაზეს შეერჩიათ თურქული წარმოშობის გვარები, რომლებიც შემდგომ რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო საამისოდ სპეციალურად შექმნილ ორგანიზაციაში. ამის შედეგად საგვარეულო სახელად იქცა კლასიკური თურქული ეტიმოლოგიური მოდელის ნებისმიერი ელემენტი. ასეთმა გვარებმა „გვერდზე გადასწია“ ქართული წარმოშობის ძირითადი ანთროპონიმური ფონდი. ამრიგად გაჩნდა ნიერაშვილი – ჰეიროდლუდ, გოგაძე – ჯეიჰანად, ქოქილაძის გვარისაგან წარმოდგა რამდენიმე გვარი: ბაისიფთი, ბალი, თურანი, ვაროლი, გურსესი, თუმცა სოფლის მცხოვრებლები დღემდე ინარჩუნებენ თავიანთი წარმომავლობის გვარს [40, 53].

შეიძლება დავასკვნათ, ქართველობის შენარჩუნება ქართველებმა თურქეთში სარწმუნოებით კი ვერ შეძლეს, არამედ თავიანთი ძირძველი გვარ-სახელებით. აღსანიშნავია, რომ 1935 წლამდე თურქეთში მცხოვრებ თურქთა უმეტესობას თავისი თურქული გვარი არ გააჩნდა. გვარის მაგივრობას იქ მეტსახელი ასრულებდა. რაოდენ ღირსსაცნობია. რომ ამ მხრივ საქართველო ფრად დაწინაურებულია: ქართული გვარსახელების ჩამოყალიბება უკვე VII-VIII საუკუნეებში გვაქვს დამოწმებული ძველქართულ წერილობით ძეგლებში [28]. გვარის გაჩენამდე ისტორიულ საქართველოში მეტსახელი ასრულებდა გვარ-სახელის ფუნქციას. მაგ., სულა ცოტად: ქ. უფალო, განუსვენე სულასა ცოტადს (ტბეთის წარწ.), შდრ. გვარი ცოტაძე, რომელიც მიღებულია ცვატა (→ცოტა) მეტსახელისაგან [28]. აგრეთვე ეთნონიმებიც ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში ხშირად გვარ-სახელის ფუნქციითაა აღქმული: მაგ., იოვანე დგალი: რომელი ადემუნა წმიდამან მამამან პროტონორს ბრძანებითა და მოღუაწებითა, კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთემესითა, ჰკლითა უღირსისა ბერისა იოვანე დგალისაათა (სწავლანი. 023, 25-27); შდრ. ესე სანატრელი ქრისტეს მოწამე ნიკოლოზ იყო ნათესავად დგალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაი(აგიოგრ. IV. 348, 25-26). ასევე ძირძველია დღეს არსებული გვარები: გრძელიძე (←გრძელის ძე, წარმომდგარია მეტსახელისაგან. გრძელიძე

მოსხენიებულია 1028 წელს), **ყანაგელი** (ყანა-გ-ელ-ი, რომელშიც – ელ წარმომავლობა – სადაურობის ბოლოსართია. გვარი მოსხენიებულია 1030 წელს), **დადიანი** (ასევე 1030 წელს), **დგალი** (1038 წელს). ფეოდალური საგვარეულო გვარები, როგორცაა: **დონაურები** (ფეოდალური საგვარეული კახეთში) და **ბაღვაშები** (არგვეთის, ახლანდელი შუა და ზემო იმერეთის მფლობელები, **მარუშიანები** (დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულო X-XI სს). ასევე არგვეთის მთავრები **დავით** და **კონსტანტინე მსეიძენი** (მსეიძე←მკეცის ძე), **ფარნაგაზიანთა დინასტია** და ა.შ. სწორედ ქართული გვარ-სახელის უძველესობაზე მიუთითებს...

### 3. ზარნაძე გვარ-სახელის წარმომავლობისათვის

გვარ-სახელი **ზარნაძე** ძველი ისტორიულ საბუთებსა და საეკლესიო მატრიანებში (აღაბთა წიგნები...) მოსხენიებული არაა. მაგ., იგი არ გვხვდება იერუსალიმის ქართულ სკლნაწერებსა და მინაწერ-მოსახსენებლებში [41], ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში [42]. ეს გვარი ვერ დაგვადასტურეთ ვერც „ტბეთის სულთა მატეანეშიც“ [43], ვერც პროფესორ ზ. ჭუმბურიძის წიგნში („დედაქანა ქართული“) [44]. **ზარნაძე** გვარსახელის ისტორიული მოკვლევის მიზნით სპეციალურად ვეწვიეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სათანადო განყოფილებას (გამგე ისტორიის მეც. დოქტორი რ. თოფჩიშვილი), სადაც ამ გვარის შესახებ არავითარი მასალა არ აღმოჩნდა. **ზარნაძე**, როგორც გვარი, დამოწმებულია ი. გაგულიშვილის წიგნში [45] ყოველგვარი კომენტარის გარეშე. **ზარნაძე** ზ იმღმებს ი. მაისურაძეც. მკვლევარი გაზეთ „თბილისის“ (18. I. 1964, 4) მონაცემებს ემყარება [46,68]. 1982 წელს თბილისში, რუსულ ენაზე გამოცემული ბინის ტელეფონების წიგნში (თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის აბონენტთა სია) **ზარნაძეთა** გვარი მხოლოდ 13-ჯერაა შეტანილი, რაც, მიუხედავად მისი ნაკლისა („ნაკლად“ ჩანს ის, რომ თბილისში მცხოვრები, მაგრამ ამ დროს ტელეფონის არმქონე **ზარნაძე**, ისე როგორც სხვა, ნებისმიერი გვარის მოქალაქე, ამ წიგნში ვერ აისახებოდა), მაინც აშკარაა, რომ **ზარნაძეები** თითქოს დედაქალაქში მცირერიცხოვანი ყოფილა [48, 222], მაგრამ ახალი (ქართულ ენაზე გამოქვეყნებული) სატელეფონო წიგნის მონაცემები **ზარნაძე** გვარ-სახელის შესახებ სულ სხვა ჩვენებას იძლევა: ახალ წიგნში ტელეფონის მქონე 39 **ზარნაძეა** დაფიქსირებული [49].

როგორც მიუთითებენ, **ზარნაძეები** ამჟამად საქართველოში 1680 სულს შეადგენს. აქედან ყველაზე მეტი თურჯოლის რაიონში (იმერეთი) ცხოვრობს – 685 სული, თბილისში 267, ქუთაისში – 214 [50,4]. ირეკება, რომ ეს მონაცემები აღებულია ახლაგაძისა და ა. თოთაძის წიგნიდან („გვარ-სახელები საქართველოში“). სამწუხაროდ, ეს მონაცემებიც არასრულია, ნაკლოვანია და არ ასახავს რეალობას- **ზარნაძეთა** არსებობას საქართველოს ყველა რაიონისა და სოფლის მიხედვით, თუნდაც 1995 წლამდე. 1995 წლის შემდგომაც, ცნადა, მეტნაკლები ცვლილება, იქნებოდა მისალოდნელი, თუნდაც ამ გვარსახელის მტარებელთა შორის ( მიგრაცია, შობადობა-სიკვდილიანობა და ა. შ. [51,87].

**ზარნაძეებს** მეტ-ნაკლებად სხვა რეგიონებშიც უცხოვრობათ. მაგ., მესხეთში (კერძოდ, ახალციხეში), გურიაში (მამათი, ლანჩხუთის რ. თზურგეთის ცენტრი [52]. სამწუხაროდ, მსგავსი მონაცემები ა. სილაგაძესა და ა.თოთაძეს თავიანთ წიგნში არ აუსახავთ. ამიტომაც მათი ნაღვაწი ამ მხრივ არასახარბიელოა და ფაქტობრივ სინამდვილეს ვერ ასახავს. (მათ თავიანთ წიგნში 20 სულიანი გვარებიც კი არ შეუტანიათ). სინამდვილეში **ზარნაძეები** ბევრად მეტი უნდა იყოს, ვიდრე ავტორებს „წარმოუდგენიათ“. იგივე შეიძლება ითქვას სხვა გვარის შესახებაც, რომელიც ამ წიგნშია შეტანილი ან უარეს შემთხვევაში, საერთოდ ვერ პოვა ასახვა. ავტორთა მიერ „წიგნის მოცულობის გაზრდის თავიდან აცილება და პოლიგრაფიულ-საგამომცემლო ხარჯების სიძვირის“ მომიხეხება აქ არაფერ შუაშია. სამწუხაროდ, საქმე სანახევროდაა შესრულებული.

**ზარნაძე** თავისი გვარ-სახელების მეორე წიგნში შეუტანია ქართული გვარების გამორჩეულ მკვლევარს, ისტორიკოს ი. ანუაშვილს, თღონდ ერთი კორექტურული ცდომილებით. საღეპიკონო ერთეულად გატანილია არსებითი საზოგადო სახელი **ზარნაშო**. ავტორი შემდგომ ახასიათებს ამ სიტყვას, მის მნიშვნელობას, **ზარნაშოს**, როგორც ფრინველის ყოფა-ბინადრობას, ისე მის ნაირსახეობას და ბოლოს წერს: „აქედან უნდა მომდინარეობდეს გვარ-სახელი **ზარნაძე**“-თ [47,221].

ისმის კითხვა: რას ნიშნავს **ზარნაშო**? მართლაც აქედან მომდინარეობს ეს გვარ-სახელი?

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, **ზარნაშო** // **ზარნასო** დიდ ბუს ჰქვია [53,281]. მსგავს განმარტებას იძლევა დ. ჩუბინაშვილი [54,514], ნ. ჩუბინაშვილი [55, 218], ალ. ჭინჭარაული [56]. **ზარნაშოს** ვერცხლად განმარტავს პ. გაჩეჩილაძე: „ზარნაშო- „ქორის მსგავსი ფრინველი, დამე დაფრინავს, თუ ქათამს წააწყდა სეზე, მოკლავს და ძირს ჩამოაგდებს, არ წაიღებს [57,70].

**ზარნაშო-ს** // აზერბაიჯანულად kehñ пряк ,тjиp xфгфкфy ჰქვია[58, 206]. როგორც ჩანს, ეს სიტყვა სპარსულ-აზერბაიჯანული არ უნდა იყოს. იგი ქართულის წიადშია წარმოშობილი. **ზარნაშო** აგებულიებით რთული სიტყვაა (კომპოზიტია), რომლის პირველი ნაწილია **ზარ**, მეორე **ნაშო** წინაგითარების, წარსული დროის ნა მიმდებარე სახელია: **ზარნაშო**←**ზარნაშე**-ა. ე.ა. ფრინველი, რომელიც **ზარს**, **ზარის** სმიანობას (შიშის მომგვრელ, სმას გამოსცემს), ბოლოკიდური თ-წარმოშობდგარა —**გა**-საგან. **ნაშეა**→**ნაშო**. შდრ. ძვ. ქართ. **ნაჭეა**→**ნაჭო**, **დადგა**→**დადო** და მისთ. **ზარნაშოსაგან** გვარ-სახელ **ზარნაძის** მიღება ლინგვისტური თვალსაზრისით ყოველად წარმოუდგენელია: **ზარნაშოსაგან** უნდა გვექონოდა \***ზარნაშოძე** და არა **ზარნაძე**. ამოშ დაკარგვა ამ შემთხვევაში ფონეტიკურად ვერ აიხსნება. ამრიგად, ეს ეტიმოლოგია, რომელსაც ი. ანუაშვილი გვთავაზობს, საეჭვოა.

მაშ, საიდან წარმოდგა გვარ-სახელი **ზარნაძე**?

ნომ არ არის იგი მიღებული **ზარენ** საკუთარი სახელისაგან? როგორც ცნობილია, **ზარენ** იყო სომხეთის მეფე არტაშანის ძე:

და ვითარ განამრავლეს ქართველთა და ოვსთა ვნება სომეხთა, მაშინ არტაშან მეფემან შეკრება სპანი, რომელნი შინა დარჩომოდეს, და მისცნა ძესა თქსა **ზარენ**. და წარმოგზავნა ქართველთა ზედა (ლ.მროვ. 48, 21);

და ეწყუნეს და სძლიეს ქართველთა და ოვსთა, და აოტეს **ზარენ**, ძე სომეხთა მეფისა, და მოსრეს სპა მისი ყოველი და სდეგუნეს საზღვართამდე სომხთისა (ლ. მროვ. 49, 2).

მიეწივნეს **ზარენს**, ძესა მეფისასა, და შეიპყრეს იგი ტბისა მის პირსა, რომელსა რქეპან ცელი, და უკმოიყვანეს (ლ. მროვ. 49, 3).

როგორც ირანისტიმა მზ.ანდრონიკაშვილმა გაარკვია, სახელი **ზარენ** წარმოადგენს მცდარ გადმოცემას სომხური ფორმისა Zareh (არტაშეს II ძე), რომელიც მომდინარეობს პართული Zārēh ფორმისაგან [59,469-470]. ავტორის აზრით, **ზარი** სომხ. zarih, საშ. სპარს. zahr, „შხამი მაკედონელი“, ქართ. **ზარი** (= შიში) შესაძლებელია ერთმანეთს დაუკავშირდეს. მიუხედავად ამისა, მკვლევარმა **ზარ** სრულიად დამოუკიდებელ ქართულ სიტყვად მიიჩნია: **ზარი** „ნმა,ზახილი, სიმღერა, გოდება, **ზარის** რეკა, ცემა. მანვე **ზარ** სიტყვა დაუკავშირა **ზრუნ-ვა(ზრუნ)** „გოდების ბანი“ (საბა) ძირს: **ზრუნ**: **ზარენ**. ამრიგად, **ზრუნვის** ამოსავალი, ძველისძველი მნიშვნელობაა მოთქმა, წუნილი, შეძვევა გადატანით-**ზრუნვა**. შდრ. რუს. ГТХМ҃З^ ГТХФКМ **ზრუნავს**, ე.ა. სწუნს რისთვისმე ან ვისთვისმე [59, 323].<sup>14</sup>

<sup>14</sup> **ზარ** **ზარნიშ** ტერმინშიც გვაქვს. **ზარნიშ** წარმოშობაა სპარს. **ზ**“**არნიშა** **ნ**-ისაგან და **ნიშნავს** ლითონის ნივთებზე ამოჭრილ სწვადასგა სახეს თქრითი ან ვერცხლით ამოვსებულს (ქველ.). ან სწვავარი განმარტებით, „ზარნიში ფერადი ლითონების მნატურული დამუშავების ერთ-ერთი სერია“[100]. ეს სიტყვა, როგორც ჩანს, არაქართულია წარმოშობით, სწვა შემთხვევებში, სადაც **ზარ**-ფუძე გვაქვს: **ზანზარი** (რწევა, ნგრევა შენობათა, მიწისა და სწვ. [54]. **ზანზარაკი**||**ზანზალაკი** „მცირე **ზარი**“ [55]. ქართული სიტყვებია: **ზანზარი**→**ზარ**→**ზარ**→ი, **ზანზარაკი**→**ზანზალაკი**. ასევე საკუთრივ ქართული წარმოშობისაა **უზარმაზარი** „ძალიან დიდი, მეტისმეტად დიდი (ქველ). **უზარ-მაზარ**←**უ-ზარ-მა-ზარ** . . . ასეთი სიტყვაწარმოება ძველ ქართულ ენაში არ არსებობს. ახალი ქართული ენიდან შეიძლება დაგვასახელოთ **უჩინ-მაჩინ-ი**←**უ-ჩინ-მა-ჩინ-ი** „ვინც გაუჩინარებულა, ვისაც გაუჩინარების უნარი აქვს, აქედან: უჩინმაჩინის ქუდი, რომელიც ადამიანს აუჩინარებს, უხილავს ხდის (ქველ). აღსანიშნავია, რომ უჩინმაჩინი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არაა ასახული **უზარმაზარი** კი ასეა განმარტებული: საზარლად დიდი ZABC, საზარელი D. გლეხურად ფრიად დიდი E [53]. უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც **უზარმაზარი**, ისე უჩინმაჩინი, როგორც სიტყვები მდებარეობს, გლეხთა „ენის“ კუთვნილება იყო. იგი სრულიად ახალი, ინოვაციური სიტყვაწარმოებითი ტიპია ქართულში. ამის შესახებ სპეციალისტებს ვერ ვურადდება არ მიუქცევიათ. **უჩინმაჩინი** „Rbnfᄁ“<sup>14</sup> დ შეუტანია და განუმარტავს ლექსიკონში დ.ჩუბინაშვილს, ლექსიკოგრაფს იგი ჩინელთან შეცდომით დაუკავშირებია. ალბათ ვამბაზობს ვამო. უჩინმაჩინი, ისე როგორც **უზარმაზარი** ფუძეკათარეტიკული კომპოზიტია, უჩინ/არ-მა-ჩინ-(არ)-ი, შდრ. **უზარ-მა-ზარ-ი**.

ჩვენსეულ **ზარ** ფუძისთან კავშირი არ აქვს **ზარ**||**ზარ**||**ყარ** ძირს, მაგ., დაზრობა („ყინვისგან დაწვა“), დაფარვა („ხილის ყინვით დაზრობა“) (საბა). საშუალო ქართულში ორივე იმარება. ეგვიპე ძირი უცვლელად წარმოდგენილია დადესტურ ენებში, მცირეოდენი სწვაობით: ანდიური **ზარა**, ანგაბური **ყარი**, „ყინული“, პროფ. ი. ქავთარაძე კითხვას სვამს: ნომ არაა ეს ფუძეები შემოსული სწვადასგა ენიდან [86,203]. როგორც არ უნდა გადაწყვიტოს ამ ფუძის ქართულობა-არაქართულობა, ერთი რამ ცხადია, იგი სრულიად სწვა ფუძეა. ასევე სწვა ფუძეა **ზარმაც**, რომელიც ქართული ენის ქვემოთქმულ კილოში

ამრიგად, ქართულ ენაში ისტორიულად სხვადასხვა წარმომავლობისაა ზარ ფუძე. ერთ შემთხვევაში იგი საკუთრივ ქართულია, მეორე შემთხვევაში – სპარსული. ქართული ენის ინგილოურ კილოშიც გვაქვს ზარ „ბრჭყვიალა ამობურცული წერტილები ანუ ბზინები საქსოვ ქსოვილზე“ [60, 211]. ღირსსაცნობია, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში ზარი სათამაშო ქვასაც ნიშნავს. იგი უ. ფუტკარაძის მიერ სპარსულ სიტყვადაა მიჩნეული [61], შდრ. ქართული: ზარის მოთამაშე (=ზარტული თამაშის ერთ-ერთი სახეობის მოთამაშე).

ქართული ზარი მეგრულში ზორ 'ად გარდაქმნილა, ე.ი. შესატყვისობა ქართ ა, მეგრ. ო მოუცია(შდრ. ძაღლი-ჯოღორი) [62]. თუმცა ზარია როგორც გვარ-სახელი [26, 78] და ზონიმი (=ცხოველის საკუთარი სახელი) [64,128] სამეგრელოში ახლაც არსებობს. ასევე წმინის პირიანი ფორმაც: **ზარუნს** - ზარავს, „ტანს მზარუნს – ტანში მზარავს“ [64,164]. ამასვე ადასტურებს ი. ყიფშიძეც: **ზარა** РЯКЯРЯК, **ზარ**, **ზარაფა** КТ҃И҃НМ҃ЧЗ^ შდრ. იმერ. მეზარება = „გაკეთება არ მინდა,“ ასევე იზმარება „მეჯავრება“, სიძულვილის შინაარსით.

სვანეთშიც ზარ ფუძე დღემდე შემონახულა. **ზარ**-სამგლოვიანო სიმღერა [65], ლი-ზარ-ე „ზრუნვა, დაცვა“ [62] ზა“რ, ზარა“ლ 1. ზარი, 2. ზარი/სამგლოვიანო ჰიმინი [81,251].

ამრიგად, ზარ ქართველური ენების კუთვნილება ყოფილა. ზარ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ფრიად გავრცელებული სიტყვაა (მისგანაა ნაწარმოები: მოზარე, საზარელი, სიზარე, შეზარება. ძველ ქართულშივე ზარი გუდს, ხალხს ნიშნავს [66], დაგადასტურეთ **ზარცემულიც** (=შეშინებული), ზართანი (=შემაძრწუნებელი) [67].

ამრიგად, ზარნაძე გვარ-სახელის ზარნა ზარ ს უკავშირდება და არა ზარნაშოს ან ზერანს (ზერანი = „უშუშურის თავიდან მოსაცილებლად აგადმყოფის ჭირისუფალნი პურის ცომიდან აკეთებენ კაცის სახეს, აცნობენ და შორს ტყეში მიაქვთ. იქ აგადმყოფობას სხვას გადულოცავენ“ – წერს ვბერძენი) [68, 26-27].

აქვე ჩნდება ერთი კითხვა: გვაქვს თუ არა საქართველოში ზარ//ზარნა ფუძისაგან ნაწარმოები სხვა გვარები და ტოპონიმები? როგორც ირკვევა, ასეთი გვარ-სახელები არსებობს: ესენია: ზარნაძე [47], ზარიძე (ცხოვრობენ ახალგორის რაიონში, სოფ. ლარგვისი) [69, 115].

ზემო თიანეთში არსებობს ამ გვარისაგან წარმომდგარი ტოპონიმი **ზარიძეები**. როგორც აღნიშნავენ, სოფელი დასახლებულია საკუთრივ თიანელებით და ფშავლებით. თიკონიმი (=ნებისმიერი დასახლებული პუნქტის სახელწოდება) ზარიძეები მომდინარეობს ზარიძე გვარისაგან, რომელსაც მოგვიანებით სიმრავლე-კრებითობის –ებ სუფიქსი დართვია, ვახუშტი ბაგრატიონი ამ ტოპონიმს –ებ ნიშნის გარეშე იცნობს [70,102-103].

აღსანიშნავია, რომ ზარიძეების მსგავსად შუა იმერეთში, კერძოდ, თერჯოლის რაიონში, იმ სოფელს, სადაც ზარნაძეები მკვიდრად სახლობენ, ზარნაძეები ეწოდება. ეს პარალელი ფრიად საგულისმშობა და დამატებით კვლევას მოითხოვს. ამთავითვე შეიძლება კითხვა დაისვას. ზარიძეების და ზარნაძეების წინაპრები, როლებიც ზართან მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყვნენ, სომ არ იყვნენ ეკლესიის ან ზარის მსახურები? იგივე ითქმის ზარაძეზეც. ზარა სომ რვალს, სარეკელს ნიშნავს [55], ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა სახის ზარს, ზარასავით სმა კი კარგი , მკაფით და მაღალი სმაა [77, 134].

სოფელი ზარნაძეები 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფის მიხედვით გაერთიანებულია ზედა ალისუბნის სასოფლო საბჭოში, თერჯოლის რ. [71, 46], ისეთ სოფლებთან ერთად, როგორიცაა თხილთაწყარო, მაჩიტაური, ქვედა ალისუბანი.

აქვე რჩება კიდევ ერთი კითხვა: რადგანაც ზარნაძეები მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, შუამიერეთში სახლობენ, სომ არა გვაქვს ზარნაძე „მეგრულდაბოლოებიანი გვარ-სახელიც“?

ჩვენ სკლთ არსებულ გვარ-სახელთა ლექსიკონებსა და წყაროებში ეს გვარი არაა ფიქსირებული. ამ გვარს არ იცნობს ნ. ჯომიდავას ზემოთ დასახლებული წიგნები, ზარნაძე არ ჩანს არც პ. ცხადაიას ახლად გამოცემული „სამეგრელოს გვარების“ წიგნში [72]. პირად საუბარში, ბატონმა პაატამ განაცხადა, რომ ასეთი გვარი არ სმენია, თუ გურია-იმერეთში ვინმეს გადაკეთებული არ აქვსო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვარაუდობთ, რომ გვარსახელი ზარნაძე ძველი კოლხეთის

ზარმათ ფორმით გვხვდება და დეზაფორიკატიზაციის შედეგადაა მიღებული [86, 241]. ასევე უცხოური სიტყვაა ზარად-დ; ზარარ → ზარალ [99,185].



ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო ისტორიულად მაინც, რადგანაც, ზარნაძეების ძირძველი სამკვიდრო სოფელი წომ ისტორიული საზანეთისა და ქართლის საზღვარზე მდებარეობს, იმ სოფლების მახლობლად, რომლებსაც ამჟამად ქვედა და ზედა საზანო ეწოდება, რომლის შესახებ აკად ნ. ბერძენიშვილი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად სამეცნიერო მოგზაურობისას ამ ადგილების ხილვისას დანახებით წერს: „სამწესწაროდ, აგრე მრავალმეტყველი საზანოს ცისე ვერ ვნახე... ვერ გვიჩვენეს... საზანო შესანიშნავია სკანდე-შორაპნის საზსეო“ [20,467]. თუ ისტორიულ საბუთებში გვარ-სახელი ზარნაგა დღემდე უცნობია, იგი დავადასტურეთ როგორც ლიტერატურული, გამოგონილი გვარი ჭ. ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშნაში“ (ეს ის ეპიზოდია, როცა ზარნაგასთან დათა თუთაშნაის მისვლის შემდეგ 15 წთ-ში სამი კაცი მივა დაშლილი სასტამბავი მანქანით, შრიფტის ფუთებით და ცოტა ქაღალდით) იხ. დათა თუთ. გვ. 347.

გვარ-სახელების გარდა, ზარ ფუძის შემცველი ტოპონიმები სხვაც შეიძლება დავასახელოთ: ზარიაანთ უბანი (უბანია მუნრანში), ზარიძიანთი ადგილია სეკორში, სადაც ზარიძეები სახლობენ [74, 49], ზარებისდელე ადგილი, დელე პირველ რბონაში (ფრონეების სეობაში) [75]. აგრეთვე ზარანი, რომელიც სოფელია წარაგაულის რაიონში<sup>15</sup> [78, 579]. არაა გამორიცხული, რომ ისტორიულად ზარნაძე და ზარანი საერთო წარმომავლობის, ან ეს უკანასკნელი „მიგრაციული ტოპონიმი“ იყოს. ამ საკითხს სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

და ბოლოს, ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმებს უშუალოდ უკავშირდება ზარზმა, რომლის ნამდვილი, მეცნიერული ეტიმოლოგია დღემდე უცნობია.

ზარზმა სამცხეში, ადიგენის რაიონში, ცენტრიდან რვა კმ-ის დაშორებით, ქვაბლიანის თვალწარმტაც სეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ამ სოფელში დაცულია დიდი ეკლესია, თლილი ქვით და ნაშენი გუმბათიანი ნაგებობით. იგი ძველ ქართულ სამშენებლო ტრადიციათა შემცველია და შესრულების თვალსაზრისით მაღალ დონეზე დგას. იგი აგებულია XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე. ზარზმაში პირველი ეკლესიის მშენებლობასა (IXს.) და სამონასტრო ორგანიზაციის პირველ ეტაპს კარგად გვაცნობს იქაური მწიგნობარი, მონასტრის დამაარსებელი სერაპიონ ზარზმელის ძმისწული ბასილ ზრზმელი. ზარზმიდან ცნობილი არიან სხვა მწიგნობარნიც, კერძოდ, გერმანე (გერმანოზ ზარზმელი, ბენედიქტე ზარზმელი და სხვა. როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი პროფ. ლ. მენაბდე წერს, ზარზმის მონასტერი XVI საუკუნეებში აწყურის ეპარქიას დაექვემდებარა, ხოლო იმავე საუკუნის დასასრულისათვის სულ დაცარიელდა. ზარზმელებმა, რომელთაც სამცხეში აღარ ედგომებოდათ, გურაის მიაშურეს, თავიანთი ნივთები შემოქმედში გადაიტანეს და საგანგებოდ აშენებულ ეკლესიაში დაასვენეს [79,82]. სანამ ეს მოხდებოდა, ზარზმა, როგორც ისტორიული საბუთებითაა ცნობილი, „მზეჭაბუკმა და მისმა ძმისწულმა ყვარყარემ შესწირეს აწყურის მონასტერს და სუიონ მაწყურელს ზარზმის მონასტერი მისი შემოსავლით, სოფლებითა და გლეხებით [15, 93].

ამჟამად სოფელ ზარზმაში დებელი რაჭველები სახლობენ. იქვე კარგა ხანია ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სახალხო უნივერსიტეტი აკად. ს. ჯიქიას ხელმძღვანელობით.

„სერაპიონ ზარზმელის ცნობების“ ავტორი ბასილ ზარზმელი მოგვითხრობს სერაპიონის „წმინდა თავადასავალს“. სერაპიონი, კი როგორც ვიცით, „ესე ნეტარი და ყოვლად ქებული აღმოსცენდა ქვეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატოსნებით და ლიტონად ცნობებულთა, რომელნი შრომით და ქვეყანის მოქმედებით იზარდებოდეს, და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა და ძალისაუბრსა მისცემდეს უღონოთა ხელის აპყრობასა და სიმშვიდით და სიმდაბლით იყოფოდეს...“ (ზარზმ. 259,16-20).

ამრიგად, სერაპიონი, კლარჯი, კლარჯეთის მკვიდრი და ღირსეული ოჯახის შვილი მოგზაურობს კლარჯეთიდან სამცხემდე. გადავივლის გოდერძის უღელტეხილს... და ბოლოს მიაღვება იმ სეობას, სადაც ზარზმის მონასტერი აშენდება. თვით სერაპიონი კარგი მთხრობელი ყოფილა. ერთ-ერთი მისი

<sup>15</sup> ზარან სოფლის სახელმა რატომღაც ასახვა ვერ პოვა საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ამსახველ წიგნში [71]. არის ცდუნება ზარანა ფუძის დაკავშირებისა ზანIIზანა ეთნონიმთან და ზარნაძე გვარ-სახელთან (ზანაძეები ცნობილები ქართლში, სოფელ რუისში). მაგრამ ასეთი დაკავშირება საეჭვოა. ლინგვისტურად, კერძოდ, ფონეტიკური თვალსაზრისით ნარანარა ბეურის წინ ასევე ნარანარა თანხმოვანი ანუ სინანტი ქართულ-ქართველურში არ ჩნდება. ასე რომ ასეთი დაკავშირება გამორიცხულია.

ნაამბობით „ყოველი კაცი... მთავრითურთ შიშინ და განკვირვებაჲმან შეიხყნა (ზარზმ. 295,13)“. იქვე სწავა ადგილას ვითსულთბთ: „და ივინი იყვნეს შეპყრობილი შიშითა რადმე დიდითა და კაცნი ივი უცნონი - ვითარცა მკვდარნი ხილვითა (ზარზმ. 304, 13-14); ადგილობრივი მოსახლეობა ნაწარმოებში ერთგან სურაბიონს შიშინარეკად უყვება ერთ ამბავს: „და ჩვენ, რომელნი ვიბოენით გარემოდს ადგილისა მის, განვიბნიენით ძლიერისა მისგან ზარისა და შთამოვედით კაცისა ამის, რამეთუ მეცნიერ იყო ჩვენდა“ (ზარზმ. 304, 29-31). ან კიდევ: „და წარვიდა ჭაბუკი იგი და ჩვენ დავშით ადგილსავე მას. სოლო მი-რაღ-იწია ჭაბუკი იგი წინაშე მთავრისა, ყოველივე წარმოუთხრა შექმდომითი-შემდგომად, და რომელთა ესმა, განკვირვებაჲ დაეცა, ზარი განჰსდა, აღიდებდეს ღმერთისა. მაშინ ღმერთის მსახური იგი შიშითა და სინარულითა აღივსო და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა“ (ზარზმ. 305, 20-25);

სწორედ ზემორე მონათხრობთა ამონარიდების მიხედვით „მიერთგან ეწოდა სასკელი შექმნაგვსებული საქმეთა ადგილსა მას: რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს. სოლო ლოცვით და ვალობით განათიეს ღამე იგი და განთიად მოიკითხნეს წმიდანი იგი და სინარულით წარვიდეს სახიდ თვისა (ზარზმ. 306, 27-31).

ამრიგად, როგორც ნაწარმოების ავტორი ბასილ ზარზმელი მოგვითხრობს, ზარზმას სასკელი „ზარისა და შიშის“ გამო ეწოდა. ჩვენის აზრით, ზარზმა ზარით, სმამაღალი, ღვთისადმი აღვლენილი სოტბის გამო ეწოდა ამ ადგილს. ყოველივე ეს ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურად ასე შეიძლება ავსნათ: ზარ ზმა → ზარით ზმა// → ზარით სოტბა. ზარზმა ში ზმა იგივეა, რაც სოტბის-შექების შინაარსი. ზმა იგივე ზმნაა, კეთება. ვფიქრობთ, ამ სიტყვისაგან სავსებით შესაძლებელია ზარნაძე გვარ-სასკელში არსებული ზარნა ფორმის მიღება: ზარზმა//ზარზმნა → ზარნა.

ღირსსაგნობია ისიც, რომ ზარნაძეთა დიდი ნაწილი (რომელთაგანაც საუბარი მქონდა) თავიანთ გვარს ზარს, ეკლესიის მომსახურე პერსონალს, მნათეს, საეკლესიო მრევლს უკავშირებენ. ზარნაძეთა გვარის ღირსეული წარმომადგენლის, ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის ბატონ გივო ზარნაძის ცნობით, ზარნაძეები იერუსალიმის ეკლესიის მსახურები (მრევლი, გლეხები) იყვნენ. ბატონ დავით ზარნაძის ცნობითაც ზარნაძეთა წინაპარი სამსრეთ საქართველოდან (კლარჯეთი, აჭარა) უნდა ყოფილიყო. ცნადა, ყოველივე ამას ისტორიული და საეკლესიო საბუთების მოძიება, შესწავლა სჭირდება, რაც ყველაფერს გასაგებს განდიდა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ აგრეთვე ზარნაძეთა გვარის მატარებელ წინაპართა მიგრაციას სამცხიდან გურია-იმერეთში. ზარნაძეები სომ ამჟამადაც ანაღვინეში (სამცხეში) ცხოვრობენ. იქნებ მათი (ზარზმელების) მიგრაციის გამო, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ზარნაძეთა ერთი ნაწილი შუაიმერეთში, ისტორიული ზანეთისა და ქართლის გასაყარზე, თერჯოლის რაიონში (ძველი ჩხარის რ.) სოფ. ალისუბნის ტერიტორიაზე დასახლდა. ადგილი შესაძლებელია, სწორედ მათი კომპაქტური დასახლების გამო ამ ადგილს ეწოდა სოფელი ზარნაძეები. ცნადა, ყოველივე ამას დამატებითი ძიება და საველე მუშაობა სჭირდება.

ასევე არ გამოვრიცხავთ ზარნაძეთა გვარში ისტორიულად ისეთ პიროვნებასაც, რომელიც ზართა მრეხელი იყო, ეს უკანასკნელი კი, თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით, არის „შემადრწუნებელი მტერთა და წინააღმდეგთა“ [80] ე. ი. ზარნაძეთა ზოგი წინაპარი მტრისთვის „საშინელების ჳმისა შემადრწუნებელი“ შეიძლება ყოფილიყო. ან სწავაგვარად, რომ ვთქვათ, ზარი სომ „ამისთანა ჳმიერება არის, რომ კაცის გულს ძლიერს გრძობაში მოიყვანს, სოლო სწვათა თდესმე სუსტთა გულისა მექონთა შიშსა შინა მოიყვანს“. ან სწავაგვარად, ზარი „მას ეწოდება, საყდართა და ესე ვითართა, რომელსაცა დარეკენ და მით მოუწოდებენ ერთა ტაძართა შინა ლოცვად, ვინა ნიშნად რაღსამე საქმისა, დაირეკების ვითარცა საათის გასვლისა“ [80, 57].

როგორც ჩვენი წინაპარი, კერძოდ, ბასილ ზარზმელი იტყვოდა, „სოლო ჩვენ კვალად ადვიდეთ პირველსავე სიტყვასა და ძალისაებრ ვიხყრათ წესი თხრობისაღ“, ანუ სწავა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზემოთქმულს, გვარსასკელ ზარნაძის ნა' დაბოლოებას დაგუბრუნდეთ.

რას ნიშნავს ზარნაძეში ნა მარცვალი?

ნას ისტორიულად ამ გვარში, აშკარაა რაღაც სმოვანი უძლოდა. ა, ან უ ან ე/ი. ამრიგად, მოსალოდნელია ზარნ ფუძის არქეტოპი: \*ზარანა, \*ზარუნა, \*ზარენა, \* ზარინა. ამ უკანასკნელ (ზარინა) ფორმას ვარაუდობს ი. მაისურაძეც [46], რომლის ანსხას იზიარებს ი. ანუაშვილი ვაწეთ „მეოთხეს“ ფურცელზე [50, 4], თუმცა ვაწეთში დასახანი კორექტურული შეცდომა გაპარულია: „ზარინაძეები სოფელია თერჯოლის რაიონში“, ცნადა, აქ, ამ შემთხვევაში უნდა იყოს ზარნაძეები. ალ. ღლონტი ზარნა ს მეტსახელად გამოყოფს გვარში: ზარნაძე [7, 124], ცნადა, მას ისტორიულად ეს

მეტსახელი არ დაუდასტურებია. როგორც ცნობილია, ა. ღლონტი გვარ-სახელების მიხედვით გამოყოფდა მეტსახელებს, ასე მოქცეულა ამ შემთხვევაშიც. ისტორიულად **ზარინა** მეტსახელიად მართლაც არსებობდა. ჩვენ იგი დაგადასტურეთ სვანეთის წერილობით ძეგლებში [16, 509].

**ზარ** ფუძის შემცველი სახელები წარმოდგენილია ა. სილაგაძისა და ა. თეთგაძის ერთობლივ ნაშრომში: **ზარა** 51 (თბილისი-31; ნინოწმინდა-3; ახალქალაქი-2;), **ზარგალაძე** 60 ( მარნეული-19; თბილისი-7; დმანისი-7), **ზარეტა** 64 (თბილისი-17, გორი-12; ლაგოდეხი-6), **ზარიკი** 156 (თბილისი-69; ბოლნისი-13; ახალქალაქი-13), **ზარინა** 143 (თბილისი-29, ნინოწმინდა-18; ახალქალაქი-12), **ზარნიშანი** 52 (მარნეული-22; თბილისი-7, ბოლნისი-6), **ზარუი** 154 (ახალქალაქი-51; ნინოწმინდა-42, თბილისი-21); [51, 313]. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყველა ზემოთეულ სახელში **ზარ** ფუძე გამოიყოფოდეს, მაგრამ ეს ერთი შესხედვით. სინამდვილეში ამ „ნაშრომზე“ დაყრდნობა არ შეიძლება, რადგან არ ჩანს თითოეულ ზემოთ წარმოდგენილ სახელს რომელი ერის წარმომადგენელი ატარებს. ჩვენი დაკვირვებით, მარნეული, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ლაგოდეხი, დმანისი ... იმაზე მიუთითებს, რომ თუ ყველა არა, აბსოლუტური უმრავლესობა ამ სახელებისა ეკუთვნით წარმოშობით არაქართველთ- აზერბაიჯანელებს, სომხებს... ასე რომ თვით **ზარა**, **ზარეტა**, **ზარინა** (შდრ. სარა, მარი, მარინა, მარიეტა ...) ს არაფერი აქვს საერთო ზარნაძე გვარსახელში არსებულ ნა (-ინა) სუფიქსურ დაბოლოებასთან. ამრიგად, ზარნა←ზარ-ინ-ა საგან მომდინარეობს, რომელშიც გამოიყოფა -ინა აღნაგობით რთული სიტყვასწარმოებელი კინობა-ალერსის გამომნატველი სუფიქსი. ჩანს, ზარინა → //ზარნა მართლაც მეტსახელია, რომელიც მეზარეობა/მნათეობის გამო უნდა შეერქმიათ. -ინა, როგორც სიტყვასწარმოებელი, კინობით-ალერსობითი ბოლოსართი სწვა საკუთარ სახელებსა და გვარ-სახელებშიც გვაქვს: მაგ., ლომი, აქედან: ლომ-ინა, გვარები: ლომინაძე, ლომინაშვილი; გოგი, აქედან: გოგინა, გვარები: გოგინავა, გოგინაშვილი, დროთა ვითარებაში **ინაშვილი** ი **ნმოვანი** დაკარგულა, შდრ. გოგინაძე (← გოგინაძე), გოგინაშვილი, ვაჩინაძე (← ვაჩინას ძე), კოგინაძე (← კოგინას ძე), ასე რომ **ზარნაძე** გვარ-სახელსაც ეს გზა გაუგლია: ზარნაძე ←ზარინაძე. ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში ვკითხულობთ: **ზარნაძე დათუნა** – მოწმე სულია გოგინაშვილის მიერ ბერუკა გოგინაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1448-2145) [50]. დოკუმენტი 1690 წლით თარიღდება. ცნადა, ზარნაძეების გვარი ბევრად ძველია, ვიდრე ეს ისტორიული საბუთი. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ზარნაძეში **ღ** ნმოვანი ამოვარდნილა ზარინაძე→ ზარნაძე, გოგინაშვილ გვარსახელში კი მაშინაც და ანლაც შენარჩუნებულია.

#### 4. ზარნაძე გვარ-სახელი ქართულ მნატვრულ ტექსტებში

**ზარნაძე** როგორც ლიტერატურულმა გმირმა და პერსონაჟმა თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც პოვა ასანვა. თუ ქაბუა ამირეჯიბმა “დათა თუთაშნიაში” **ზარნაძე** შეარქვა ერთ-ერთ პერსონაჟს, **ზარნაძე** მოქმედ პირად გამოიყვანა რომან “კეცხოველში” იაკონთე ლისაშვილმა [90].

როგორც ცნობილია, რომანი მწერალმა მიუძღვნა მე-20 საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ რევოლუციონერს, იოსებ ჯუღაშვილის თანამებრძოლსა და თანაგმინაზიელს, უდროოდ გარდაცვლილ და მეფის რუსეთის რეაქციულ მიხელეთაგან დაზვრეტილ ქართველ ვაჟკაცს, აკად. ნიკო კეცხოველის ბიძას ლადო კეცხოველს.

გარდა ზემოთხსენებ პერსონაჟთა (ლ. კეცხოველი, ი. ჯუღაშვილი), რომანში მოქმედ პირებად გვევლინებიან ისტორიულად არსებული ქართველი რევოლუციონერები: მინა ცნაკაია, სეკერიან ჯუღელი, ნოე ჟორდანიანი, მწერლები: ევნატე ნინოშვილი, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვ.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, პროზაიკოსმა როდის, ზუსტად რომელ წელს შექმნა ზემოთეულ რომანი. მეორე ხარისხიანი პერსონაჟი **ზარნაძე** ისტორიულად მოქმედი პირი იყო თუ მწერლისეული გამონაგონი (ეს სწვა თემა), მაგრამ ერთი რამ, ჩვენის აზრით, აშკარაა, მწერალი ი. ლისაშვილი, როგორც ჩანს, **ზარნაძე** გვარსახელის გარეგანი და შინაგანი ფლერადობით, შინაარსით დაინტერესებულა, რასაც მართლაც იძლევა ეს გვარსახელი (ზარ ლექსემა . .).

რომანში **ზარნაძე**, როგორც გვარი და პერსონაჟი 14-ჯერაა მოხსენიებული.

როგორ ხატავს მწერალი ზარნადქს, რა ტიპთან გვაქვს საქმე? სანამ უშუალოდ ჩვენს უფასობას ვიტყვოდეთ, მანამდე როგორც დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, “ჩხარელი ორატორი” გრიგოლ რობაქიძე იტყვოდა, ვაუბნებთ ფაქტებს დასახელებული რომანიდან:

“გზაზე აქეთკენ მომავალი ვიღაც ცხენოსანი გამოჩნდა, დარეჯანი დააცქერდა, – უცბად გაფითრდა:

– ზარნადქა, ალბათ, აქ მოდის – ჩაილაპარაკა, სელიდან ლუკმა გაუვარდა, წამოდგა.

მართლაც ჩონა-ანალუხში გამოწყობილმა, ჩაფსკენილმა კაცმა დარეჯანის დაბალ ღობესთან ცხენი მოაგელვა, ნაცრისფერი ბოსონი გაისწორა და ბრტყელ ხანჯალზე სელი დაიდო.

– მასპინძელთ! – წინწიანი ხმით დაიძანა და მერე შეთეთრებული უღვაშები თითქოს რაღაც ბოროტად გადაიფრინა.

დარეჯანი გაიქცა, დაუპატიჟებელ სტუმარს ღობესთან მიეგება და რაღაც შეპკრთალი ხმით მიაძანა:

– მობრძანდით!

ამის შემდეგ ლადოსა (ლადო კეცხოველი, ბ. ცხ.) და გიგოლას სტუმარ-მასპინძლის საუბარიდან (ასეა ბ. ცხ. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით უნდა: საუბრიდან) მხოლოდ თითო-ორი სიტყვა თუ ესმოდათ, ყმაწვილები ზარნადქს მისგრა-მოხვარაზე და მის ქარნალივით წამოწოთლებულ სახეზედაც კითხულობდნენ, რომ იგი ჯავრობდა და საუბარიც მკტად მწვავე საკითხს შეესებოდა. “ყველაფერს დრო აქვს!”, “მოაგრობა მომისჯის”, “მოაში!” – ისმოდა ზარნადქს თითქოს თავდაჭერილი, მაგრამ მაინც მრისხანე წამოძახილები. “მოჯამაგირეს” – ბოლოს ეს ერთი სიტყვა რაღაც შექნარავი ხმით წამოიძანა დარეჯანმა და ღობის სარი ისე მოსწია, რომ სელში ჩაატყდა.

ზარნადქ წავიდა, ცხენი ისე მითარეშობდა, თითქოს პატრონივით ჯავრობსო.

ახლა უფრო გაფითრებულ, თავდახრილ და ხელებჩამოცვენილ დარეჯანს, მიწურისაკენ რომ მიდიოდა, ფერი არ ედო. მოაღწია, ძლივსდა სუნთქავდა.

– რა მოხდა დედა? – ჰკითხა თვითონაც ელდანაცემმა გიგოლამ.

დარეჯანი შეეცადა ეთქვა რაიმე, ან კარგი, ან ცუდი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა, მერე თავს ძალა დაატანა, წარმოთქვა:

– არაფერი, ვალის განადღება მომთხოვა.

– ვალის? გაიმეორა გიგოლამ და იმ გზას გაჰხედა, რომელზედაც ზარნადქ ცხენს მიაგელვებდა. მის თვალებში სიძულვილი და თითქოს რაღაც შიშიც მოჩანდა” (კეცხ. გვ. 113-114).

რომანის სწვა ადგილას, კერძოდ, 124-ე გვერდზე ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ლიზიკო ლადო კეცხოველს წერს:

“ძვირფასო ლადო!

შენგან თრი ბარათი მივიღე. პასუხს გიგზავნი. მოიწყინა სოფელმა. ხეებს ფოთლები სცვივა და სცვივა. ასე მეტონია, არავის არაფერი არ უხარია. ახლა გიგოლაც წავიდა აქედან. მოჯამაგირედ მიაბარეს მინა ზარნადქს, ცხვარში გაგზავნეს . . . გაუჭირდათ, ვალეებმა გაიტაცეს გიგოლა. გიგოლამ გულამოსკენილმა დატოვა სოფელი. დედაც მისტიროდა. გლეხმა გლეხის შვილი დაიმორჩილა და ცხვარივით გააგდო მთაში . . . (კეცხ. გვ. 124)”.

ამრიგად, როგორც ვაირკვა, ერთ-ერთი პერსონაჟი მინა ზარნადქ, შეძლებული გლეხი ჩანს, მისგან ვალი აქვთ აღებული. ამიტომ ხანაცვლოდ მევალე მოჯამაგირედ მიჰყავს. მწერალი განგებ, წინასწარ მუქ ფერებში ხატავს შრომისმოყვარე, შეძლებულ გლეხკაცს, რათა ანტაგონიზმი სწვადასწვა სოციალურ ფენაში არსებული, მკითხველმა უფრო მძაფრად შეიგრძნოს. თანასოფელთა გიგოლას დედა, დარეჯანი, ეცოდებათ: “მაშ ის უბედური რაღა იქნება, ერთადერთი შვილი ზარნადქმ სელიდან გამოსტაცა და ცხვარში გააგდო” (კეცხ. გვ. 127).

ზარნადქს, როგორც შეძლებულ გლეხს, ი. ლისაშვილი მწერალ სოფრომ მგალობლიშვილთან შესვედრისას ასე წარმოგვიდგენს: “მერე ერთი ჩაფსკენილი, ტანდამრგალეული ახალგაზრდა გლეხი წამოდგა. თავზე თუშური ქუდი გაისწორა, წინგადმოყრილი ქოჩორი ოდნავ ასწია, თითი სოფრომს მიუშვირა და შეეკითხა:

– ერთი ეგეც გვიბრძანეთ, თქვენი ჭირიძე, გლეხკაცსა ქონების შექენა რომ შეუძლია, ცხვარის გამრავლება და მწყემსების აყვანაც რომ შეუძლია, ასეთ რამეებს ნაროდნიკები ხომ არა კრძალავენ?.

– თქვენ რა გვარი ხართ? – შეეკითხა სოფრომი.

– ზარნადქ ვასლავართ, – ყრუდ უპასუხა და გაწითლდა გლეხი.

– დიად, მინა ზარნადის უფროსი ვაჟია, პავლია ჰქვია, – განუმარტა საბამ.  
– აჰა, შეძლებული, გავლენიანი გლეხის შვილია და ასეთები გვჭირდება, – წარმოთქვა სოფრომმა.

ლადო წამოდგა, მეტის მოთმენა მან ვეღარ შეძლო, უნდოდა რამე ეთქვა, ეყვირა: ამას აქ რა უნდა, ზარნადიკები სომ მძარცველები არიანო, მაგრამ ყველაფერი გულში ჩაიკლა, სოლო რაღაც გამწარებით სელი ჩაიქნია, მოწყდა ადგილიდან და გარეთ გაიჭრა (კეცნ. გვ. 133-134),

ჩანს, მწერალს შეძლებული გლეხკაცი ზარნადიკ კულაკის პროტოტიპად სურს დაგვიხატოს. უფრო მეტიც, ლადო კეცნოველი ამ გლეხის მიმართ ამხედრებულაა, როგორც მწერალი წერს, “არ იქნა და ვერაფრით ერთმანეთს ვერ შეათავსა ერთი მხრივ ძმა, საყვარელი მასწავლებლები და მეორე მხრივ ზარნადიკები. “განა ჩემი მასწავლებლები ზარნადიკებს იცავენ? განა მინა ზარნადიკსაც გლეხს ეძახიან?” (კეცნ. გვ. 136).

ამრიგად, ძველი მევალე და ამჟამინდელი ზარნადის მოჯამაგირე გიგოლა ოდიშელი მთაშია, ცხვარს მწყემსავს, რომელსაც მეგობარი ლადო ააკითხავს. ეს უკანასკნელი გიგოლას ცვლილებას შეამჩნევს: “– არა, კი არ გამოვიცვალე, – მიუგებს გიგოლა. – აქ ცხვარი . . . მალე ზარნადიკს მოვა, მაშინ მისი ჭქა-ქუხილი ატყდება მთაში. მერე შენ, ლადო, რაღას მიშველი? მოჯამაგირე ვარ, ლადო, მოჯამაგირე! მგონი, უკვე ვალი დაფურე, ერთი ცხვარიც მომიწევს კიდევ, სად მივატოვო, ლადო, ცხვარი, ან ვინ გამომიშვებს, როგორ იქნება?!” (კეცნ. გვ. 178-179). ბოლოს ლადო მაინც ითანხმებს გიგოლას, მთას და ცხვარს დაატოვებინებს და მეგობარს თავისთან, ქალაქს, წაიყვანს.

ი. ლისაშვილის რომანში, როგორც ერთ-ერთ უთვალსაზრისო რეკოლუციონერს გვიხატავს, აუცილებელი იყო გმირის წასიათის წრთობის ჩვენება. წასიათის ჩამოსაყალიბებლად სწავდასწავა (მიზნების, სურვილებისა და მისწრაფებების) პერსონაჟთა დაბირისბირებაა აუცილებელი. მწერალმა ანაღვანა ლადო კეცნოველის პირველ დიდ სოციალურ შთაბეჭდილებად მინა ზარნადიკ ჩათვალა და მოგვცა სოფლის მდიდარი გლეხის სახე, რომლის ყიარათიანობა და ანგარიშიანი ბუნება სწავდასწავა ებიზოდში გამოვლინდა. მაშინ და შეძღვომაც ასეთ შეძლებულ, ჭკვიან და ანგარიშიან ხალხს ბოლშევიკები “კულაკებად” და მტრებად ნათლაგდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ასეთი დამოკიდებულება ძირშივე ანშობდა მეწარმეობისა და ჯანსაღი ბიზნესის წარმოებას. როცა ურემი გადაბრუნდა, გზაც გამოჩნდა და დღეს სანატრელად გაგვხდომია ინციპტივიანი, ჭკვიანი და შეძლებული ფენა საზოგადოებისა.

ი. ლისაშვილმა შეძლო მაშინდელი მცდარი მისწრაფებების რეკოლუციონერთა რეალური ცნობგობა რეალურად აესახა და, ასე თუ ისე, სრულყოფილად გადმოგვცა კიდევ.

## 5. ზარნადები ზარნადებისავე გადმოცემაში

ზარნადების გვარში წამყვანია ისეთი პროფესიები, როგორცაა: მათემატიკოსობა, მხატვრობა, ეკონომისტობა, ექიმობა, ბიზნესმენობა.

ზარნადიკები ( თითო-ორილა) განფენილია, ცნობგობს და მოღვაწეობს ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში (აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი, ბალტიისპირეთი), ამერიკაში.

ზარნადიკებს თავიანთი გვარის უხუცესად მიაჩნიათ ალისუბნელი მარტია ზარნადიკი, რომელიც 103 წლისა გარდაცვლილა ალისუბანშივე, მათ ჰყოლიათ ზარნადიკების მომდერალთა გუნდი. ზარნადიკებს ანლაც შემოუნახავთ მათი გვარისათვის დამახასიათებელი საფერავის ჯიშის ყურძენი, რომელსაც ჯგანდისა ჰქვია. თვით სახელწოდებაც ჯგანდისა, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ძველად მათი წინაპარი მღვდელი უნდა ყოფილიყო და სახელიც (ჯგანდისა) აქედან უნდა შერქმეოდა საფერავს.

ერთ-ერთი ზარნადის ცნობით (რომელიც ზაურ ზარნადის ბუბიას უთქვამს) “ჩემი წინაპრები, შვილო, ჩიტორელიძეები იყთ, სწავთა შორის, ამ ინფორმაციის მიმწოდებელ ქალბატონს 10 დღე დააკლდა, რომ მესამე ათასწლეულს მოსწრებოდა”. ჩიტორელიძეები ამჟამად ხარაგაულის რაიონში ცნობგობენ. საინტერესო ვერსიაა, რაც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ალისუბნელი ელგუჯა ზარნადის თქმით, “ადრე, განკულაკების დროს, გვედგათ ოდა სახლი და ძელური, სახლის პატრონი, უფროსი ზარნადიკი გააკულაკეს. მას კი წინააღმდეგობა გაუწევია და ჩხარის ციხეში ჩაუსვამთ. “გამიშვით, თორემ აქ ვერ გაჩერდებით, აგაყროლებთ”, დაუქადნია დაჭერილს.

მართლაც დაქადნება დაქადნებად არ დარჩენილა, ამ კაცმა (ზარნაძემ ბ. ცხ.) ლოცვა დაიწყო, დადგა საშინელი ხუნი . . . ცინის მუსევეური იძულებული გახდნენ კაცი სახლში გაეშვათ.

ზარნაძის გვარის კაცი თურმე რომ აჭაჭყანდებოდა, მტრისას და ავისას, ამიტომ შეგვერქვა ყვაფიჭამიებით! რა ყვაფიჭამით ჩნავინარო, იქვე ერთ-ერთი შეკრების მონაწილემ (ბ. ზარნაძემ) ისუძრა: შენ მიჩვენე ისეთი ზარნაძე, ლაპარაკი რომ არ იცისო.

მონრობლის ახსნით, ყვაფი სიბრძნის განსახიერებაა, “ყვაფიჭამიები” ე.ი. ბრძენი ხალხით: ასეთია ამ მეტსახელის შერქმევის ერთ-ერთი ვერსია.

არსებობს “ყვაფიჭამია” მეტსახელის შერქმევის სხვა ვერსიაც: ერთ-ერთი ზარნაძის ცნობით, “ზარნაძეები ტყეში წასულან შეშის მოსაჭრელად, საქმელი შემოღვევით, ძალზე გაჭირვებით, აუღიათ ჯიშები და ყვაფების კვლა დაუწყიათ”.

ყვაფიჭამიების გარდა ზარნაძეებში ცნობილია მეტსახელი ჭადუკები (ჭად+უკ-ი?). ქუთაისელ ზარნაძეებს რქმევიათ ტყლაპი, მენაშირე, ცხადია, ასეთი შერქმეული სახელის ახსნა-გამოვლენა საინტერესოა თვით გვარის შეცნობის თვალსაზრისით, რაც სამომავლო საქმედ გვესახება. ზარნაძეები აზატები და საეკლესიო ყმები ყოფილან, რაც კარგად ჩანს ელგუჯა ზარნაძის მონათხრობიდან: “ვარდიგორიდან ერთი კაცი, საყვარელიძის კაცი გადმოდიოდა ცხენით, მანამდე ზარნაძეების შიშით ვერ დადიოდნენ ამ მხარეს საყვარელიძეები. ისინი აზნაურები იყვნენ, სკანდა-ჩინორით დადიოდნენ ქუთაისში. ზარნაძეები აზატები და საეკლესიო ყმები, კერძოდ, ალავერდის ეკლესიის ყმები იყვნენ, ალავერდი სოფელია ამჟამადაც, სადაც ეკლესია დგას. საინტერესოა, რა ურთიერთობაა კანეთის ალავერდსა და იმერეთის ალავერდს შორის. აქვეა ჯგილათ-ვარდიგორა - ძველისძველი ტოპონიმები. ელგუჯა ზარნაძის თქმით, ალავერდის ეკლესიის წინამძღვარი, თუ არ ვცდები, ერთ დროს, მგონი იყო სიდიბეგეიშვილი, რომელიც ვერ უბრძოდა საყვარელიძეებს. საყვარელიძეებმა მის დროს საეკლესიო მიწები მიიტაცეს. ცხადია, მიიტაცეს მათი ყმებიც. ზარნაძეებს ხმა აუმაღლებიათ და საყვარელიძეებს “ტკბილი ლუკმა” ხელიდან გააგდებინეს. ისინი კვლავ ეკლესიის ყმებად დარჩენილან. სწორედ ამის გამო იყო მტრობა საყვარელიძეებისა. ამიტომ უშინდით საყვარელიძეებს და ერიდებოდნენ ზარნაძეების მხარეს გაგლას. ახლაც თუ დავაკვირდებით იმ ადგილებს, მაგალითად, დელე ჩხარას იქით, არც ერთი ზარნაძე არ ცნობობს. ე.ი. ეს ადგილები, რაც წყალგადმაა, ზარნაძეების არ ყოფილა. მისივე ცნობით, ამის შესახებ არსებობს სოლომონ მეფის სასამართლო განჩინება, რის მისხედვითაც მეფემ დაადგინა, რომ საყვარელიძეებს ჩამოერთვათ იმ ეკლესიის მამულები ყმებით, რომლებიც მათ მიიტაცეს.<sup>16</sup>

სამწუხაროდ, მოუხედავად არაერთი მცდელობისა, ჩვენ ამ დოკუმენტს ვერ მივაკვლიეთ. ეჭვი არ გვეპარება ასეთი საბუთი არსებობს, რასაც მოძიება სჭირდება. სიდიბეგეიშვილის გვარსაც წავაწყდით ერთ-ერთ დოკუმენტში, ასე რომ ყველაფერი შემოთქმული ახლოა რეალობასთან. თღონდ, მაინც დასადგენია ალავერდის ეკლესიის კუთვნილება: ვინ ააშენა, ვინ უვლიდა, ალავერდელ საყვარელიძეთა შტოს “ალავერდულობა” ისტორიულ წყაროებში ცნობილია.

## 6. ზარნაძეთა გვართი დასახლებულ ძირითად პუნქტთა (ტოპონიმთა) ეტიმოლოგიები

### ა) აღისუბანი

ეს ტოპონიმი აღნაგობით რთულია: აღი+უბანი. ამდგვარი ადგილის სახელწოდებები, რომლებშიც მეორე, ბოლო სიტყვა უბანია, არცთუ მცირეა ქართულ ტოპონიმიაში, მაგ., აბასთუბანი→აბასთუმანი-(აბაზაძეთა უბანი|აბაზო უბანი), მარტოთუბანი|მარტვათუბანი|მარტოთუმანი (“მარტო”, სხვა დანარჩენ მოსახლე ადგილებისაგან მარტო, განზე მყოფი უბანი)-; გუდათუბანი (სოფელია ზემოიმერეთში) ←

<sup>16</sup> ასეთი მიტაცება ძველად იშვიათი არ იყო. მაგ., საუფლისწულო სოფლებსაც კი, საეკლესიოზე რომ არაფერი ვთქვათ, ხშირად იტაცებდნენ ძლიერი თავადები, თუნდაც წერეთლები და აბაშიძეები. მაგ., სოფ. ზოდი XVII-XVIII სს-ში წერეთლებს ჰქონდათ. XIX ს. დამდეგს კი ის ერთხანს კოსტანტინე ბატონიშვილს ეჭირა. ასევე მღვიმევი|მღვიმე მისი მონასტრით XVIII საუკუნესა და მომდევნო საუკუნის დამდეგს ხან უფლისწულის უკავია, ხან კი – წერეთლებს. მღვიმევი და ჯრუჭი მათი მონასტრებით საბოლოოდ მაინც წერეთლებმა შეინარჩუნეს [95,59], [84-87].

გუდათ უბანი. ადგილი, სადაც გუდაძეებს უცხოვრიათ (ან ცხოვრობენ); გორისუბანი (ადგილი დღევანდელ საგურამოსთან, ადრე სოფელი ყოფილა. აქ დაბადებულია ცნობილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი).

ტობონიმი ალისუბანი აღნაგობით რთული სიტყვაა. ალის+უბანი, ამ სიტყვის პირველი ნაწილი ალი, როგორც სოფლის სახელწოდება, ცნობილია მატეანეში. ასევე ცნობილია, როგორც ჰიდრონიმი და ტობონიმები, რომელებიც “ალი” სიტყვას შეიცავენ: ალის წყალი (ლეგან ბატონიშვილმა უბოძა იესე რუსაშვილს ალის წყალს ზევით სევისთაობა), ალის სეობა (როსტომ მეფემ უბოძა იორამ სააკაძეს ალის სეობაში სააკაძისეული სოფ. ნაბასტევი, რომელიც გიორგი სააკაძის საქართველოდან “გადავარდნის” შემდგომ სახასო იყო [15].

ზემთ წარმოდგენილი ალი სოფელია ამჟამად საშურის რაიონში. იგი თავად აბაშიძეთა სამკვიდრო მამული ყოფილა.

ალისუბანიც, როგორც დასახლებული პუნქტი, ცნობილია ისტორიულ საბუთებში. მაგ., 1773 წ. 9 იანვარს, სოლომონ მეფის მიერ ქუთაისის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნში გვითხვლობთ:

. . . სონს ტაძრის მამული და კაცნი ზედ დადგინებულნი; ჯვარისას, ტაძრის აგარაკითურთ, გლეხნიცა მოსახლენი; ალისუბანს<sup>17</sup> საყდრის მამული თანამოსახლე გლეხითურთ; მუჯირეთს ტაძრის მამული მოსახლე გლეხითურთ [85].

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ალისუბანი საყდრის მამული ყოფილა (ისე როგორც მუჯირეთი . . .), ეკლესიის კუთვნილება. თუ პირდაპირი მნიშვნელობით ვაგვიგებთ, ალისუბანს მხოლოდ ერთი გლეხი სახლობდა, რომელიც ეკლესიას ემსახურებოდა საეკლესიო მამულში. ადგილი შესაძლებელია, ეს გლეხი გვარად ზარნაძე ყოფილიყო, რადგან ალისუბანი ძირითადად ზარნაძეებით დასახლებულია ახლაც (ზედა ალისუბანი resp. ზარნაძეები), მით უფრო ისტორიულადაც.

ალისუბანი, როგორც სახელწოდება, შესაძლოა შეერქმიათ მამაკაცის საკუთარი სახელის ალის გამო (შდრ. აბაზთუბანი, გუდათუბანი . . .) ე.ი. ალისუბანი ამ სოფელს იმის გამო უნდა შეერქმეოდა, რომ ეს ადგილი თუ უბანი ისტორიულად არსებულ პირს ვინმე ალის ან ალექსანდრეს ეკუთვნოდა. (შდრ. სიმონეთი, ძველი სვიმონეთი\_სვიმონის კუთვნილი ან სვიმონისა და მისი საგვარეულოს კუთვნილი მიწები).

ალისუბნის ეტიმოლოგიის დადგენისას, ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს ლექსემა ალის (მაგ., ცეცხლის ალი, ალქაჯი და ა.შ.). ღირსსაცნობია თბილისში მცხოვრები ექიმის, ალისუბნელ დევი ზარნაძისეული სოფელ ალისუბნის დასახიათება. მისი თქმით, „იმ ადგილას, სადაც აღმართია ამჟამინდელ ალისუბანს და ზარნაძეებს შორის (ზედა ალისუბანი), ისეთი წითელი, ალიზისნაირი წებოსებრი ტალახი იცის, რომ ძნელად თუ მოიცვალე ფეხიდან.“ ამრიგად, იგვეთება ალისუბნის მეორენაირი ეტიმოლოგია: 1. ალისუბანი\_ვინმე ალის (საკუთარი სახელი) ეული მიწა. 2. ალისუბანი\_ალიზუბანი←ალიზის უბანი. ლინგვისტური პროცედურა მეორე შემთხვევაშიც სავსებით დამაჯერებელია და შეესაბამება ქართული ენის ფონეტიკურ კანონებს.

ამრიგად, ალისუბან ტობონიმის ახსნა ორივე გასაზიარებელი და სარწმუნოა, თუმცა რეალურად არსებული დასადგენი. ცნადა, ყოველივე ამას დამატებითი მასალა და სპეციალური კვლევა გამოავლენს.

1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად, ალისუბანი ზოგადი სახელი და ცენტრი იყო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ზედა ალისუბანი (მანძილი რაიონის ცენტრამდე 8 კმ), ალისუბნის საბჭოში გაერთიანებული იყო ოთხი სოფელი: 1. ზარნაძეები, 2. თნილთაწყარო, მაჩიტაური, 4. ქვედა ალისუბანი [71]. ცნადა, ეს ფაქტი მე-20 საუკუნის კუთვნილებაა, 1921 წლამდე, გასაბჭოებამდე, ეს სოფლები დამოუკიდებელი სოფლის სტატუსით იყვნენ აღჭურვილნი.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ალისუბნის სასოფლო საბჭოში (1987წ.) გაერთიანებული იყო ოთხი სოფელი. მკითხველისათვის, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება ალისუბნის მეზობელ სოფელთა ჰიდრონიმთა და ტობონიმთა (სკანდე, სკანდის შარა, მუნურა, თნილთა წყარო, თნილთა წყაროს დელე, სკანდის დელე) დამოწმებაც. 1664 წლის შეწირულობის წიგნის მიხედვით, რომელშიც ნათქვამია, რომ მაჭიტოური (ახლანდელი მაჩიტოური გაუყვია კაცია კუჭაძეს, ჩანს, იგი ამ ადგილების ბატონი ყოფილა) და მისი მიმდებარე ადგილები გელათის ღვთისმშობლის ტაძრისათვის შეუწირავთ. ამ

<sup>17</sup> ამ სიტყვის პირველი ასოები დაწერილია მთავრულად, შენიშნავს ტექსტის გამომცემელი შ. ბურჯანაძე.

საბუთში, ღირსსაცნობია, რომ არსად არაა დასახელებული სოფელი **ზარნაძეები**, ან სოფელი **აღისუბანი**. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი ისედაც საეკლესიო მამული უნდა ყოფილიყო იმნანად.

დავითოვებთ ამ დოკუმენტიდან ამონარიდს გენათელ-ნიკორწმინდელის გედეონ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში (1664წ.) აქ ნათქვამია, რომ “კაცია კუჭაიძისაგან მაჭიტოური ვიციდეთ [არგვეთ]. ძველი ცხე იყო და აღშენება დაუწყეთ და გლეხებს დასახლება და საზღვარი ამისა მუსურის მთამდის სკანდურს დაღმა, სკანდის შარას შემოდმა, აქათ თნილთა წყაროს ღელემდის და იქით სკანდის ღელემდის. ამ შგაზედ რაც მიწა ადგილია, ყველა უკლებლად და ჰელშეუგალად ვიციდე, არას კაცს ამაშიდ ჰელი აღარ აქვს რა და ბაგრატ მეფის ბრძანებით და ნებადართულობით **სახელისა და გაენათისა (sic) დგომისშობელს შევსწირე**” . . [103, 69].

კ. ხარაძის წიგნში [115,123] ჩხარის (თერჯოლის) რაიონში მკვლევართა „მოგზაურობა“ ერთგან დღიურის სახით ასეა აღწერილი: „13 აგვისტო. ადრე დილით მეურმე ერმილე ბოჭორიშვილი მოგვადგა. მან უნდა ბარგი წაგვიღოს მუჯირეთამდის. გზას გაგუდექით და ჩხარის გრძელი „ბაზარი“ ჩქარა მივატოვეთ . . . გზა ზარნაძეებზე და თნილთაწყაროზე გაივლის. სოფელი ზარნაძეები ჯვარის მამისა იყო. ჯვარის მამა იქვე ცხოვრობდა. იქ იყო ჯვარის მამის სასახლე . . . ამ გზაზე, როგორც ჩანს, არაფერს ვერ ვხედავ: ჯერ ქუთაის-შორაპნის შარამ და შემდეგ რკინის გზამ საბოლოო მივიწყებამ მისცეს ქართლ-იმერეთის შემაერთი ეს მეტად მოკლე, მონერსებული და მეტად დასახლებულ რაიონებზე გამვლელი უძველესი გზა. დღეს ის უბრალო სასოფლო გზის სამსახურსა სწევს მხოლოდ. შედარებით ვიწრო-3 მეტრი, ოღრო-ჩოღრო, ვეება ქვებით ახერგილი მიძვრება ის სოფლიდან სოფელში. უბატონოდ მიტოვებული. მხოლოდ აქა-იქ მახლობელი სიმაღლეებიდან ცხეები და საყარაულო-საბოლოები, გარშემო სოფლებში დიდი ფეოდალების ნასადგომეგნი (მეფე, კათალიკოზი, გელათელი, ჯვარის მამა და სხვა თავადები), დიდი ხელთნებით შესრულებული ეკლესიები, ნახიდურები და ნაქალაქეგნი, - ყველა ესენი მოწმობენ, თუ რა მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო ეს „დიდი შარა“, რომელსაც ძველიდან მხოლოდ ეს სახელია შერჩენია. „გზაი-ნაგზურზე, წყალი-ნაწყლურზე“ . . . წყლისა რა მოგასხენოთ და გზის შესახებ კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ ქართული დაკვირვება – ანდაზა ჯერ არ გამართლებულა. ჩვენში რკინის გზა განზრახ ნაღის ინტერესების უგულვებელყოფით გაყვანილს უფრო ჰგავს, ვიდრე ბირუკუ და ეს ასეცაა. ჩვენში კი იყო რკინის გზა, მაგრამ ჩვენი წომ არ იყო; ჩვენთვის ის არაფერს გაუყვანია . . . ამიტომაცაა, რომ ის შორს ტოვებს ყველაზე დასახლებულ, მოსავლით განთქმულ და დიდ ეკონომიურ შესაძლებლობათა რაიონებს და ტლაზო-ჭაობებზე ჯიქურ სერაფს აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას . . .

ახალგაზრდა მასწავლებლები ჩიტძე და ბელელაძე თნილთაწყაროში დაგვხვდნენ. ისინი წუხელ ჩხარში შეგვბირდნენ ამას . . .”

ცნადა აქ ნახსენებ ზარნაძეებში დღევანდელი აღისუბანი იხსენიება.

## ბ) გურჯაანი

ზარნაძეები ქ. გურჯაანშიც ცხოვრობენ. სწორედ აქედანაა ძმები ეკონომისტები ალბერტ და ბონდო ზარნაძეები. პირველი მათგანი 1965 წლიდან ქ. მოსკოვში მოღვაწეობს, ცნობილი რეფორმატორის, ეკონომისტის აბაღინის ჯგუფის წევრია, სახელმონგეჭილი მეცნიერ-ეკონომისტი. იგივე შეიძლება ითქვას მის ძმაზე – ბონდო ზარნაძეზეც, რომელიც ამჟამად საქართველოში მრეწველთა კავშირის თავჯდომარე, აკად. ვ. ჩანტლაძის სახელობის თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტის რექტორია, რომელიც მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებს ბიზნესმენობასაც (ინ. ამის შესახებ გრცლად "პერსონალიებში").

ზარნაძეთა წინაპარი გურჯაანში მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დასახლებულა. გურჯაანი, როგორც ქალაქი, გეოგრაფიული ბუნქტი და სახელი ახალია. ამ ტოპონიმში ბოლოკიდური –ან წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსია (შდრ, ოთარაანი, ოთარაანთ ქერივი), რომელიც იმავედროულად გეოგრაფიულ სახელებსაც აწარმოებს (შდრ, კაკლიანი, ნიგვზიანი, ვაზიანი, ოზაანი = ოზაშვილების კუთვნილი ადგილი, სადაც ოზაშვილები ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ. . . ). გურჯაანში სახელის ფუძეა გურჯა, რომელიც წარმოშობით მეტსახელისაგან მომდინარეობს. გურჯა-ში ბოლოკიდური –ა კინობა-ალერსობის სუფიქსია (შდრ, გიორგი = გოგი, გოგია, გოგა, აგთანდილი-აგთანდილა II თანდილა, სვანი-სვანა, აქედან: გვარსახელი სვანაძე), ხოლო გურჯ ქართველის აღმნიშვნელი თურქული სიტყვა გურჯ-



ია. ამრიგად, გურჯაანი ძველად ნიშნავდა ადგილს, სადაც გურჯას შთამომავლები, გურჯას ძენი, გურჯას შვილები ცხოვრობდნენ. გურჯ მართლაც დადასტურებულია ქართველურ ანთროპონიმიაში: გურჯ, გურჯა, გურჯუა [76,108]. აქედანაა ნაწარმოები ქართული გვარსახელები: გურჯიშვილი (საგარაუდო საკუთარი სახელი გურჯი, გვირჯიშვილი: ამავე ძირისაა: გურჯიყე, გურჯია, შდრ. გურჯიყევი [46,51]. ეს გვარი მოხსენიებულია ისტორიულ საბუთებში: კერძოდ, 1819 წელს როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, სოფ. წინწყართში მცხოვრები გურჯიშვილები ბერძნულად იქნა აღიარებული და გვარი გურჯიყეად მონათლეს: გვარი ქართველიშვილი გახდა გურჯიშვილი, შემდგომ გურჯიყევი. თურქეთში გასახლებული ბერძენიშვილებიც გურჯიოვებად მოუნათლავთ [120,314-315]), გურჯიაშვილი: "მას ფიქარისძე ედავებოდა ყანაზე, მიდამოზე, საბძელზე და ბოსტანზე. დავა გააჩიოს მღვიმელმა და ალელმა ბერებმა. ფიქარისძემ მას მისცა უდაობის პირობა (XVI ს. A -499. 129 r-131 გ); გურჯიაშვილი ლომი მოწმე ივანეს მიერ ქვაბულ მაჩაბლისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა ([1621-1650 წწ] Hd-1659)[121,752].

გურჯ და მისგან ნაწარმოები გვარსახელები იშვიათი არაა დასავლეთ საქართველოს (კერძოდ, იმერეთის) ტოპონიმიაში: გურჯიასოული სახნავეს ჰქვია სოფ. ღორეშაში (გვ.59), გურჯიკისოული გენანი, საგენანსე ადგილი სოფ. ზედა საქარაში (გვ.59), გურჯიყეების სერი უბანი სოფ. ბილაში (გვ.59) [122].

შეიძლება დაგვასკვნათ: გურჯაანის სახელწოდება შერქმეულია არა არაქართველთა (თურქი, სპარსი) მიერ ამ ადგილისათვის, არამედ იგი წარმოქმნილია გურჯიშვილ ან გურჯიაშვილთა ადგილ-საცხოვრისისაგან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გურჯაანი ძველად გურჯაანთ ნაქონი, გურჯააშვილთა კუთვნილი მიწა (სახნავ-სათესი, ადგილ-საცხოვრისი) უნდა ყოფილიყო.

## გ) ეწერი

**ეწერი** სოფელია თერჯოლის რაიონში, ალისუბნის გვერდით, სადაც **ზარნაძეები** ცხოვრობენ. გარდა ამისა, ამავე რაიონშია სოფელი **ჩხარ-ეწერი** (შედიოდა სიქთარგის სასოფლო საბჭოში) [71,47]. **ეწერი** ასევე სოფლის სახელწოდებაა: სენაკის (ძველი ცნაკაიას), ჭიათურის (კაცნის სასოფლო საბჭო), გალის (ნაბაკევის სასოფლო საბჭო), აბაშის (ინტოფოს სასოფლო საბჭო), გეგეჩკორის (ანლ. მარტვილის-ტალერის სასოფლო საბჭო, წალენჯიხის (ჯვარის საქალაქო საბჭო), ღანჩხუთის (ჯურუყეეთის სასოფლო საბჭო), აგრეთვე ეწერფერდი, წალენჯიხის (ჭალის სასოფლო საბჭო), **ეწერძველი-სამტრედია**. სამტრედიის (მელაურის სასოფლო საბჭო) [77,183]. ეწერი უხვადაა წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს მიერ და მაკროტოპონომიაში (მაგ., ეწერა, ეწერი, ეწერ ბეგი, ეწერ გინძე, ეწერი მინდორი, ეწერ ფართო, ეწერ ფონი, ეწერ ნო თნილი, ეწერ ვანა, ეწერ ტყა, ეწერიში დიხორე) [104, 135], ქვედა ეწერი (სამტრ), ზედა ეწერი (სამტრ), პატარა ეწერი (სამტრ), მეთრე ეწერი (აბაშა), დაბალი ეწერი, მაღალი ეწერი (გურიასი), პირველი ეწერი (აბაშა), ჯუნეწერი (ღანჩხ), რეგო-ეწერი (გალის რ.) [105,171].

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატიომულში **ეწერ**'ის მნიშვნელობა ნაირგვარია: 1. საერთო სახელი ნიადავის სხვადასხვა ტიპისა, 2. მწირი, უნაყოფო მიწა. გამოთვითელ-გამორეცხილი, მცირე მოსავლიანი 3. კუთხ. (იმერ. გურ.), დაბალი ადგილი დაფარული ბუჩქით, ისლით და მისთ.

ძველად **ეწერი** "მცირე ბუჩქს, მორჩილ ტყეს, მცირე ჭალას (დ. ჩუბინაშვილი), მაღალი მთის ბილიკს (ი. ჭყონია) ნიშნავდა. სამწუნაროდ, **ეწერი**, როგორც ლექსემა - მკვიდრი მეგრული სიტყვა, ასახული არაა გ. ელიაგას ლექსიკონში [64].

**ეწერი** საკუთრივ მეგრულის კუთვნილებაა. იგი, როგორც სიტყვა, უცნობა აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონომიაში და ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში. თვით ჩვენ მიერ ზემოთმოყვანილი სოფლის სახელები, **ეწერი** და **ჩხარეწერი** იმაზე მიუთითებენ, რომ ისტორიულად ეს კუთხე ძველი კოლხეთია და ამრიგად ტოპონიმებიც, უმრავლეს შემთხვევაში, ნაზანარი, ასეა ამჯერადაც.

როგორც ჩანს, **ზარნაძეთა** ერთი ნაწილი მათი გვარის გამრავლების გამო სოფელ ალისუბნიდან გასულან და ეწერში-ეკლიან-ბარდიან-ყამირ ადგილას დასახლებულა. სწორედ ამიტომ შეპორჩა სოფელს ეს სახელწოდება.

ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში დაგადასტურეთ ეწერ ტობონიმი, თუმცა ამ შემთხვევაში ეწერი სამეგრელოშია და არა იმერეთში: “ლეკან დადიანმა და მისმა ბიძამ გიორგი ლიპარტიანმა ლეკანის მამის მანუჩარის სულის მოსახსენებლად ეწერს ააგეს საყდარი, რომელიც ყმა-მამულითურთ [მ]თაწმინდის ხარების ღვთისმშობელს შესწირეს (1642. Qd-6740) [15,83].

### დ) ზარათი

**ზარათი** - გამორიცხული არაა **ზარნაძე** გვარსახელის მიმდინარეობაა **ზარათ** ტობონიმისაგან. ყოველ შემთხვევაში ორივეგან **ზად** ფუძე იდენტურია. ამ მხრივ სპეციალურ კვლევას მოითხოვს **ზარათ-ის** დაარსება, მისი ისტორია და ამ სოფელში მაცხოვრებელთა გვარ-სახელების დადგენა როგორც ისტორიულად, ისე დღევანდელიობის თვალსაზრისით.

**ზარათი**, როგორც ტობონიმი, მოხსენებულია 1764 წლის 15 აგვისტოს შექმნილ წყალობის წიგნში, რომელშიც სოლომონ მეფე ამირან და პაატულა მესხებს მიმართავს: “. . . ამოგიკვეთეთ საური, რომლისაც ყმის მქონებელი იყო და ან **ზარათს** და ან რიონს გყავდესთ” [85].

### ე) ზესტაფონი | ზესთაფონი

როგორც ქალაქი ახალია (ერთი საუკუნის) და ტობონიმი - უფრო ძველი. იგი წარმომდგარია **ზესთა ფონისაგან**: ზესტაფონი←ზესთაფონი; რაც უდრის ზედა ფონს. შდრ. შორაფონი→შორაპონი→შორაპანი. “ზესთაფონ” ფორმა დადასტურებულია წერილობითაც: “მუნიტ ჩავლეს ზესთა-ფონსა და მივიდნენ ცნრაწყაროს“(ბ. ბატონიშვი. 36). ამრიგად, სთ→სტ|ზტ. ადგილობრივთა მეტყველებაში დღეს “ზესტაფონ” ასიმილირებული ფორმაც ისმის. ამ ტობონიმს ყურადღება პირველად პროფ. ი. ქავთარაძემ მიაქცია, რომელშიც მკვლევარმა გამოყო სთ→სტ ფონეტიკური პროცესი . . . [86,350]. სთ→სტ პროცესი სპეციალურ ლიტერატურაში დისიმილაციური გამკვეთრების სახელითაა ცნობილი. ეს მოვლენა დამახასიათებელია საერთოდ ქართული წარმოთქმისათვის. მაგ., ამისთვინ→ამისტვინ. ცვლილების მიზეზი დისიმილაციური გამკვეთრებაა [91,74].

ჩვენი აზრით, ზესთაფონ→ზესტაფონ→ზესტაფონ და აგრეთვე ხალხურ მეტყველებაში არსებული ზესაფონ (ტ ბგერის დაკარგვა) ფორმათა არქეტიპი ისტორიულად უნდა ყოფილიყო **ზეშთაფონ**: შთ→სთ→სტ. შდრ. უზეშთაქსი. ამრიგად, ამ ლექსემაში **ზე, შთა**, წინდებულება (შდრ. ზესადგარი|ძესადგარი), ეს უკანასკნელი **შთა შე+და** რთული წინდებულებისგანაა მიღებული. ღირსსაცნობია ისიც, რომ შედა→შდ→შთა არა მარტო სახელებში, არამედ ზმნებშიც დასტურდება ზმნისწინის (resp. პრეკერბის) სახით: მაგ., შთაბეჭდვა→ჩაბეჭდვა, შთაბეჭდილება, შთაგონება|ჩაგონება. ამრიგად, ზესთაფონ, ისე როგორც **ზესტაფონ**, გარდამავალი საფენურია \*ზეშთაფონ არქეტიპისა.

### ვ) თერჯოლა

თერჯოლა ამჟამად ქალაქია შუამერეთში. მას ადრე ჩხარი (ჩხარის რაიონი) ერქვა. რას ნიშნავს ტობონიმი? როგორც პროფ. ი. ქავთარაძე წერს, თერჯოლა წარმომდგარია **თეთრ+ჟოლა**-სგან. ე.ი. თერჯოლა კომპოზიტია, თხზული სახელი. იგი ორი სიტყვისაგან შედგება თეთრ (ზედსართავი სახელი)+ჟოლა (არსებითი სახელი) ძველად, კერძოდ, აღორძინების ხანის ქართულში, ჟღერდა არქეტიპი გვსვდება: ისრად ჟღერდა მეპყრა (ბესიკი, 72,16). ამ ფორმას იცნობს ს-ს ორბელიანიც: ჟღერდა თუთა, შდრ. “თუთა სსუთა ენაა, ქართულად ჟოლი ჰქვია”, ჩანს, ჟღერდაში —ა საწარმოებელი სუფიქსია. შდრ. ბოთლი-ბოთლა, მთხუნველი→თხუნელა ახალ ქართულ ენაში ამ სიტყვის თავში ბ ბავისმიერი ბგერა განვითარებულია: ბჟოლა||ბჟოლი, **თერჯოლა** ტობონიმში **რჟ** კომპლექსი ქართული ენის ბუნებას არ შეეფერება, უჩვეულო ბგერათკომპლექსია, ამიტომ იგი შეიცვალა ერთდროულად აფრიკატიზაციით (ჟ→ჯ) და თ-ს ჩაგარდნით → თერჯოლა, თუმცა ტექსტებში დადასტურებულია რჟ კომპლექსის შუა საფენური-რჟ-ს და თ-ს დაკარგვა ცალ-ცალკე და ერთადაც:

თეთრჟოლა→თეთჟოლა||თერჟოლა→თერჯოლა||თეჯოლა: პირველადაც თეთჟოლას სასწავლებელია და თეთჟოლის მუხატონე . . . ყოფილიყავი (Ad-207, 1787 წ); თეჯოლას, მეფე დავითის ნაბობებ ადგილზე (საკლ. საბ. II, 156, 14. 1807 წ); თეჯოლას . . . ვესახლეთ (სცსა, 1448 (226), № 893) [86]. თეჯოლა, ეს უკანასკნელი ფორმა, ყველაზე გვიანდელია. იგი ამჟამად ჩვეულებრივ დამანასიათებელია იმერეთის ამ რეგიონში მცხოვრებთა მეტყველებისათვის.

როგორც ჩანს, ამ სიტყვაში მჟღერი სპირანტი შეცვლილია სათანადო აფრიკატით: თეთრჟოლა→თერჯოლა. შდრ. სოფლის თერჯოლას გამო (დოკ. და არქ. II. 125, 1811 წ.), რომლისგანაც წარმოდგა დღევანდელი თერჯოლა||თეჯოლა (Sd-2330. 1804 წ)[86,218].

თერჯოლა ტოპონიმის სწავგვარი ახსნა: ტერ+ჟოლ, რაც ფრანგულად ასე ითარგმნება (“ლამაზი ადგილი, თითქოს აქ, ამ ადგილებში ერთმა ფრანგმა გაიარა, ძლიერ მოეწონა და წამოიძახა: ტერ-ჟოლა” . . .) რაც ხალხურ-ფულგარულია, არამეცნიერული და სინამდვილეს არ შეეფერება.

აღსანიშნავია, რომ თერჯოლისეული ბჟღელ ძირი შემოუნახავს ქანურის კილოკავებს: ჯოლი←ბჟოლი||მ-ჟოლი [87,126]. ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში ბჟღელას სინონიმად თუთა გვაქვს, რომელიც კანურ დიალექტში გვერდიგვერდ არსებობის გამო სემანტიკურად სახეცვლილიან. მაგ., ლაგოდენის რაიონში ჩასახლებულ იმერელთა აზრით, მათ მეტყველებაში თუთა მსწვილ ნაყოფიანი ბჟოლაა, სოლო ბჟღელა-წვრილნაყოფიანი. მსგავსი სემანტიკური სახეცვლილებანი სწვა შემთხვევაშიც გვაქვს. შდრ. თოკი “მსწვილი ბაწარი”-აღმოსავლეთ საქართველოში, წვრილი ბაწარი ან მსწვილი ძაფი-დასავლეთ საქართველოში. ბაწარი კი, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებში წვრილ თოკს ჰქვია.

თერჯოლას ადრე ჩხარი ერქვა. თერჯოლის რაიონული ცენტრისგან 4 კმ-ის დაშორებით გაჩნდა ახალი დასახლება, რომლის ოფიციალური სახელწოდებაც ახალი თერჯოლა. ეს ტოპონიმი მართლაც ახალია.

1804 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში (Sd-2330), ზარნაძეები მოსხენიებულია ზარნაძეებ ფორმით: ზარნაძეები←ზარნაძეები. როგორც ჩანს, აქ ერთი ე დაკარგულა-გაუჩინარებულა [86,147], მსგავსი ფონეტიკური პროცესი (ორი ეს ნაცვლად ერთის დარჩენა) ჩვეულებრივ დამანასიათებელია ისტორიულად ქართული ენის დიალექტებისათვის. მაგ., მზებრ←მზეებრ, მოლარები←მოლარეები, მეთოფები←მეთოფეები, ესები←ესეები, ნადირაძეები←ნადირაძეები და ა.შ. ეს პროცესი ახლაც დამანასიათებელია იმერული კილოსათვის. რაც შეეხება იმერულის წლეუბ, ხდეუბ, მყენფე ფორმებს, აქ პირველ პროცეს-ანალოგიასთან უნდა გვექონდეს საქმე [86,149], [88,236] და მეთრეული მოვლენაა.

### ზ) კლდეეთი

ზარნაძეები იმერეთშივე, ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთშიც ცხოვრობენ. ისინი, როგორც ირკვევა, სოფელ აღისუბნიდან წამოსულან და საცხოვრებლად ამ სოფელში დამკვიდრებულან.

ტოპონიმი კლდეეთის ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ახსნა ახლაც გამჭვირვალეა, ადვილად იხსნება. კლდე-ეთ-ი, სადანაც კლდე არსებითი სახელისაგან ეთ კრებითობა-სიმრავლის გამომნატველი სუფიქსის დართვით მივიღეთ საკუთარი გეოგრაფიული სახელი (ტოპონიმი) კლდეეთი.

ამრიგად, კლდეეთი კლდიან ან კლდეებიან ადგილს (II ადგილებს) ნიშნავს.

### თ) ლაგოდენი

ზარნაძეები ლაგოდენშიც ცხოვრობენ.

ამ სიტყვის წარმომავლობა სპეციალურ ლიტერატურაში შესწავლილი არაა. ერთი შესედეით იგი წარმომავლობით ქართულ-ქართველური სიტყვაა დაბოლოებითურთ. მასში შესაძლოა ნ სუფიქსი იყოს. ლაგოდენ-ი შდრ. კოლნი=კოლაელები, ტაონი=ტაოელები.

პროფესორ, აწ განსვენებული ენათმეცნიერის, გივი ნებიერიძის მოსაზრებით (რომელიც მან ჩემთან, პირადად, ზეპირად განაცხადა), ლაგოდენი რუსული სიტყვა უნდა იყოს. ძველად, მე-19 საუკუნეში მანდ მეფის რუსეთის სამხედროები ჰყავდა დაბანაკებული და რუსულად kfuthysq jnls[ ერქვათ. „ლაგერნი ოტდისი“→ქართული წარმოთქმით ლაგოდენი („ერნი” მარცვლებისა და „ტ” მკვეთრი თანხმოვნის ჩავარდნით, ასევე იIIე მონაცვლეობით.

ფეოქობოთ, ამ ტოპონიმის ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური კვლევა დამატებით კვლევისა და მასალის მოძიებას მოითხოვს. მისი შინაარსის საბოლოო დადგენა კვლევის ამ ეტაპზე ჭირს.

## ა) საზანო

საზანო ამჟამად სოფელია შუაიპერეთში. ადმინისტრაციულად ეს სოფელი ორადაა გაყოფილი: ა) ქვედა საზანო, ბ) ზედა საზანო [71]. ზედა საზანო თურჯოლის რაიონს ექვემდებარება, ქვედა საზანო კი ზესტაფონისას. ცნადა, ასეთი დაყოფა გვიანდელია. ძველად საზანო ოდენ ერთი სოფელი იყო. თვით ტოპონიმი სტრუქტურულად იმავე რიგისაა, როგორც საქართველო, (ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ), სამიქაო (ადგილი, სადაც მიქაელები სახლობდნენ), საგარეჯო (ადგილი, სადაც გარეჯელები მკვიდრობდნენ თავისი მამულებით). ამრიგად, საზანო დანიშნულების აფიქსებით ნაწარმოები სახელია: სა-ზან-ო. ძველად ერთ დროს საზანო, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ზანებისა და ქართების “სახელმწიფოთა” საზღვარს. ე.ი. საზანო იყო ის ადგილი, საიდანაც საზანეთი, მეგრულ-ქანთა ქვეყანა იწყებოდა.

საზანო, როგორც სოფელი, არაერთგზის იხსენიება ისტორიულ საბუთებში. მაგ., 1619 წ. გიორგი მეფის გოლგოთის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში ნათქვამია:

“ჩუენ, მეფეთ-მეფემ ბატონმან გიორგი და თანამეცხედრემ ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თამარ და ძემან ჩუენმან პირმშომ ალექსანდრე, როსტომ და მამიამ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩუენად მოსარჩენლად და სადღეგრძელოდ და სულისა ჩუენისა სახსრად და სათხად შემოგწირეთ საზანოს სამი კომლი გლეხი მათის ყოველისფერით სამართლიანით ბეგრით ხელშეუალად” [85,22].

ერთ-ერთი ისტორიული საბუთის მიხედვით, საზანოში იყო სამაჭაგარიანო სასახლე, რომელიც პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს (1684 წ) [15,182].

ამრიგად, ამ შემთხვევაშიც საზანო საეკლესიო კუთვნილებად ჩანს.

საზანო და, საერთოდ, დღევანდელი თურჯოლის რაიონი რომ ძველად მეგრულენოვანი უნდა ყოფილიყო, კარგად ჩანს ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში, სადაც საზანოს გვერდით ზანური მიკროტოპონიმიც გვაქვს. (ტყლაპი), რომელიც პაატა აბაშიძეს შეუწირავს კაცხის ეკლესიისათვის. საზანოში სამაჭაგარიანო სასახლე, რომლის ერთი საზღვარი იყო “ტყლაპი რუსა ბუჭის შესაყარს აქეთ კლდის წყარომდის ნახევარი ტყე და მინდორი, სანადირო და საყანე სამაჭაგარიანო არის და ნატისთვის შეგვიწირავს”, ნახევარი საამირეჯობო არის.. “ამ ტყლაპშიდ არის კიდევ ჩვენი საკუთარი ერთი საყანე მეგრელისშვილის გამოღმა, ნამარსა და ნასაკარეუს დაღმა წყლამდის” (1684). (საისტ. კრებ. III, გვ. 52-57).

ამ ამონარიდში კარგად ჩანს, რომ იპერეთში დღეს არსებული ნასაკირეუს-ნასაკირე-ის ნაცვლად ადრე ნასაკირეუ ყოფილა, რომელიც წარმოებით მეგრულია, ნა-უ ცირკუმფიქსია, ფუძეა საკირეუ აღნაგობით ქართული ლექსემა, თუმცა ჩვენ არ ვამოფრინებავთ ამ ფორმის საკუთრივ ქართულობას: ნასაკირეუ-ში უ საფიქრებელია უმარცვლო უ (უ) იყოს, რომელიც ასერიგად დამახასიათებელია იპერული კილისათვის. შდრ. სალიტ. ქართ. – სიმამური – იპერ. სიმავრი (სიმა ური), (გვწვდება ცნობილი მწერლის დ.კლდიაშვილის ნაწერებში). თო ლი-თოგლი, თუ ალი-თვალი, ბეური-ბეგრი და მის., ამრიგად, ნასაკირეუ იგივე ნა-ეგ წინავითარების გამომნატველი ფორმაა. საკირე – ნა-საკირე-ევი|ნასაკირე-უ-ში-ი.

## კ) სვირი

ზარნაძეებს სოფელ სვირშიც უცხოვრიათ. როგორია ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია? სანამ უშუალოდ მის მნიშვნელობას დავადგენდეთ, მანამ ორიოდე სიტყვით მის ისტორიას შევხვით.

როგორც მიუთითებენ, XIX ს. დამდეგს იპერეთის სოფლები (წირქვალი, ზოდი, ღვანკითი, დარკვეთი, მღვიმევი, რუფთოთი, რგანი. . .) მათ შორის ჩხარი და სვირი კონსტანტინე II ბატონიშვილის საუფლისწილო მამულში შედიოდა [95,62]. სვირი, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, “საკლესიო იყო უმთავრესად და სამეფო” [96,3]. გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს სვირი მართლაც სამეფო სოფელია [97,165], მაგრამ შემდგომში ის საუფლისწულო გამხდარა. 1812-1815 წლებიდან კი სვირი, ისე

როგორც კონსტანტინე ბატონიშვილის სსგა სოფლები, სასაზინოდ ჩაუროცხავთ [95,63]. 1808 წელს კონსტანტინე ბატონიშვილის სვირის მოურავად დაუნიშნავს ბეჟან წერეთელი [95,65].

ამჟამად სვირში რამდენიმე ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. 900-იან წლებში სის ეკლესიაც მდგარა (ანლან., სოფელი მეორე სვირი, ყოფილი ღვინის სასკლობის კოლმეურნეობის ტერიტორია), რომელიც დაუნგრევიათ-დაუშლიათ. ამ ეკლესიის მდგელი იყო ბრეგვაძე, რომელმაც წერა-კითხვა, როგორც გადმოგვცემენ, ბავშვობაში ცნობილ ქართველ კლასიკოს მწერალს გრ. რობაქიძეს შეასწავლა. სვირის ეკლესიას, მის მრევლს მშვენიერი სიტყვა მოუძღვნა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში. გაბრიელის თქმით, “ამ თქვენს დიდ სოფელში სუფევს მშვიდობა და მყუდროება, არ მესმის, რომ თქვენ შორის იყოს შფოთი, შური და ცილობა”, ასე ანასიათებს თავის სიტყვაში გაბრიელ ეპისკოპოსი სვირის ეკლესიის მრევლს [113,494-486].

სვირი არაერთგზის ნახსენებია ისტორიულ საბუთებში. მაგ., . . . “გებოძეთ ქუტირი და სვირი სამლოურათი” (1740 წ. წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა ბაანა ჩხეიძეს) [85,64].

სვირი და სვირელები ნახსენები აქვს თავის რომანში (კოლხეთის ცისკარი) კ. ლორთქიფანიძეს. დავიმოწმებთ ნაწყვეტს:

“დამტკვერილ ნეკების ჩრდილში ღამაზად მოხატული, ეფენებიანი ეტლები დგანან. იმ ეტლებში სიცნითა და ბაზრის ნმაურით შეწუნებული ქალები სხედან და ზანტად ემუხაფებებიან ერთმანეთს. მათ უპეე მოუთავებიათ გაჭრობა და ანლა მოუთმენლად იცქირებიან სვირელი გლეხების ურმებისაკენ, სადაც მათი კაცები ცოლიკოურით “ასველებენ” პარასკეობაზე შექენილ საქონელს (კოლხ. ცისკ. 64, 20-27).

სგდ ტობონიმის ეტიმოლოგიას დღემდე არც ერთი მკვლევარი არ შეხება. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სვირი, როგორც ტობონიმი, სოფლის სახელწოდება საქართველოს სსგა რეგიონშიც გვხვდება. კერძოდ, მესხეთში, ანაღცის რაიონში: არსებობს სოფელი სვირი (ასევე ზოგრეთიც). სვირეანს ურეან –ეგან სუფიქსიანი ფორმა ანლაც სოფლის სახელია ტათ-კლარჯეთში. შუა იმერეთში, იმავე ზესტაფონის რაიონში, არსებობს სოფელი სვირამაღალი. დასახლება ანალი სვირი, რომელსაც ადგილობრივნი სადგურ სვირს უწოდებენ იქ არსებული რკინიგზის სადგურის გამო. შუა, ქვემო და ზემო იმერეთში უანლოეს წარსულში განთქმული იყო სვირის ბაზრობა, რომელიც სამშაბათობით იმართებოდა. ამჟამად სოფელი სვირი შუაზეა გაყოფილი. ეს ადმინისტრაციული დაყოფა ე.წ. საბჭოურ პერიოდში, 30-იან წლებში, მოხდა. სამწუნაროდ, დაყოფა ხელოვნურად resp. მექანიკურად მოუხდენიათ: I სვირი (ის ტერიტორიაა, რომელიც ზესტაფონიდან მომავლისათვის პირველია), II სვირი resp. მეორე სვირი, რომელიც პირველი სვირის შემდგომია: ესაზღვრება თხას (ბაღდადის, ძველი მაიაკოვსკის) რაიონს და სადგურ სვირს.

სვირი ზეპირმეტყველებაში ანუ ხალხური ეტიმოლოგიით მაგარს, ციხეს, აუღებელს ნიშნავს. მე-20 ს. ქართული ლიტერატურის კლასიკოსი მწერალი, სოფელ სვირში, დედუღეთში დაბადებული “ჩხარელი თრატორი” გრიგოლ რობაქიძეც ნინო სალიასადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ “შე სოფელ სვირში ვარ დაბადებული. სვირი კი ძველქართულად “მცველს” ნიშნავს”. თავად მწერალს გრაალის მცველად მიაჩნდა თავი, წერს ა. ბაქრაძე [114,15]. როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძე სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონას” ეყრდნობა: “სვირი მცველი ZABCDE , სსგა განმარტება არ ანლაგს [53,86]. ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში ეს სიტყვა არ ჩანს. ძველი ქართული ენის ლექსიკონებსა (ი. აბულაძე, ზ. სარჯველაძე) და ჩვენ მიერ შესწავლილ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ეს ლექსემა უცნობია. ფიქრობთ, თუ როგორ მოხვდა ეს სიტყვა საბას ლექსიკონში, რა წყაროთი საზრდოობდა ლექსიკოგრაფი, სპეციალურ კვლევას მითისთვის. ნაკლებ სარწმუნოა სვირის სულხან-საბასეული განმარტება “მცველი”. იცავს-ცვა-მ-ცველი სვირის ხალხური ეტიმოლოგია ამ ტობონიმს თურქული წარმომავლობისად მიიჩნევს. მაგრამ ეს ხალხური resp. ვულგარული ეტიმოლოგია მცდარია: სვირი ნაზანარი ანუ წარმოშობით მეგრული სიტყვაა. მეგრულად სვირი “არყის გამოსანდელში (იმერ. თხარო) ჩატანებული მილია, საიდნაც ცეცხლზე შემდგარი ქვაბიდან წვეთ-წვეთობით, წვრილ კამარად ანლად გამოსდილი, ორთქლიან-ონშივრიანი ცხელი არაყი გამოედინება”.

სვირი მეგრულ-კოლხური გამოთქმაა ქართული სტვირისა: სტვირი→სვირი (მდრ. საკუთარი სახელი სეფანე-სტეფანე) მეგრული წარმოშობის გვარსახელი სტეფანია, მეგრულად სეფანია, საქართველოში (კერძოდ, ზემოიმერეთსა და ქართლში) გავრცელებული ძე დაბოლოებიანი გვარი

(სტეფნაძე|სტეფნაძე). ამრიგად, სტვირში სტ ბგერათკომპლექსი გამარტივდა, ტად ფონემა დაიკარგა [89, 102]. ღირსსაცნობია, რომ სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში, ანლაც არსებობს გვარსახელი სვირაფა (\*←სტვირაფა):<sup>18</sup>

საერთოდ, როგორც სვირის ტერიტორია, ისე შუამიერეთის ეს რეგიონი – თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონები უნდაა წარმოდგენილი მეგრულ-ქანური resp. კოლხური ტოპონიმებით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეს რეგიონი ისტორიული კოლხეთია, იგივე არგვეთი.<sup>19</sup>

რაც შეეხება სვირელებს, იქ მაცნოვრებელთა გვარებს, მათ ხასიათს, დამოუკიდებლობას-დაუპირიქილებლობას, ამის შესახებ საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს საქვეყნოდ ცნობილი ისტორიკოსი აკად. ნ. ბერძენიშვილი.

## ლ) ქუთაისი

ზარნაძეები ქუთაისშიც ცხოვრობენ. ქალაქი ქუთაისი კი, როგორც ცნობილია, ქართველურ ტომთა დასავლური გაერთიანების ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში იშვა. ქუთაისს, რომელსაც ძველ ბერძნულ-რომაულ სამყაროში კუტაიად მოიხსენიებენ, არაერთი გამოკვლევა მიძღვნიან. სანიშნოდ შეიძლება დავასახელოთ პროფ. ა. ურუშაძის წიგნი „ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში“ [ 128]. ღირსსაცნობია, რომ ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში კუტ ძირითადად წარმოდგენილია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუტაისი II კუტაია არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქალაქს ჰქვია, წყაროების მიხედვით ირგვევა, რომ: კუტაია ს ვარიანტებია:

1. ლიბისტური II ლიგისტური კუტაია
2. კუტე
3. კუტაისი
4. კუტაისის მხარე
5. კუტეისის მიწა
6. კუტეელი (=ანლანდელი ქუთაისელი)
7. კუტაისი, კუტაიუსი
8. კოტაიტისი (კოლხეთის მხარე)
9. კოტაიელი აიეტი
10. კოტაიონი (პროკოფი კესარიელის ცნობა)
11. კოტაიონი (ცინე-სიმავრის სახელი მდინარე რიონზე, VI ს.)
12. კუტა (სტეფანე ბიზანტიელის ცნობა, VI ს.) აღსანიშნავია ისიც , რომ სტეფანე ბიზანტიელი „უთნიკის“ ერთ-ერთ მუხლში წერს, რომ კუტა ორგან ჰქვია ქალაქს. ა) კუტა (ქუთაისი) საქართველოში, ბ) კუტა – ეგროპაში
13. კუტაიონი (კუნძული კრეტაზე)
14. კუტირისი (ზღვისპირა ქალაქი)
15. კოთეელი = კუტეელი გვიანდელი წყაროების მიხედვით
16. კუტორისი – ზღვისპირა დაბა მცირე აზიაში, კერძოდ, ბაფლაგონიაში
17. კუტაია (კუტა) ეგვიპტის პორტის უბეში, ტავრეთში (ყირიმში)
18. კუტისორისი II კუტისორე – აიეტის შვილიშვილი, ფრიქსეს ძე, ამ შემთხვევაში იგი ეპონიმა

<sup>18</sup> რუსეთში არსებულ გვარსახელს სვირიდოს და მდინარის სახელს სვირის (რომელიც მოსკოვს ჩამოუდის) არაფერი აქვს საერთო ჩვენს სვირ-თან. ეს ფორმობრივი დამოხვევა შემთხვევითია.

<sup>19</sup> არისტარხ ცნადაძის გამოსაცემად გამზადებულ წიგნში „იმერული კილოს მარგველი მეტყველება“ მოთავსებული რუკის მიხედვით, ქართველური ენების ცნობილ მკვლევარს პროფ. კ. დანელიას გაკვირვების სიტყვები აღმოხდა: „ეს ნომ მეგრული ტოპონიმებია სულ-ო“, დაუმატა ოდნავ მეგრული აქცენტით. მართლაც, თვით სვირის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები ბობოთი, გვიმთი, ჯიკვათირი (მეგრ. ჯიკვათილი “მინმოჭრილი”) იძლევა ამის თქმას.

19. კუტეუმი – კრეტის ერთ-ერთი უძველესი პუნქტი (პლინიუს უფროსის, სტეფანე ბიზანტიელის ცნობა)
20. Kutato დამოწმებულია კრეტის საზოგადოებრივი დამწერლობის ნიმუშებში
21. კუტინა თესვლის ერთ-ერთი პუნქტი
22. კუტინიონი – პუნქტი დორიულ მხარეში (თუკიდიდეს ცნობა)

ამრიგად, კუტა, კუტაია (ქუთაისი), კუტაიოსი არა მარტო საქართველოში (კოლხეთში), არამედ ევროპაში, მცირე აზიაში (პაფლაგონიაში), ტავრეთში (ყირიმში) და ძველი საბერძნეთის ტერიტორიაზეც არსებულა.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა ზემოთქველ ფორმებში არსებული კოტIIკუტ ფუძე. ისმის კითხვა: რას ნიშნავს კოტIIკუტ ძირი?

ქართველურ ონომასტიკაში ეს ერთ-ერთი უადრესად პრობლემატური საკითხთაგანია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქუთაისისკუთ ქუთ ძირს ქართულ-ქართველურ ნიშნავს სხნიან. გავრცელებული ვარაუდით ქუთ ძირი ქუა-ქვა სიტყვას (ქვათათისი = „ქვათა ქალაქის“ → ქუთათისი → ქუთაისი) უკავშირდება. ნ. მარი, მოგვიანებით ს. კაკაბაძე ამ ძირს აფხაზურ ქითა-ს („სოფელი“) უკავშირებენ [129]. გ. ჟორდანიას მოსაზრებით, ქუთაისის სახელი მამაკაცის საკუთარი სახელისაგან ქუთათისაგან მომდინარეობს (ასეთი სახელი ნუზის ტექსტებშია დამოწმებული) [130, გვ.168-170]. ქუთ ძირს რელიგიურ-სარწმუნოებრივი შინაარსის საფუძველზეც სხნიან. კერძოდ, იგი (ქუთა) თეოფორულ სახელად მიაჩნიათ [131]. ა. ურუშაძე სვამს კითხვას: სომ არ გვაქვს გამოსაკვლევი უძველესი ტოპონიმის ძველბერძნულ ვადმოცემებში ბერძნული ენის ნიშნავს დამყარებული გააზრება? სახელდობრ, სომ არ უკავშირდება ბერძნული წყაროების ტოპონიმ ქუთაისის აღმნიშვნელ მოდიფიკაციებში Kut – მითი „ტყავის“ აღმნიშვნელ ბერძნულ „სკუტის“ სიტყვას, რომლის პარალელური ფორმა არის კუტოს (Kütos)? ლათინურ ენაში ამ სიტყვის შესატყვისია იმავე მნიშვნელობის მქონე არსებითი სახელი cutis. გამოსარკვევია, რა არის ტოპონიმის Kut ძირსა თუ ფუძეში პირვანდელი-ქართველური ფემინივიერი თანხმოვნები (ქუთ-), თუ მათი შესატყვისი ინდოევროპული მკვეთრები (cut-)? თუ ლინგვისტური ძიება Kut – ძირის ადრინდელი დადასტურებს, მაშინ ქუთაისის სახელი სემანტიკურადაც ოქროს საწმისის სახელით აიხსნება და ამ ვარაუდით ბერძნულ წყაროებში დაცული ტოპონიმი Kutaia – Kutys და მისი მოდიფიკაციები ტყავის ანუ საწმისის მხარეს, ადგილს აღნიშნავს (საზი ავტორისაა, ბ. ცნ.). მისივე თქმით, ამ ვარაუდს თვალსაჩინოდ უჭერს მხარს Kut . ძირის შემცველი ტოპონიმის გავრცელების ფართო არეალი ძველ სამყაროში, ამასთანავე, ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული kut – ძირის სახელები ძველი კულტურული სამყაროს იმ პუნქტებს ეწოდებათ, სადაც მესაქონლეობა, განსაკუთრებით ცხვრის მოშენება იყო განვითარებული, დასძენს მკვლევარი [128,43].

ჩვენთვის ფასეულია პროფ. ა. ურუშაძის ზემოთქველ ვარაუდი, კერძოდ ის, რომ ჩვენთვის ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურმა ქუთ/კუტ ძირის ანალიზმა, რომელიც ეთნოგრაფიულ მასალებს ემყარება, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისIIკუტაია ტოპონიმში გამოგვეყო კუტ არქეტიპი.

ამრიგად, კუტ ძირი უძველესია, ქუთ გვიანდელი, კუტ-ის გადაზრიალების შედეგად მიღებული კუდ → კუტ → ქუთ. კუტ ძირი დღესდღეობით შენარჩუნებული და შემონახულია ქართული ენის დასავლურ კილოებში, (იმერულში, გურულში), მეგრულ და სვანურ ენაში: კუტIIკუტუ, კუტა. კუტა – მამაკაცის სასქესო ასო (უფრო ბავშვისა).

შეიძლება დავასკვნათ: ფალოსის კულტი ძველ წარმართულ, ქრისტიანობამდე სამყაროში დიდად გავრცელებული იყო. ფალოსი იმ დროს ადამიანისა და დედამიწის გამანაყოფიერებელ ღვთაებას წარმოადგენდა, რომელსაც სწორად ქალის სხეულით და მამაკაცის ასოთი აქანდაკებდნენ.

ძველ საქართველოშიც, სამეურნეო წლის ბრუნვასთან დაკავშირებით იმართებოდა სამეურნეო დღეობანი, მათგან გამოირჩეოდა გაზაფხულის დღეობა, რომელსაც ვასცენიურობის გამო აღნიშნავდნენ კარნავალით, ნიღბებით, ფერხულებით და ერთტიკული ორგიაზმით. ასეთი ფერხულები თუ ფერხულის შემცველი ხალხური დრესასწაულები და თამაშობანი მე-19 საუკუნემდე შემორჩა საქართველოს. მაგ., ფოთლით ცეკვა (გურიაში), ადრეკილაი, საქმისაღ, მურყვამობა (სვანეთში), ბერიკაობა, ყეენობა და მისთ. ცნადა, ზემოთქველ რიტუალის და თამაშობების (რომლებიც მეთრე ათასწლეულში ჩგ. წ. აღრიცხვამდე

ასე ფრაგმენტული არ იყო) დროინდელია ფალოსის კულტიც, კუტIIკუტუIIკუტაია სიტყვები და ქალაქ ქუთაისის დღევანდელი სასკელწოდება იმდროინდელია, როცა გამრავლება-განაყოფიერების ღვთაებისათვის სპეციალური ტაძრები იყო აგებული.

როგორც ჩანს, კუტIIკუტა, კუტაია ძველ ქართველურ სამყაროში ფალოსის კულტის აღმნიშვნელ ლექსებითა რიგს განეკუთვნება. სწავა სიტყვებით რომ ვთქვათ, კუდიIIკუდა→ კუტIIკუტუIIკუტა გადმონაშთია ძველი ქართველური საკულტო წარმართული რიტუალისა, რომელიც ერთდროულად გამოხატავდა გამრავლება-განაყოფიერების, ბარაქასა და მსწვილფენა საქონლის მოშენებას, სიუნჯეს. ჩვენთვის ამიტომაც ღირსსაცნობია პროფ. ა. ურუშაძის ზემოთრე ვარაუდი; კუტIIკუტუIIკუტაIIკუტაია საქონლის გამრავლების, განაყოფიერების, სიუნჯის მფარველი ღვთაების რიტუალს ბოსლობას (res. კოტრობა, ბოსლა – კოტრას) უკავშირდება [132].

კუტაიაIIქუთაისი ერთ-ერთი უძველესი ტოპონიმი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

## მ) ჩხარი

ჩხარი მდებარეობს შუაგულ იმერეთში, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთი ნაწილის გორაკ-ბორცვიან ზოლში, ზღვის დონიდან 180-400 მეტრის სიმაღლეზე (ზოგიერთი ადგილის სიმაღლე 500 მეტრს აღემატება), უმაღლესი წერტილი 584,7 მ-ია სოფ. გოგნისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე, სოლო უდაბლესი წერტილი მდინარეების ჩხარასა და ჩრდილო ჩხარას შესართავთან-179,3 მ. რეგიონის საშუალო სიმაღლე 268,8 მ-ია.

სოფლისა და მისი მიდამოების მდებარეობა ზემო და ქვემო იმერეთის გარდამავალ ზოლშია. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ იგი შუა იმერეთშია მთავსებული. თუმცა, გასული საუკუნის პრესის მიხედვით ჩხარი ზემო იმერეთში მოიხსენიება. საბჭოთა წლებში დამკვიდრდა შესუბუღება, რომლის მიხედვით ჩხარი ქვემო იმერეთშია მთავსებული. მიუხედავად ამისა, ქვემო და ზემო იმერეთს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს და იგი პირობითად არის აღებული [115,44].

ჩხარი, როგორც ტოპონიმი და როგორც დასახლება, ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ნ. ბერძენიშვილის აზრით, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე ჩხარი მდგომარეობს, ცინეს, დაბას ნიშნავდა. სწავაგარად, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ცინე" მოღობილი თუ "მესერი" - იყო გორის უმთავრესი კომპონენტი (და შესაძლებელია ერთ-ერთი შინაარსიც). ამ შინაარსის მოწმობაა, ერთის მხრით, ჯინა, მეორეს მხრით, ჩინი (ყველა ეს ჩხარი, საჩხერე, ჩხორი, ჩინა, ჩხერი "ცინეს ნიშნავს" [116]. ცინე ძველად, შესაძლოა, სამგვარი მასალისაგან მზადდებოდა: 1. ცინე თინისაგან - ზღუდე, ზღუდური; 2) ცინე სისაგან - ჯინა, ჯინური (ჩინური); 3) ცინის სახეობის მესამე ვარიანტად მიჩნეულია გორა - ქორი - სახლი (ტექნიკური შინაარსით). ამრიგად, როგორც ფიქრობენ, ცინისაგან მივიღეთ სახლი, სოლო გორისაგან ქორი, გვარი, "სახლი", რაც "ცინის" სოციალური შინაარსის განვითარების დასრულებად ესახებათ [115,5]. ნ. ბერძენიშვილის ზემოთქმულს იზიარებს და ავრცობს კ. წარაძე. მისი აზრით, "ჩხარი, საჩხერე, ჩინა, ჩხორი, ჩხერი და სწავა სასკელწოდებანი საკმაოდ ადრე უნდა წარმოშობილიყო, რომელთაც ერთი და იგივე საფუძველი გააჩნიათ. უფრო მეტიც, იმერეთისაგან დაშორებულ რეგიონებშიც არის მსგავსი სასკელები დადასტურებული - ჩხარული (ჩხარაული) - ცნინგალის რაიონში, ჩინო-ასპინძის რაიონში, ჩხარულა-ანაქალაქის რაიონში, ჩხარეში-ლენტიანის რაიონში და სწავა. , სოლო სასკელწოდება ჩხარი (ჩხარო) ცინესამაგრეს ერქვა აფხაზეთში, რომელსაც VI ს. ავტორი აგათა სქოლასტიკოსი იხსენებს. მისი სიტყვით, მას "ძველთაგანვე ეწოდებოდა ჩხარი ანუ ჩხარო და მეტსახელად "რკინისცინე" ერქვა. ეს კი IX ს. მოხსენიებული აქვს აგრეთვე თეოფანე ჟამთააღმწერელს, როგორც აფხაზეთის მხარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი. ეს ისტორიული ცინესამაგრე ამჟამად ჩხალის ანუ ჩხალთის სასკელითაა ცნობილი გულრიფშის რაიონში [115,6].

ზემოთრე ტოპონიმები ლინგვისტურადაც დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს. ჩხარი (←ჩინარი)→ჩხალი→ჩხალთა. ჩხალთა-ში -თა მრ. რიცხვის ნიშანია, ლ კი რ-ს სახეცვლილი: ჩხარი→ჩხალი, მაგრამ ჩხარი ფონეტიკურად არც მეგრულ-კოლხურია და არც ქართული, იგი გარდამავალი საფეხური უნდა იყოს (თუ ნ.ბერძენიშვილის აზრსა გავიზიარებთ ჩხარ-ის ცინე სიტყვიდან მომდინარეობის შესახებ): ქართული ცინე, მეგრული ჯინა, (კანონზომიერი შესატყვისობა ც-ჯ)→ჩინე II ჩინა, თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აზრსა მთიანეთის ჩხარ-ში არ ბოლოსართის არსებობა. \_არ სვანურ ენაში ახლაც მრ. რ. ნიშანია (მდრ. ბა"ჩ. "ქვა→ბაჩ'კრ="ქვიანი ადგილი", "ქვიანარი".



ამრიგად, ჩნარ შესაძლოა "გასვანურებული" ტოპონიმია (რაც მართლაც არაა გამოირცხვლი, რადგან სვანთა წინაპრებს ძველად, ჩვ.წ. აღმდე დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გურია, აჭარა, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი...) უნდა ეცნოვრათ. რაც შეეხება ჩნარისაგან წარმომდგარ ჩნალ და ჩნალთა-ს, როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში, ჩნარისეული – არ სუფიქსის ფუნქცია (მრავლობითობა-კრებითობის გამოხატვა) დაკარგულა, ან, სწვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ ბილოსართი შეზრდია სახელურ ძირს, რის გამოც სიტყვა-ტოპონიმს სელახლა დართვია მა მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი, რომელიც ქართულ-ქართველურ ტოპონიმიაში მრავლადაა შემონახული (მცხეთა, შდრ, ხანცთა, ბაკთა, გუდაუთა და მისთ.).

მოუხედავად ჩვენეული ლინგვისტური ახსნა-პროცედურისა, ჩნარ ტოპონიმის ცისე II ჯინა-სვან წარმომავლობა მაინც პრობლემატური გვეგონია, თუმცა ჩნარის ცისე II ჯინა II ჩნა-სვან მომდინარეობას (ასევე ჩნერის ცისე (ცისის ცისე??! ბ. ცნ.), საჩხერე...) ასაბუთებდა ს. კაკაბაძე [117]. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამ ახსნას, თავიანთი "დასაბუთებით", გვთავაზობს ნ. ბერძენიშვილი და კ. ხარაძე.

ზემოთ დასახელებულ ავტორთაგან განსხვავებულია ზ. ჭუმბურიძის ახსნა. მისი თქმით, "ამ სიტყვას ქართულში რამდენიმეგვარი მნიშვნელობა აქვს. ის ნიშნავს მქნერს (ე.ა. არახშირს, თხლად ამოსულს, ნიშნავს აბრეშუმის უვარგის პარკსაც. თუშურ კილოში ჩნარი ჰქვია ჭირხლს, ჩნარი იხმარება ზოგჯერ ხმაურის, ჩნრიალის, ჩნარაჩხურის აღსანიშნავად ("ვეფხისტყაოსანში": "განდა აბჯრისა ჩნარია" ე.ა. აბჯრის საომარი აღჭურვილობის ჩნარუნი გაისმაო, ამათგან გეოგრაფიულ სახელს ყველაზე მეტად უდგება პირველი მნიშვნელობა - "მქნერი" [118]. ზ. ჭუმბურიძის ახსნას არ იზიარებს კ. ხარაძე, რომლის მტკიცებით "ჩნარის გეოგრაფიული, მით უმეტეს, ისტორიული მდგომარეობა და მდებარეობა არ იძლევა ასეთი ახსნის შესაძლებლობას. იგი თავდაპირველად თქონის სერის მიდამოებში ყოფილა გაშენებული, სადაც უხვად იყო გავრცელებული დიდი ზომის მცენარეები, მათ შორის მესამეულის პერიოდის რელიქტური მცენარე უთხოვარი, რომლის ათასწლოვანი კორომი თქონის სერზე ამჟამადაც შემორჩენილა. გადმოცემით თქონის სერის გადაღმაც იყო დასახლება ჩნარის სახელწოდებით, რომელთაც ქ. ჩნარში ჩამოსვლამდე უნდა გადაეკლო ტყე, XIX ს. აქედან ქ. ჩნარში ჩამოსახლებულა მოსახლეობა, თქონას გორაზე დარჩენილია ძველი ცისის ნანგრევების ნაშთი [115]. ჩნარი, კ. ხარაძის დაკვირვებით, თავდაპირველად თქონის კირქვიანის სერის მიდამოებში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური ძეგლები [115].

მოგვიანებით, ახუ შუა საუკუნეებში, ჩნარმა უფრო ფართო არეალი შეიძინა, ჩნარის ადრინდელ ლოკალურ საზღვრებს ვაცდა. იგი ერქვა ტერიტორიას მდ. ჩნარას აუშში. "ჩნარის ქვეყანა" კი, როგორც მიუთითებენ, წარმოადგენდა მხარეს, რომლის ცენტრში უნდა ყოფილიყო "ჩნარის პატრონი" - არგვეთა-რაჭის მმართველი. თვით მდ. ჩნარასა და ჩრდილო ჩნარას სახელი დასახლებული პუნქტების მიხედვით არის შერქმეული. 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ჩნარის სადაბო საბჭოში შედიოდა ჩნარი ბოსელა, ჩნარი ეწერი, ჩნარი მაცხოვარი (თქტომბერი), ჩნარი თქონა, დაბა ჩნარი, აგრეთვე ზედა აღისუბანი, ქვედა აღისუბანი, თხილთაწყარო, გოგნი, ზარნაძეები, მახიტაური. ამჟამად შექმნილია დამოუკიდებელი საკრებულოები - აღისუბნის, გოგნის. სიქთარგის საკრებულოში შევიდა ჩნარეწერი, დანარჩენს ჩამოსცილდა წინ მდგარი სახელწოდება ჩნარი, თქტომბერი დარჩა ჩნარის საკრებულოში, თქონა "გადავიდა" ძეგრის საკრებულოში, ბოსელა ახალი თერჯოლის საკრებულოში. ამრიგად, როგორც კ. ხარაძე დაასკვნის, ჩნარის სადაბო საბჭოს 1930 წლის შემდეგ მხოლოდ ერთი სოფელი, უფრო სწორად, უბანი შემორჩა, ნაცვლად თერთმეტი დასახლებული პუნქტისა [115,8].

ზემოთ ნახსენებ ტოპონიმებს უნდა დავუმატოთ გეოგრაფიული სახელწოდება ძველი ჩნარი, რომელიც ნახოფლარია და თქონის სერის გადაღმა მდებარეობს [115,100].

მხელია იმის თქმა, კონკრეტულად, როდის, რომელ საუკუნეში დაარსდა ჩნარი, თუმცა პლ. იოსელიანის გამოკვლევით იგი ლეონ პირველ – აფხაზთა მეფის მიერ 797 წელსაა დაარსებული [119], რაც არაა გაზიარებული სპეციალურ ლიტერატურაში. როგორც აღნიშნავენ, ამ მოსაზრების საწინააღმდეგეთა ჩნარის არქეოლოგიური ვათხრები, სადაც მეორე საუკუნის ნივთმტკიცებებია მიკვლეულ-აღმოჩენილი [115,8].

მართლაც, ჩნარი ძველთაძველია, მრავალ ათასწლეულს ითვლის, თუმცა ისტორიულ წყაროებში იგი ჩვენი წელთ აღრიცხვის ადრეულ საუკუნეებშია მოხსენიებული.

**ჩნარი** ნახსენებია ლევან დადიანის წონის წმ. გიორგის ხატის წარწერაში, რომელიც 1636 წლით თარიღდება; "ჩვენ სელმწიფებან: დადიანმან: პატრონმა: ლევან: მას ჟამსა: ოდეს: შეგებნით: ბადდადს:

მეფეს: გიორგის: და: კანს: ბატონსა: თეიმურაზს: და: გაგვემარჯუა: ძლიერებითა: შენითა: თავად: მეფე: სელთ: დაგურჩა: და სრულბით: იმერელნი: და: კანნი: დარბაისელნი: ზოგნი: სელთ დაგურჩა: და ზოგნი: გარდაიხვეწეს: კანი: მეფე: თეიმურაზ: და: მეფის: შვილები: ალექსანდრე: და მამუკა: ამავე: უამსა: ავჰყარეთ ქალაქი ჩხარისა: და ჩაგასნით: ზუგდიდსა: აღვაშენეთ: და: გაგაწყეთ: ქალაქი: რუსისა” (ბ. ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III. 276.)

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის (მე-17 ს) ჩხარი ქალაქადაა მოხსენიებული. სოლო ჩხარელები, იქ მოსახლე ადგილობრივი მკვიდრნი, სამეგრელოს მთავარს ჩხარიდან სამეგრელოში, ზუგდიდსა და რუსში ჩაუსახლებია. ასეთი “მიგრაციები” ადრე, ცხადია, იშვიათი არ იყო.

აქვე დავძენთ, რომ ჩხარი შემდგომ მატიანეში სოფლადაა მოხსენიებული. ჩხარელებს, ჩხარის ეკლესიის მრევლს შესანიშნავი სიტყვა-ქადაგება უძღვნა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მე-19-ე ს-ის 70-იან წლებში [113, 466-769].

ჩვენი აზრით, ჩხარ ტოპონიმი “მეგრული” განმთავანებისაა. მისი ქართული შესატყვისი უნდა ყოფილიყო ჩხერ(ა). ჩხერა კი ნიშნავს ჩხარუნს, ჩხრიალს (ქეგლ.), ჩხერი კი “ბაძეს”; ამრიგად, ჩხერა|ჩხარი. ჩხარი, თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით, “ჩხარანია, აბჯარი, ესე იგი იარაღი, ანუ საჭურველი რომ ერთმანეთს მოხვდება და ხმას გამოიღებს, დაჩხარუნდება [80]: წყლის ჩხუნას რომ გაიფონებს (რუსუდ. 33,25). ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ჩხუნა, დაჩხუნა “დამტვრევას” ნიშნავს, სოლო დაჩხერილი “განტყნის” [66].

ჩხერა|ჩხარ ძირის შეკუმშული სახეა ჩხრ, რომელიც ჩხრიალ-ში გვაქვს [107,5], ვფიქრობთ, არ არის მოულოდნელი, რომ ძირი ხმაბაძვით ლექსმად გამოვაცხადოთ, შდრ. ჩხარა-ჩხური, ჩხარუნი, ჩხრიალა, სრიალი, ჩქერი, ჩქრიალი, ჩქრო [108,108-112].

ჩხერ ქართული განმთავანების ძირი, შემოუნახავს ზემოიმერულ ტოპონიმს საჩხერეს, რაც ძველად ნიშნავდა “საჩხერე ადგილს”: სა-ჩხერ-ე. სა-ე ცირკუმფიქსი დანიშნულების შინაარსის შემცველი საწარმოებელია, იქვე, ისტორიულად, არსებობდა ჩხერი, როგორც ტოპონიმი. სწორედ აქედანაა ნაწარმოები ზემოიმერეთში ჰიდრონიმი, ანუ მდინარის სახელი ჩხერიძე (ჩამოუვლის სარაგაულის რაიონს და უერთდება მდ. ძირულას, ეს უკანასკნელი კი ყვირილას).

აქ მოსახლე გლეხები შესწირა თამარ დიასამიძემ გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას (1584. Sd-2903) [15-250].

ჩხარი, ჩხარელი არაიშვიათად ნახსენებია ქართულ ისტორიულ საბუთებში, მაგ. . . . თითო სასუქი ქათამი მართებს ჩხარელთა (აფხაზ. დავთ. გვ.4); ამას გარდა შეგვიწირავს ჩხარს გამრეკელაშვილი, ამას მართებს თთხი მარჩილის სანთელი, თრი მარჩილის საკმელი (დას. საქართ. საეკლ. საბ. 1740-1750 წწ. გვ. 161).

ჩხარ ტოპონიმზე —ა სუფიქსის დართვით ნაწარმოებია მდინარის სახელწოდება ჩხარა, რომელიც ჩხარსა და აღისუბანს ჩამოედის. ეს ჰიდრონიმიც მოხსენიებულია ისტორიულ დოკუმენტებში. მაგ., ჩხარა ნახსენებია ბაგრატ მეფის საბუთში, რომელიც მან უბოძა არჯევან ავშანდამეს სატყისმცველოდ ადგილი სკანდასა და გოგს დაღმა, იქ სადაც ძევრის-წყალი ერთვის ყვირილას, ფისისანს და ჩხარას (1452. Sd-521).

როგორც ცნობილია, ა (ასევე —ულა) ჰიდრონიმების საწარმოებელი ბოლოსართია და ჩხარაც ამ შემთხვევაში ჩხარ ტოპონიმისგან მომდინარეობს.

ჩხარის შესახებ ვრცლად მსჯელობს კ. ხარაძე. დავიმოწმებთ მკითხველისათვის საინტერესო ამონარიდებს მკვლევარის წიგნიდან: „XV საუკუნის (1452 წ.) საბუთში ნათქვამია: „ბაგრატ მეფემ (ბაგრატ VI, იმერეთში ბაგრატ II. ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმომადგენელი — კ.ხ.) უბოძა არჯევან ავშანდამეს სატყისმცველო ადგილი სკანდასა და გოგს დაღმა, იქ სადაც ძევრისწყალი ერთვის ყვირილას, ფისისანსა და ჩხარას”. ეს არის ჩხარის პირველი ლიტერატურული დადსტურება.

1489 წლიდან იმერეთი საბოლოოდ ჩამოცილდა ქართლის სამეფოს. კონსტანტინე მეფე იძულებული გახდა იმერეთის მეფეს დაზავებოდა 1491 წელს.

XVI საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საბოლოოდ დაირღვა ალექსანდრეს ძის გამეფების რამდენიმე თვის შემდეგ, 1510 წლის შემოდგომაზე თხმალთა დიდი ჯარი სულთანის მეშვეობით სელიმის მეთაურობით მოულოდნელად სამცხისაკენ დაიძრა. ყვარყვარე ათაბაგი მორჩილად მიეგება მტერს და ზეკარის უღელტეხილით იმერეთში გადმოუძღვა.

თურქებმა დალაშქრეს ქვემო იმერეთი და სწრაფად უკან დაბრუნდნენ, რადგან ახლოვდებოდა ზამთარი.

ამ გარემოების გამო და 1614-1617 წწ. შაჰაბასის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად დასავლეთ საქართველოშიც შეიმჩნეოდა საქალაქო ცხოვრების დაცემა-დაქვეითება. ქუთაისის შემდეგ აქ პატარა ქალაქებსა და საგაქრო დაბებს წარმოადგენდა ჩხარი, ჩინორი და სსგ.

სამცხეში ოსმალთა მომძლავრების პერიოდში „ჩხარის მხარეს“ მოდიოდა და სახლდებოდა სამხრეთ საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობის ნაწილი, რომელთაც თან მოჰქონდა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები და იფარავდნენ აქაურ ეკლესია-მონასტერში. ამის მაგალითებიც შემორჩენილია.

გვიან შუახურობებში, საქართველოს სსგა კუთხეების მსგავსად, ქვემო იმერეთშიც წარმოიშვა სათავადოები. XVIII საუკუნეში სპორადულად წვრილი სათავადოებიც წარმოიშობოდა, რომელსაც უმეტესად იმერეთის მეფე ქმნიდა რომელიმე ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის გასაადვილებლად.

იმერეთის მეფისა და თავადაზნაურობის გარდა დიდი რაოდენობით ფლობდა ადგილ-მამულებს და ყმა გლეხებს ეკლესია, მეტადრე ისეთი ძლიერი სასულიერო ფეოდალური ერთეული, როგორც გელათის მონასტერი იყო. 1584 წლის საბუთში ნათქვამია, რომ ჩხარის აქ მოსახლე გლეხები შესწირა თამარ დიასამიძემ გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას (მასალები . . . , გვ.250), 1586 წელს საკათალიკოზო დავითით (გელათის წმ. გიორგის) კი ყმა 3 კომლი აბულაძე, 2 კომლი ლიფლივაშვილი, 3 კომლი ავუანდაძე, 1 კომლი დავითაშვილი, 1 კომლი საჩქიძე, 1 კომლი ყიფჩაყიძე, 1 კომლი მარგველაშვილი, 1 კომლი ზაბუქიძე (კაკაბაძე), 1921). 1819 წელს იქვე არის 3 კომლი აბულაძე, 2 კომლი აბუანდაძე, 1 კომლი დათუაშვილი, 1 კომლი გაბრიძიძე (იქვე, გვ. 66). ქუთაისის სასულთნო მუზეუმის ხელნაწერ ფონდებში დიდი რაოდენობითაა დაცული შეწირულობის წიგნები, რომლებშიც მოხსენიებულია ჩხარში მცხოვრები არაერთი პიროვნება.

აღსანიშნავია, რომ ჩხარის მცხოვრებნი მიწერილი იყო სსგადასსგა საყდრებზე. ასე მაგალითად, ეკუთვნოდა: ქუთაისის საყდარს, გელათის საყდარს, ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიას და სსგ. ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიასთან ყოფილა სამღებრო, რომელიც 1818 წელს იჯარით გაუციათ, ერთი წლით 950 მანეთად, საიდანაც ნახევარი ეკლესიის იყო. 1825 წელს საგენათლო ყმების მიწათმფლობელობა ჩხარში შეადგენდა 22 კომლს (83 სული), 219 ქცევა (საზომად იყენებდნენ XIX საუკუნის იმერეთში, უდრიდა 900 მხარს, ან 3600 მ<sup>2</sup>-ს) სახნავი მიწით. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო ყმები გადასახადებს შრომით, პროდუქტადი, ფულადი რენტის სახით იხდიდნენ. მაგალითად, 1787 წლით დათარიღებული საბუთის მიხედვით ჩხარელი გლეხების ბერიკუკლა და გაბრიძელა ზარნაძეების ვალდებულებათა შესახებ ნათქვამია: მართებთ „ბეგარა ცნრა თორმეტანი ღვინო, თრი ფონალი (ღვინის საწყაო, იმერეთში 6 ლიტრი – კ.ნ.) ბური, თრი ფონალი ქერი, თრი ქათამი, ერთი საბაზიერო და საშობაო დედალი და ძღუენი (კაკაბაძე, 1921, გვ. 89). ბასილა ზარნაძესა და მის ძმას მიქელას კი ემართათ: „ბეგარა თხუთმეტი თორმეტანი ღვინო, ერთი კოდი (მარცვლეულის საწყაო, სსგადასსგა საუკუნეში განსწავებული იყო, XVIII საუკუნეში იგი 30-34 კგ-ს უდრიდა – კ.ნ.) ბური, ერთი კოდი ღომი, ერთი კოდი ქერი, სამი ქათამი, საშობაო დედალი, ძღუენი და სამი დღის სეფობა“ (იქვე). სოლო სუხნიკა ზარნაძეს და ვინმე გონიკას ვალდებულება იმავე დოკუმენტში ასეა განსაზღვრული: „თორმეტი კოკა (სითნის საწყაო, რომელიც სსგადასსგა კუთხეში განსწავებული იყო, ლიტრის ზრდის გამო საუკუნეთა მანძილზე კოკის ტეგადობა იზრდებოდა. XVI-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში კოკა უდრიდა 50 ლიტრს, XVIII საუკუნის კოკის ტეგადობა 12 ლიტრიანი იყო – კ.ნ.). ღვინო, თრი ფონალი ბური, თრი ფონალი ქერი, თრი ფონალი ღომი, სამი ქათამი, საშობაო დედალი და ძღუენი, ათი შაური საკლაფი და სამი დღის სეფობა“ (იქვე). როგორც ჩანს, პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ პროდუქტად რენტასთან, მეორე შემთხვევაში – შრომით და პროდუქტად რენტასთან და მესამე შემთხვევაში – შრომით, პროდუქტად და ფულად რენტასთან. აღნიშნული საბუთებით ისიც ირკვევა, რომ XVIII საუკუნეში ჩხარში მოჰყავდათ ღომი, ქერი, სორბალი და სსგ. მარცვლეული.

გარდა ამისა, აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარის ერთ-ერთი მინაწერი, რომელიც სვიმონ იმერთა მეფეს ეკუთვნის (1700 – 1702 წწ.): „გადრეთ და შემოგწირეთ შენ საშინელსა ბიჭვინტვისა ღვთისმშობელსა ჩვენ მეფეთ-მეფემან სვიმონ ჩხარს ოქონის საყდარი, მისის გარშემო ადგილებით ჩვენის სულის საონად“ (კაკაბაძე, 1925, გვ. 194 ).

XVI-XVIII საუკუნეებში იმერეთის მოსახლეობის ძირითადი მასა ყმა-გლეხობა იყო. XVII საუკუნეში იგი თონი სოციალური ფენისაგან – აზატთა (თავისუფალი, საშუალო და წვრილი მიწათმფლობელები), მებეგრე გლეხთა, მსანურთა და მოჯალაბეთაგან (ყმა გლეხთა უმდაბლესი სოციალური კატეგორია) შედგებოდა.

ქალაქების მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ვაჭრები, ხელოსნები და საქონლის წვრილი მწარმოებლები შეადგენდნენ. ვაჭარ-ხელოსნების ძირითადი მასა ყმურ დამოკიდებულებაში იყო შეფესთან, ეკლესია-მონასტრებთან და საერთო ფეოდალებთან.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, და ზემოთაც აღინიშნა, ჩხარსა და, საერთოდ, იმერეთში ძირითადი მარცვლეული კულტურა ღობი იყო. თვით ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“ წერს, რომ იმერეთში სოესენ „ღობსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანც მით“ (გვ. 146), აგრეთვე, „სხვათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფიან“ (იქვე). ღობის გარდა აქ მოჰყავდათ სობობალი და ქრთილი. XVII საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ქართველებისაგან შემთავიდა სიმინდი.

